ჯვარი ცხოვრისა



2

საქართველოს საპატრიარქო

თბილისი—1978



ხოლო წმიდამან შუშანიკ ნაცვლად ჭინჭაუხტისა საქმისა დიდითა გულსმოდგინებითა ხელთა აღიხუნა დავითნი და მცირედთა დღეთა შემდგომად ასერგასისნი იგი ფსალმუნნი დაისწავლნა, რომლითა იგი დღეᲣდაღამეᲣ ზესკნელისა მის მეუფისა მიმართ სათნოსა მას გალობასა შესწირვიდა ცრემლით.

დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით

ძველი აღთქმა

ჯვარი ვაზისა — შემკული მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს თმით. IV ს.

ძლიერებაო ჯვარო ვაზისაო,

დაგვიცევ და დაგვიფარე ჩვენ.

ანგელოსი მაცხოვრის აღდგომიდან. ყინცვისი XI ს.

შენი სიცოცხლე ერს უხარია

ა ღ ს ა ყ დ რ ე ბ ი ს დ ღ ე

სიტყვა წარმოთქმული ქუთაითელ-გაენათელ და ნიკორწმინდელ ეპისკოპოს შიოს მიერ უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების პირველ წლისთავზე 1978 წლის 24 დეკემბერს მცხეთის საპატრიარქო ტაძარ სვეტიცხოველში.

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ! მე სიხარულით ვასრულებ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის დავალებას და მოგმართავთ ამ მოკლე სიტყვით. პირველ ყოვლისა, უნდა დავლოცო ღვთის განგება, მისი ძადღი და მოწყალება იმისათვის, რომ მეხსიერება მოგვმადლა ადამიანებს, რათა ჩვენი ახლანდელი და მომავალი ყოველი წამი დავუკავშიროთ წარსულსა და მარადიულობის განუზომელ საოცრებას. ამ მეხსიერების წყალობით, როგორც გუშინდელი დღე, ისე გვიდგას თვალწინ განვლილი წლის 25 დეკემბერი, თქვენი უწმიდესობისა და უნეტარესობის აღსაყდრების დღე სრულიად საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ღვთივკურთხეულ ტახტზე.

მზე ადგა მაშინ მოკაშკაშე მცხეთასა და მის შემოგარენს. მიიჩქაროდა მორწმუნე ხალხი საპატრიარქო ტაძრისაკენ, რომ ეხილა მომავალი მამათმთავარი, თვალი შეევლო იმ წმიდა გვირგვინისათვის, რომელიც ღვთის უხილავ მარჯვენას უნდა დაედგა თავზე თქვენი უწმიდესობისათვის.

ხალხს ჰქონდა საფუძველი თუ საბაბი აღტაცებისა, სულიერ მამად განგებამ მოგვივლინა ადამიანი, რომელსაც საქართველო კარგად იცნობდა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიიდან: მრავალმხრივად განსწავლული, ქრისტიანობის დიდი მორწმუნე, სიკეთით სავსე, სულით წმიდა, საქმით მართალი, ნებისყოფით და სიმტკიცით მსგავსი დიდი მთებისა... იცოდა ხალხმა, იცოდა კარგად და შეუცდომლად, რომ ხდებოდა აღსაყდრება დაბრძენებული და სპეტაკი ერისშვილისა. ამიტომ იყო აღტაცებული ყველა.

ყველამ ვიცით, რომ ადვილი არაა წინ წარუძღვე მორწმუნეთა სულიერ ცხოვრებას და მიწიერი ზეციერთან დააკავშირო, ხილულიდან უხილავისაკენ წარმართო მზერა ადამიანთა დაეჭვებული მოდგმისა და შეაყვარო, რასაც ფიზიკურად ვერ აღიქვამს იგი და უხილავი მხოლოდ გონების თვალით დაანახო.

თქვენს გვერდით მდგომნი მსახურნი საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა ხედავენ, თუ როგორ იწვის სანთელივით თქვენი სული და ენერგია იმისათვის, რომ სხვებსაც გააგებინოთ, რაც თქვენ იცით; სხვებიც მიხვდნენ იმ ჭეშმარიტებას, რომ ადამიანს გააჩნია მესამე თვალი — გონება, რომლითაც მან ეს ჭეშმარიტება უნდა დაინახოს. იწვის თქვენი სული და ენერგია ერის სამსახურის სამსხვერპლოზე მიტანილი და შედეგსაც აღწევს. ხალხმა დაინახა ის მადღი, რომელიც თქვენთვის ყოვლისშემძლებელ ღმერს უბოძებია დიდი საქმის შესასრულებლად. მორწმუნეთა გულმა იგრძნო თქვენი სულის სიწმიდის ძალა და შეგიყვარათ, როგორც მამა და მოძღვარი თვისი.

ღვთივკურთხეული თქვენი სამწყსო ნათლად ხედავს, რომ თქვენი სიტყვა საქმისაგან განუყოფელია, რომ თქვენ, სიწმიდის მქადაგებელი, წმიდა ხართ თავად და, რომ ქვეყნად მშვიდობისა და სიყვარულის აზრის მთესველი, მშვიდი ხართ მუდამ და კაცთმოყვარე. არ შევცდები, თუ ვიტყვი იმასაც, რომ თქვენ, მთელი რიგი წლების მანძილ-

ზე, მსოფლიოს დიდ საეკლესიო ფორუმებზე მრავალჯერ მონაწილეობით დაამტკიცეთ, რომ ქომაგი ხართ ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისა.

თქვენ, როგორც მამათმთავარი და ადამიანი, ღვთიურ საქმეებსაც უნაწილებთ თქვენს სიცოცხლეს და ადამიანურ საჭიროებასაც აყენებთ უცოდველ გზაზე.

თქვენ დედა-ეკლესიის, სიონის ტაძრის მგალობლებთან ერთად, აგალობებთ მლოცველებსაც და ამით ისინი უშუალო მონაწილენი ხდებიან იმ დიდი მადლისა, რომელსაც მწუხრის ლოცვა და საღმრთო წირვა ეწოდება.

თქვენი წმიდა მოღვაწეობის კიდეგანი ისეთია, რომ იგი მხოლოდ წლებმა და მომავალმა უნდა გამოაჩინოს, მაგრამ რაც განვლილმა ერთმა წელმა დაანახა მორწმუნე ხალხს, იმანაც წარმოშვა ის დიდი სასოება, რომლითაც შემოგყურებთ ჩვენი ერი და მომავალი.

თქვენ ქადაგებთ ღვთის სიყვარულს, მშვიდობას, ერის ერთგულებას, მთავრობის ერთგულებას და სასოებას ყოველივე იმის აღსასრულებლად, რისთვისაც სიცოცხლე მოგვანიჭა მრავალმოწყალე და კაცთმოყვარე ღმერთმა. და ჩვენ გვაქვს ეს სასოება თქვენო უწმიდესობავ, ამ სასოებით მოგყვებათ თქვენ მორწმუნე ხალხი, ეს სასოება გვაძლევს ძალას და აღტაცებას იმისათვის, რომ მიწიერი დავუკავშიროთ ზეციერს, რომ გვქონდეს მრწამსი და მისწრაფება ამ მრწამსის გზით სიარულისა, და რომ აღვაპყროთ ხელნი ზეცისაკენ და ვთხოვოთ გამჩენს მთელი ქვეყნისას:

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, შენ გევედრებით შენი ცხვრები საქართველოს წმიდა მიწადან, გვიცოცხლე და გვიდღეგრძელე შენი მოწყალებით მომადლებული მოძღვარი, მამაჲ ჩვენი, ილია!

დედაო ღვთისავ, ეს ქვეყანა შენი ხვედრია, შენ გადააფარე სათნოების კალთა საქართველოსა და ჩვენს — მამათმთავარს!

ღმერთო, კურთხეულყავი აღსაყდრების დღე ჩვენი ქრისტესმიერი მამისა და „შეგვიწყალენ და გვაცხოვნენ ჩვენ, ვითარცა სახიერ ხარ და კაცთმოყვარე“.

მხატვარი ა. ბანძელაძე. 1978 წ.

„წამებისა გურგჳნითა შეიმკუე მეულლისა შენისაგან.
დედოფალი შუშანიკ,
და წარმავალისა დედოფლობისა წილ მოიგე სუფევაჲ წარუვალი,
და აწ კადნიერად მდგომარე ხარ წინაშე სიძისა შენისა
უკუდავისა ქრისტჱსა...
მეოხ გუეყავ მაქებელთა შენთა, სანატრელო“.

„დღეს მოხარულ არს ერი ქართველთაჲ
კსენებისა შენისათჳს, დედოფალო წმიდაო შუშანიკ,
და ღუაწლთა შენთა სიმრავლეთა მაქებელნი,
ვითხოვთ ქრისტჱსაგან მეოხებითა შენითა სოფლისა მშჳდობასა
და სულთა ჩუენთა დიდსა წყალობასა“.

ძეგლი

ხელოვნების ნაწარმოებს ადამიანივით თავისი ბედი თან დაჰყვება. ყოველ მხატვრულ ქმნილებას თავისი წინა ისტორია აქვს, თავისი მიზეზი და თავისი საბაბი. მაგრამ ზოგჯერ ნაწარმოები თავის შემქმნელს ჩიტივით უსხლტება ხელიდან და ლაღად მიფრინავს მაღლა, მომავლისაკენ იღებს გეზს და სიშორეში იკარგება.

ასე გაუსხლტა იაკობ ხუცესს წიგნი შუშანიკზე.

იაკობ ხუცესი დაჯდა წერად, როცა ყოველივე უკვე გასრულდა, როცა ვნებები დაცხრა, როცა ბრძოლის ველზე აჩრდილებიღა დაბორიალებდნენ; იაკობ ხუცესი დაჯდა წერად, რათა მოკლედ და ზუსტად აღენუსხა „...აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი“. იაკობ ხუცესმა ამ ამბავში უკვე ჩაათხია თავისი კუთვნილი ცრემლი და ოფლი და ვნებადაცლილი შეუდგა თხრობას.

„იყო მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა კარად სამეფოდ წარემართა ვარსქენ პიტიახში, ძეჲ არშუშაჲსი“, — ეს არის ქრონიკის დასაწყისი.

თომას მანი წერდა — იოსების მითის ხლართები ისეთი სიზუსტით მინდოდა აღმენუსხა, რომ ამ ამბავს თავისი თავი თვით ეამბნაო.

იაკობ ხუცესის ამბავი, მისი ავტორის უნებურად, თავისი ენით ამეტყველდა, თავისი ცრემლებით ატირდა, თავისი ვნებით აბობოქრდა და თავისი რისხვით ამძვინვარდა.

ხუცესი ჭეშმარიტი ქრისტიანი იყო და იგი განიმსჭვალა უსასრულო თანაგრძნობით ამ ამბის ყველა მონაწილისადმი: არა მხოლოდ მარტვილის მიმართ, არამედ მისი მტრისა და მტანჯველის მიმართაც. იაკობმა იცის, როგორ დამარცხდა ვარსქენი ამ საშინელ ორთაბრძოლაში და როგორც ქრისტიანსა და კაცთმოყვარეს, ებრალება და ენანება ეს უგზო-უკვლოდ მოხეტიალე უმწეო სული; ეს გზასაცდენილი, ღვთისა და ერისათვის დაკარგული უძღები შვილი, რომელსაც უკან დაბრუნება არ უწერია. **„ხოლო ამის უბადრუკისა და სამგზის საწყალობელისა ვარსქენისი.,. ანუ ვინ არა სტიროდის მას“...**

როდესაც დაჯდა წერად, იაკობ ხუცესს არ ჰქონდა მიზნად ვარსქენის შებრალება. მაგრამ იწერებოდა წიგნი...

ეპილოგი

იაკობ ხუცესი. მხატვარი ზ. სამხარაძე. 1978 წ.

დიდი მწერალი, მოაზროვნე წერდა ღმრთისა და მისი მოწამის სადიდებელს. ქანდაკებასავით იძერწებოდა ეს გოროზი, სიკეთითა და კდემამოსილებით სავსე სახე. იგი ჯერ **„...აღსდგა და დაუტევა ტაძარი თვისი და ღმრთის მოშიშებით ეკლესიად შევიდა... და ესრეთ ილოცვიდა: — უფალო ღმერთო“...** მაგრამ ჩვენს თვალწინ ამ ნატიფ პორტრეტს თანდათან სახე ეშლება, ფითრდება, თვალები მგზნებარე ცეცხლით ენთება, ბაგე უთრთის, გამძვინვარებული დაათხევს ღვინით სავსე სასმისს; შეუბრალებელიც ხდება, სასტიკიც, უხეშიც, საცოდავიც, მერე ისევ გოროზი და ამაყია, მერე ჩივის კიდეც და შორეული სინანულის ბზარიც კი ჩნდება მის ხმაში: **„არა ვინ იპოვა კაცთაგანი, რომელსა აქუნდა წყალობაჲ და ტკივილი ჩემთჳს... მიაგოს მას უფალმან, ვითარ მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააჭნო...“** და რაც უფრო მძაფრია განცდა, ეჭვი, სინანული და შინაგანი ბრძოლა, მით უფრო შორია ის სიმაღლე, რომლისკენაც მიილტვის არა მარტო მტერზე, არამედ საკუთარ თავზე ამაღლებული დედოფალი.

რა ძალამ შეაძლებინა, რა მადლმა?

— რწმენამ.

ჭეშმარიტად, უცხო რამ ბედი ჰქონია ამ წიგნს, რომ გადაურჩა ჟამთა სიავეს, რომ არ დაღრღნა დრომ და ნაცრად არ აქცია. რომ დღეს თხუთმეტი საუკუნის იქით ვიწვდით ჩვენ ხელებს. ვშლით სასოებით მის ფურცლებს და როგორც სარკეში, ისე ვხედავთ შიგ საკუთარ ცხოვრებას. ვარსქენისა და შუშანიკის ორთაბრძოლაში ჩვენ ვხედავთ ჩვენს სულში გამართულ ხელჩართულ ომს, სადაც ხორციელი მისწრაფებანი და სულიერი აღმაფრენა ხმალამოწვდილნი ეკვეთებიან ერთიმეორეს.

მაგრამ ჩვენს სულში განა მხოლოდ დედოფალი **იმარჯვებს!..**

დღეს მოხარულ არს ერი ქართველთაჲ ხსენებისა შენისათჳს...

იქნებ ხვალ ვარსქენი დაუშვებს მახვილს?!!

— მეოხ გუყოფ, მაქებელთა შენთა, სანატრელო!

იაკობ ხუცესის თხზულების ხელნაწერები

ჩვენი ისტორიის ძნელბედობაა მიზეზი იმისა, რომ დღეისათვის არ შემოგვრჩა იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“ არა თუ ავტოგრაფი, ავტორის ხანასთან შედარებით ახლოს მდგომი ხელნაწერებიც კი. უძველესი ნუსხა, რომელიც ამ ტექსტს შეიცავს, X საუკუნის პარხლის მრავალთავია (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A–95 ხელნაწერი).

დიდი ფორმატისა და მოცულობის ეს ხელნაწერი გადაწერილია პარხალში, ერთი კაცის მიერ. გადამწერი თავას თავს გაბრიელ პატარაიას უწოდებს.

როგორც ხელნაწერზე დართული ანდერძი მოგვითხრობს, გაბრიელ პატარაიას „ავდაპირველად სურვილი ჰქონია, შეედგინა ისეთი კრებული, რომელშიც მხოლოდ დედათა წამება-ცხოვრებანი შევიდოდა: „ესრე მედვა გულსა, ვითა დედათა წამებაჲ და ცხორებაჲ ოდენ დავწერო და მით გავასრულო“— წერს იგი. დედათა წამება-ცხოვრებების ძიებაზე გადამწერს დიდძალი შრომა დაუხარჯავს: „ეიხარკ დიდითა შრომითა და გულსმოდგინებითა ვძებნე დედაჲ (დედანი — **ც. ქ.**) და ესთენ ვპოვე, ვერღარა შემეძლო ძებნაჲ“. რაკი ხელნაწერის შესადგენად დედათა წამება-ცხოვრებანი საკმარისად არ აღმოჩენილა, ამიტომ გაბრიელ პატარაიას მამათა წამება-ცხოვრებებიც შეუგროვებია, „რომელი პარხალსა არა ეწერა“, იშხნიდან ჩამოუტანია და ხელნაწერი „მით გაუსრულებია“.

აღსანიშნავია, რომ „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“ A–95 ხელნაწერში სრული სახით არაა დაცული. იმის გამო, რომ ამ ხელნაწერს დროთა განმავლობაში ფურცლები დაჰკარგვია, „შუშანიკის წამების“ ტექსტს ოთოქმის ერთი მესამედი აკლია.

X საუკუნიდან მოკიდებული, მთელი შვიდი საუკუნის მანძილზე „შუშანიკის წამების“ ხელნაწერებს კვლავ ვეღარ ვხვდებით. მიზეზი, ცხადია, აქაც იგივეა — ქვეყნის მუდმივად განსაცდელში ყოფნამ მოსპო და გაანადგურა ისინი. თვითონ A–95 ხელნაწერის თავგადასავალი ძველი ქართული მწერლობის მრავალი ძეგლის ხვედრს ასახავს: პარხალში შექმნილი ეს უნიკალური მრავალთავი ბედს ურუმთა ქვეყანაში მოუხვედრებია, აქედან კი XVII საუკუნეში ქართლის დედოფალს მარიამს გამოუხსნია. ამ ფაქტის შესახებ თვითონ მარიამ დედოფალი ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდის არშიაზე დართულ მინაწერში შემდეგს გვაუწყებს: „ჩუენ, ხელმწიფემა პატრონმა, დადიანისა ასულმა, დედოფალთ-დედოფალმან მარიამ, ესე წიგნი ურუმის ქვეყნიდამ გამოვიხსენ და გავაახლე, დაშლილი და წამხდარი ჩუენდა სადღეგრძელოდ და ცოდვათა ჩუენთა შესანდობელად. ვინც ამა წიგნს წაიკითხევდეთ, შენდობით მომიხსენებდით, ამინ“.

XVIII და XIX საუკუნეებით თარიღდება ის რამდენიმე (ერთი ათეული) ხელნაწერი, რომლებმაც „შუშანიკის წამების“ ტექსტი სრულად გადაგვირჩინეს, ესენია: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერები A–130 (გადაწერილი 1713 წ. გაბრიელ საგინაშვილის მიერ დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერში), A–170 (გადაწერილი 1733 წ. მთავარდიაკონ იოანეს მიერ), A–176 (გადაწერილი 1743 წ. კახმდივნისძის იოანეს მიერ, იმავე დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერში), H–2077 (გადაწერილი 1736 წ. სვეტიცხოვლის დეკანოზის ალექსის მიერ), H–1672 (გადაწერილი 1740 წელს თბილისში სიონის მთავარდიაკონ აპრონის მიერ), H–2121 (გადაწერილი 1748 წ. სიონის დეკანოზის შვილის ნიკოლოზის მიერ), H–1370 (გადაწერილი 1871–1884 წწ. მღვდელმონოზონ თეოდოსეს მიერ), იმავე დავითგარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერში, H–3637 (გადაწერილი 1838 წ. პეტერბურგში თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ), H–300 (გადაწერილი XIX ს. დამდეგს, დავით გარეჯის მონასტერში) და აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერი H–21 (გადაწერილი 1842 წ, პეტერბურგში სვიმონ ტაბიძის მიერ).

ჩამოთვლილი ხელნაწერები ქართველ წმიდანთა წამება-ცხოვრებების კრებულებს წარმოადგენენ. მათი შედგენა შედეგია იმ ძვრებისა, რასაც ადგილი ჰქონდა აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში. როგორც კ. კეკელიძე წერს: „ამ ეპოქის მწიგნობრებმა ქართულ მწერლობას მოაცილეს ის ფერფლი, რომლითაც დაფარა ის დაცემის ხანის წყვდიადმა, და ამნაირად, ხელი შეუწყვეს კლასიკური ლიტერატურის მითვლემილ ნაკვერცხლთა ალაპლაპებას. ახლა გულმოდგინედ დაეძებენ წინა პერიოდში ნათარგმნ, თუ დაწერილ თხზულებებს და დაუღალავად იღებენ მათგან პირებს. ამით აიხსნება, რომ აღნიშნული საუკუნეებიდან ჩვენამდე შენახულა ნუსხები ისეთი თხზულებებისა და ტექსტებისა, რომელნიც თუ არა ამ გზით, ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგული იქნებოდა“.

თვით ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებიდანაც ჩანს, თუ რა დიდი შრომა შეულევიათ გადამწერებს ამ ხელნაწერთა დედნების ძიებისათვის. ასე, მაგალითად, A–130 ხელნაწერის ერთ-ერთი მინაწერი გვაუწყებს, რომ დომენტი კათოლიკოსს შეუკრებია „წიგნი ესე ერთად გაბნეული, რომელი ჟამთ დავიწყებისაგან მიფარულ იყო, ცხოვრებანი და ღუაწლნი მათნი“, A–170 ხელნაწერის მინაწერში გადამწერი ლოცავს წინამძღვარ იობს, რომელმაც „შეკრიბა დედა წიგნისა ამის“. H–1672 ხელნაწერის გადამწერი წუხს იმის გამო, რომ შესაძლოა, მის მიერ „ძალით“ შეკრებილ და გადაწერილ ტექსტებში მკითხველმა შეცდომები იპოვოს: „უწყის ღმერთმან, ფრიადი მაქუნდა სურვილი ამათ წმიდათა წამებათა, შესხმათა და გალობათა შეკრებისათვის, და ძლით შევკრიბე, და თუ რაიმე წერით ცოთმილებაჲ ჩემი იხილოთ, ნუ მწყევთ, თქუენ გამართეთ“ და სხვ.

ასე რომ, თუ არა ეს ხელნაწერები, ძველი ქართული მწერლობის ბევრ სხვა ძეგლთან ერთად „შუშანიკის წამების“ სრული ტექსტიც ჩვენთვის, ალბათ, სამუდამოდ დაკარგული იქნებოდა.

„შუშანიკის წამების“ ვრცელი ვერსიის გარდა ძველთაგანვე არსებობს ამ თხზულების მოკლე ვერსიაც. იგი ჩვენამდე ერთადერთი ხელნაწერითაა მოღწეული, ესაა XI საუკუნის Ath–57 ხელნაწერი. ვრცელი ტექსტის შემოკლება გარკვეული ლიტურგიკული საჭიროებით იყო გამოწვეული, ისევე როგორც, უფრო მოგვიანებით, სახელდობრ, XVIII საუკუნეში, ე. წ. სვინაქსარული რედაქციის შექმნაც. „შუშანიკის წამების“ სვინაქსარული რედაქცია დაცულია XVIII საუკუნის ორ ნუსხაში A–425-სა და A–220 ხელნაწერებში.

„შუშანიკის წამების“ ტექსტი თავისებურად გადამუშავეს ჯერ ანტონ კათოლიკოსმა, ხოლო შემდეგ — იოანე ბატონიშვილმა. ანტონმა „შუშანიკის წამების“ გადამუშავებული რედაქცია სათაურით — „შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა წმიდისა დიდისა მოწამისა რანთა დედოფლისა ხუსანნაჲსა, ზედწოდებით შუშანიკისა“ — ასევე გადამუშავებული, სხვა ქართველ წმინდანთა წამება-ცხოვრებებთან ერთად, შეიტანა თავისსავე მიერ შედგენილ ჰაგიოგრაფიულ კრებულში — „მარტირიკაში“ (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერები: S–1272, — 78, Q–2988..,), იოანე ბატონიშვილმა ანტონის ნახელავის გამარტივება სცადა და ეს გამარტივებული ტექსტი თავის ენციკლოპედიურ ნაშრომში — „კალმასობაში“ მოთავსა (ხელნაწერი H–2170).

ც. ქურციკიძე



ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲛᲐᲗᲔᲑᲘᲗ

ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ

ათონის მაღალ მთაზედა,
მთაწმიდად სახელდებულსა,
სადაცა უდაბნოებსა
და ტაძრებს წმიდად გებულსა
რიცხვი არა აქვსთ, იქ ლავრა,
დაუდებელი ფასისა,
ყველაზე პირველი არის
დიდისა ათანასისა.
გინდ დარი იყოს საამო,
გინდა ავდარი საზარი,
სამოთხის სადგურს გვაგონებს
მაღლობზე მდგომი ტაძარი.
ხან ღრუბლით შემობურვილი,
გარშემო ირტყამს ელვასა
და გადაჰყურებს შორის ზღვის
ტალღების გროვა-ღელვასა;
ხან ისარივით სხივები
დილის მზეს ეტყორცნებიან,
თითქოს იმ საღმრთო ნათელსა
ნათლითა ეხორცებიან.
ხან ღამით მთვარე გავსილი,
თითქოს მიმსვლელი იქ ბინად,
თავზედ ედგმება წმიდასა
წმიდა დიდებულ გვირგვინად.
და ვარსკვლავებიც იმავ დროს
დაჰფეთქენ, დასჭიკჭიკობენ
და ამ გალობით ძალთა ძალს
აღმაღლებულად ამკობენ.
წინ უძევს ბალი ხეხილის,
ხელოვნად შენაკაზმისა,
და იქვე წყარო ჩუხჩუხებს
წმიდისა აიაზმისა.
მთა მწვანე ზეთისხილისა
და ყვავილები ველისა,
საკურთხად აღმომფშვენელნი
ბუნებით საკმეველისა,
ჰაერსა შეაზავებენ
სამკურნალოდ და მარგადა
და სასულდგმულოდ ცხოველთა
მიანიჭებენ ხარკადა!..
მეუდაბნოედ მიდიან
საქრისტიანოს ყოველ მხრით
და იქ იჩენენ სავანეს
სასოებით და ცრემლის ღვრით.
წიაღგახსნილი უდაბნო
უჩენს, ვინც მივა, ბინასა
და მორწმუნეთა იზიდავს,
ვით ანდამატი რკინასა.

აკაკი წერეთელი

ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

ᲐᲗᲝᲜᲘᲡ ᲘᲕᲔᲠᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ*

აღმოსავლეთის სამონასტრო ცხოვრების უდიდესი ცენტრი — ათონი ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანის ძვირფასი სალოცავია. განსაკუთრებით ძვირფასი იგი მაინც მათთვისაა, ვისაც თავისი ცხოვრების მიზნად ღვთისმსახურების სრულყოფილი იდეალი დაუსახავს. ჭეშმარიტად, ათონის წმიდა მთა ამ იდეალის განსახიერებაა.

კარგად რომ წარმოვიდგინოთ, საერთოდ, ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისა და, კერძოდ კი, ქართული ეკლესიისათვის ათონის მნიშვნელობა, საჭიროა, გავერკვეთ მისი არსებობის მთავარ მიზანში, იდეაში.

ვფიქრობთ, წმიდა ათონის მთის მნიშვნელობა ბოლომდე გასაგები მხოლოდ მაშინ იქნება, როცა ადამიანი ღრმად ჩაწვდება მის მკვიდრთა სულიერ ცხოვრებას, როცა იგი თავისი გულით დაუკავშირდება იმ ყოფას, იმ სამყაროს, რომლითაც ცხოვრობდნენ ეს წმიდა მამანი.

„წმიდა მამანო, ათონის ღვთაებრივი და წმიდა მთის მკვიდრნო! იცოდეთ, ქვეყნად არსებობს კონსტანტინეპოლის მსგავსი ქალაქთა მეუფე ქალაქი და კიდევ მეტი — ყველა მათზე მაღალი, უსამეფოესი და უღვთაებრივესი თქვენი მთა, რომელიც ყველა ამქვეყნიურ მთაზე მაღალია. თქვენ კი ხართ ნათლით მოსილნი და მარილნი ამა სოფლისანი. ასე ვფიქრობთ და ასე გვწამს ჩვენ“, — წერდა იმპერატორი ალექსი კომნენი.

ასეთ დიდ შეფასებას აძლევდნენ ათონს ძველთაგანვე.

ათონის სამონასტრო ცხოვრება საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა დიდ რელიგიურ განმანათლებლურ ინსტიტუტს, ქრისტიანული მოძრაობის სულიერი ზრდისა და განვითარების მძლავრ კერას, რომელსაც, შეიძლება ითქვას, არა მხოლოდ საერთო ქრისტიანული, არამედ, მსოფლიო მნიშვნელობა ჰქონდა.

ჭეშმარიტად, ათონი იყო და რჩება ქრისტიანული მრწამსის უმაღლეს საზომად ყველა დროისა და ვითარებისა.

ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ათონის მთის ივერიის მონასტერს საქართველოსათვის.

მისი სიმაღლიდან ნათელივით გადმოსწვდა ჩვენს ქვეყანას მართლმადიდებლური იდეები: იგი იყო ქრისტიანული მოძღვრების სიწმიდის მფარველი და ნათლის სვეტივით მიუკვლევდა გზას ყველას ცათა სასუფევლისაკენ.

მისი მკვიდრნი, როგორც მარილნი ამა ქვეყნისანი, თავიანთი სიწმიდით, ქრისტიანული ცხოვრებითა და მორალით მუდამ მაგალითის მიმცემნი იყვნენ ყველასათვის.

ივერიის მონასტერში მოღვაწე წმიდა ბერები ჩვენ იმითაც გვიზიდავენ და გვხიბლავენ, რომ რელიგიური სამსახურის პარალელურად ისინი ერთი წამითაც არ

---

* სტატია ნაწილია ავტორის დიდი ნაშრომისა: „ათონის ივერთა მონასტერი“. იბეჭდება პირველად.



პალიმფსესტი. ოთხთავი. V—VI ს.ს. (პალიმფსესტი ისეთი ეტრატია, რომელზედაც რაღაც წაუწერიათ, მერმე ეს წაუშლიათ, სხვა წაუწერიათ. ასეთ ეტრატს სინათლეში რომ გახედავ, ძველსაც შეამჩნევ და ახალსაც).

ივიწყებდნენ თავიანთ მრავალტანჯულ სამშობლოს — საქართველოს, მის ერს, მის ეკლესიას. ქართველი ერის სიხარულით ცხოვრობდნენ, მისი ტანჯვით იტანჯებოდნენ. დიდი რელიგიური მრწამსით და თავიანთი საქმიანობით უმაღლეს სიწმიდემდე მიღწეულნი, კარგად ხედავდნენ ქართველი ხალხისა და ეკლესიის ტკივილებს. და ყოველივე ეს მწუხარებითა და საქვეყნო საქმეებზე ზრუნვით აღავსებდა მათ სულებს. სწორედ ამიტომ, საფრთხის ჟამს, ზოგჯერ დროებით ტოვებდნენ წმიდა მთას და საქართველოში ჩამოდიოდნენ, რათა ზოგიერთი გზააცდენილი თანამემამულისათვის ქრისტეს მცნება ხელახლა ექადაგნათ და ისინი ჭეშმარიტების გზაზე მოებრუნებიათ.

იოანე და ექვთიმე მთაწმიდელების ცხოვრებაში ნათქვამია, რომ ხანდაზმულობის მიუხედავად, ექვთიმე ათონელი არ შეუშინდა შორეულ, ძნელ მგზავრობას ათონიდან საქართველოში და ოთხი წლის მანძილზე უქადაგებდა და ასწავლიდა ხალხს ქრისტეს მცნებას, უჩვენებდა სწორ გზას, მათს ქცევებსა და ჩვეულებებში შესწორებები შეჰქონდაო.

ამ თვალსაზრისით, კიდევ უფრო მეტი გიორგი მთაწმიდელმა გააკეთა. იგი ბაგრატ IV-მ საგანგებოდ გამოიხმო ათონის მთიდან, რათა ხალხს საკუთარი თვალით დაენახა და გულით შეეგრძნო ის დიდი სიწმიდე, რომლითაც ნათელმოსილი იყო ეს ღირსი მამა... გიორგი მთაწმიდელი გულმხურვალედ გამოეხმაურა საქართველოს მეფის თხოვნას, ჩამოვიდა საქართველოში და ენერგიულად მოჰკიდა ხელი საეკლესიო საქმიანობის გამოღვიძებას და მის აღორძინებას. სწორედ მან მოუმზადა ნიადაგი იმ დიდ საეკლესიო რეფორმას, რომელიც 1103 წელს რუის-ურბნისში ჩატარდა. მისი სახელი ბევრი ქართველი ქრისტიანისათვის იქცა სამაგალითო გზად ცხოვრებისა.

თავიანთი პირადი მოწამებრივი ცხოვრებით, ღვთისა და მშობელი ქვეყნისადმი თავდადებული საქმიანობით ივერიის წმიდა მამებმა მართლაც შესძლეს არა თუ მხოლოდ ეკლესიის მსახურთა, არამედ, მთელი სამწყსოს გამოღვიძება. მათი განსაკუთრებული გულისხმიერების საგანი იყო არა შთამომავლობა და სიმდიდრე, არამედ — ადამიანის პირადი ღირსებები. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მთავარი და მნიშვნელოვანი მთელს მათს მოღვაწეობაში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ის არის, რომ ივერიელი მამები, ცხოვრობდნენ რა საკუთარი სამშობლოდან შორს, ერთი წუთითაც არ წყვეტდნენ მასზე ფიქრს, მუდამ საქართველოს ეკლესიისათვის ლოცულობდნენ და გულმხურვალედ მფარველობდნენ მის ავტოკეფალიას.

ცნობილია: XII საუკუნეში ჯვაროსანთა მიერ ანტიოქიისა და იერუსალიმის თურქთაგან გამოხსნას აღმოსავლეთის მართლმადიდებლობისათვის საკმაოდ არასასურველი შედეგი მოჰყვა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ამ ქალაქების მართლმადიდებელი პატრიარქები გადააყენეს, ხოლო მათი ადგილი დაიკავეს ლათინებმა. ლათინები დამკვიდრდნენ ანტიოქიაშიც და პატრიარქის ტახტზე ავიდა თეოდოსი, რომელმაც გადაწყვიტა თავისი უფლებები მთელ აღმოსავლეთში განემტკიცებინა და საქართველოს ეკლესიაც თავისთვის დაექვემდებარებინა, — თითქოსდა, იმ საბაბით, რომ მეხუთე საუკუნემდე იგი ანტიოქიას მორჩილებდა.

თეოდოსიმ გამოიძახა ღირსი მამა გიორგი მთაწმიდელი და ასეთი სიტყვებით მიმართა მას:

— ნეტარო მამაო, შენ ქართველი ხარ, მაგრამ ცოდნითა და განსწავლულობით ჩვენ გვიტოლდები. ამიტომაც მოგმართავთ: — თქვენი ეკლესია და სამწყსო თქვენი აუცილებელია, რომ გვმორჩილებდეს ჩვენ, რამეთუ იგი სამოციქულო არაა და იმთავითვე ჩვენზე დამოკიდებული იყო.

გარდა ამ განცხადებისა, პატრიარქმა მუქარით ამცნო გიორგი მთაწმიდელს, რომ, თუ საქართველოს ეკლესია მის განჩინებას არ დაემორჩილებოდა, აღმოსავლეთის სხვა პატრიარქთა მხარდაჭერით, მას ანათემას გადასცემდა.

გიორგი მთაწმიდელმა მოითხოვა წიგნი, რომელშიაც მოთხრობილი იყო მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ცხოვრება და მოღვაწეობა, იქ ნათლად ეწერა, რომ ანდრია პირველწოდებულმა ქრისტეს მცნება იქადაგა საქართველოში... ამის შემდგომ მან ასეთი რამ უპასუხა პატრიარქს:

„წმიდა მეუფეო! შენ აღნიშნავ და თავი მოგწონს იმით, რომ ზიხარ მაღალყოვლადღირსი მოციქულის

პეტრეს ტახტზედ. იცოდე კი, რომ ჩვენ განგვანათლა ანდრია პირველწოდებულმა, პეტრეს ძმამ, თვით პეტრეს განმანათლებელმა, მისთვის ჭეშმარიტი სინათლის მეკვლემ. ჩვენი განმანათლებელი მათ შორის უპირველესია, ხოლო ერთი თორმეტ მოციქულთაგანი, სიმონ კანანელი, დაკრძალულია ჩვენს ქვეყანაში, აფხაზეთში, — ძველი ნიკოფსიის მიდამოებში. მხმობელი ვალდებულია დაემორჩილოს ხმობილს ისე, როგორც წმ. პეტრე მოციქული, მოხმობილი თავისი ძმისაგან, უნდა დაემორჩილოს მას, როგორც მის მეკვლეს ჭეშმარიტების გზაზე. ამიტომ თქვენი ტახტი წესით ჩვენსას უნდა ჰმორჩილებდეს“. ასეთი იყო გიორგი მთაწმიდელის პასუხი, მაგრამ მხოლოდ ამით არ დაკმაყოფილებულა იგი. მან სათანადო არგუმენტებით დაუდასტურა ანტიოქიის პატ**რიარქს შემდეგი: იყო დრო, როცა ბიზანტიაში ისე შერყეული იყო მართლმადიდებლობა, რომ ადგილის პოვნაც ჭირდა მოციქულთა სწავლების საქადაგებლად, მაშინ, როცა საქართველო მუდამ მტკიცედ ინახავდა მოციქულთა გადმოცემებსო... და სხვ.**

ამ განცხადების შემდეგ ანტიოქიის პატრიარქი იძულებული შეიქნა დამორჩილებოდა გიორგი მთაწმიდელის სიტყვებს. მან თქვა:

— ხედავთ ამ მონოზონს. იგი ყველაფერზე სწორ და ამომწურავ პასუხს გვაძლევს. ნუღარ შევედავებით მას, თორემ როგორც სიტყვით, ისე საქმითაც დაგვიმტკიცებს თავის სიმართლეს და ჩვენ დამარცხებულნი აღმოვჩნდებითო.

გიორგი მთაწმიდელში ფეთქავდა ნამდვილი ქართველი მამულიშვილის გული. არც მას და არც ივერთა მონასტრის მკვიდრ სხვა ბერებს არ შეეძლოთ გულგრილნი დარჩენილიყვნენ საქართველოსა და ქართული ეკლესიის ბედ-იღბლის მიმართ.

ეთხოვებოდნენ რა თავიანთ სამშობლოს, მას უტოვებდნენ თავიანთ გულებს და საჭირო შემთხვევაში მუდამ მზად იყვნენ მისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

მაგრამ არა მარტო ამისთვისაა ქართველთათვის ძვირფასი ივერთა მონასტერი. იგი საუკუნეთა მანძილზე იყო ქართული საეკლესიო მწიგნობრული კულტურის დიდი კერა. აქ მიმდინარეობდა დიდი შემოქმედებითი — ორიგინალური თუ მთარგმნელობითი მუშაობა. სწორედ ათონში შემუშავდა ბრწყინვალე სალიტერატურო ენა, რომელიც იმთავითვე მიიღო და შეითვისა ქართულმა მწერლობამ. ათონის მთის ივერთა მონასტერი იყო ის მთავარი საყრდენი, საიდანაც ჩვენი ქვეყანა ეზიარებოდა ბერძნულ კულტურას. ცხადია, ეს კავშირი არ ყოფილა ცალმხრივი და მაშინდელი ქართული კულტურის მიღწევებიც სწორედ ათონის მთიდან გადიოდა ბიზანტიასა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

დიდმა მთაწმიდელებმა თავიანთი მისია შეასრულეს. ივერთა მონასტერი, სადაც მოღვაწეობდნენ დიდი ფილოსოფოსები, მწერლები, მთარგმნელები, მეცნიერები, საქართველოსათვის ბიზანტიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის დიდ ცენტრად იქცა.

ამასთან ერთად, იგი მუდამ იყო ჩვენი უძველესი საქრისტიანო ქვეყნის რელიგიური ცხოვრების შთაგონებული სალოცავი.

საუკუნეთა მანძილზე, თუმცა არათანაბრად, მაგრამ მაინც მუდამ ჩქეფდა აქ ქართველთა დიდი საეკლესიო, სამწერლობო ცხოვრება და მხოლოდ ბოლო საუკუნეში შეწყდა. ჩვენი ნატვრაა, კვლავ აღვადგინოთ იგი.

ათონის მთის გუბერნატორი თბილისში

ნატვრა, რომ კვლავ აღდგეს ჩაწყვეტილი ფესვები ათონის მთის მონასტერთან, თანდათან რეალურ სახეს იღებს. ამის ერთ-ერთი საიმედო დასაწყისია ათონის მთის გუბერნატორის, სალონიკის უნივერსიტეტის პროფესორის, ბატონ დიმიტრიოს ცამისის სტუმრობა თბილისში.

ბატონი დიმიტრიოს ცამისი საქართველოში ჩამობრძანდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის მოწვევით.

ბატონი დიმიტრიოს ცამისი გაეცნო საქართველოს ისტორიას, ქართველ მეცნიერებს, ჰქონდა შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან, საბჭოთა კავშირ-საბერძნეთის საქართველოს განყოფილების საზოგადოებასთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულთან საქართველოში — თენგიზ ონოფრიშვილთან.

ქართული ეკლესიის, ქართველი მორწმუნე ერის და პირადად თავისი სახელით სიონის საპატრიარქო ტაძარში მას მიესალმა უწმიდესი და უნეტარესი ილია II. დაბოლოს, მოეწყო ქართველი საზოგადოების შეხვედრა დიმიტრიოს ცამისთან.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის სიტყვა

ბატონებო და ქალბატონებო...

გვაქვს პატივი — ჩვენი მოწვევით, საქართველოს ეკლესიას ესტუმრა საბერძნეთის ერთ-ერთი დიდი საზოგადო მოღვაწე, სალონიკის უნივერსიტეტის პროფესორი, თეოლოგი და ათონის მთის გუბერნატორი, ბატონი დიმიტრიოს ცამისი. ეს ჩვენთვის დიდად სასიხარულოა. როგორც ჩანს, აღდგენას იწყებს ის დიდი ტრადიციული ურთიერთობანი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში არსებობდა საქართველოსა და საბერძნეთს შორის.

ბატონო დიმიტრიოს ცამის, მოგესალმებით საქართველოს ეკლესიის სახელით... იმ ეკლესიისა, რომელმაც მსოფლიოს მრავალი საზოგადო და საეკლესიო მოღვაწე აჩუქა, რომელმაც აღზარდა საბერძნეთში კარგად ცნობილი იოანე, ექვთიმე, გაბრიელ, გიორგი მთაწმიდელები — დიდი მთაწმიდელები... მოგესალმებით იმ ეკლესიის სახელით, სადაც განგებითა ღვთისათა, ჩამოიტანეს და დაკრძალეს კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, სადაც ქადაგებდნენ და მოღვაწეობდნენ იესო ქრისტეს მოციქულები — ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი. როგორც ვხედავთ, ჩვენს ურთიერთდამოკიდებულებას, ძალიან დიდი და ნაყოფიერი ტრადიცია აქვს, მაგრამ იმ რთულმა ისტორიულმა პირობებმა, რაც საუკუნეთა მანძილზე გამოიარეს ჩვენმა ქვეყნებმა — ბერძენი და ქართველი ერების უამრავმა ავბედობამ, გარკვეულ პერიოდში შეანელა და შეწყვიტა ეს ურთიერთშორისი კავშირი... ამჯერად კი, ჩვენთვის დიდად სასიხარულოდ, ხდება მისი თანდათანობითი აღდგენა. ეს აუცილებელია როგორც ეკლესიური, ისე საზოგადოებრივი თვალსაზრისით; ეს საჭიროა, როგორც ქართველი, ისე ბერძენი ერისათვის. ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო... ვფიქრობთ, უფრო უნდა განვითარდეს ყოველივე ეს.

სულ რამდენიმე დღეა, თქვენ ბრძანდებით საქართველოში. ეს არის თქვენი პირველი ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში და დარწმუნებულნი ვართ, ამას უსათუოდ კარგი და სასურველი შედეგი მოჰყვება.

როგორც ერთ-ერთი თქვენი გამოსვლის დროს ბრძანეთ, უნდა აღდგეს ხიდი და ამ ხიდზე უნდა იყოს მიმოსვლა. ჩვენც ამ აზრისანი ვართ. გვჯერა, რომ ეს არის მხოლოდ დასაწყისი. გვჯერა, რომ თქვენ მომავალში კიდევ არაერთხელ გიხილავთ აქ. ვიხილავთ სხვა საზოგადო მოღვაწეებსაც საბერძნეთისას. ჩვენთვის მეტად სასიამოვნოა, რომ თქვენ ბრძანდებით ათონის მთის გუბერნატორი, იმ მთისა, სადაც საუკუნეთა მანძილზე არსებობდა საქართველოს დიდი საეკლესიო და სამეცნიერო კერა — ივერიის ათონის მონასტერი. იქ მოღვაწეობდნენ, შრომობდნენ, ლოცულობდნენ, შეჰღაღადებდნენ ღმერთს ჩვენი დიდი წინაპრები: იოანე, ექვთიმე, გაბრიელი, არსენი, გიორგი და მრავალნი სხვანი. ჩვენ გვინდა და გვწყურია — კავშირი, რომელიც არსებობდა საქართველოსა და ათონის მთას შორის, ისევ აღდგეს, ისევ გაცხოველდეს. ათონის მთის ივერიის მონასტერში ინახება დიდი საგანძური ქართველი ერისა — მრავალი ხელნაწერი. ეს ყოველივე კი მეტყველებს იმ დიდ ურთიერთობაზე, რომელიც არსებობდა ბიზანტიის იმპერიასა და საქართველოს შორის. აი, ამ კავშირს მოწყურებულნი მოგესალმებით თქვენ. მოგესალმებით სიყვარულით და შევთხოვთ უფალს, მოგანიჭოთ დღეგრძელობა, ოჯახსა თქვენსა კეთილდღეობა, წარმატებანი თქვენს სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში...

ი ც ო ც ხ ლ ე თ !

ბატონ დიმიტრიოს ცამისის სიტყვა

დიდად მოხარული ვარ, რომ საშუალება მეძლევა ამ უწმიდეს და უძველეს ტაძარში გამოვხატო უდიდესი მადლობა პირადად თქვენს მიმართ, თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, ჩემი საქართველოში მოწვევისათვის,—ეს ჩემთვის დიდი პატივია. მადლობელი ვარ იმისთვისაც, რომ ამ სიტყვის თქმის საშუალება მომეცა ხმამაღლა, ქართველ ქრისტიანთა წინაშე. ჩვენს ორ უძველეს სახელმწიფოს შორის ურთიერთობასა და მეგობრობას ხომ უშორეს საუკუნეებში უდგას ფესვები... ბევრი ტანჯვა და წვალება გამოიარეს ჩვენმა ქვეყნებმა, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, მაინც მტკიცედ დაიცვეს და დღემდე მოიტანეს ჭეშმარიტი მართლმადიდებლური სარწმუნოება. ცხადია, დიდი და მძიმე იყო ეს გზა. ისევ ისტორიის ბედუკულმართობის გამო, ხშირად ჩვენი ურთიერთობები ჩაწყვეტილიც იყო, ამჯერად კი ხდება მათი აღდგენა. ამის ერთი საწინდარი ეს შეხვედრაცაა. ვიმედოვნებ, მომავალში უფრო ახლობლური და ნაყოფიერი იქნება ჩვენი თანამშრომლობა.

ჩვენ ბევრი რამ გვაკავშირებს ერთმანეთთან. ბევრი რამ ვიცით დღევანდელი საქართველოს შესახებაც. ბოლო წლებში ჩვენთან ჩამოვიდნენ ბერძნები, რომელთაც სიყვარულთან ერთად ჩამოიტანეს საინტერესო ცნობები დღევანდელი საქართველოს ცხოვრებისა და მისი ისტორიის შესახებ.

და მე მინდა დღეს, ამ წმიდა ტაძარში, ჩემი მცირე ლოცვით, გამოვხატო გულითადი პატივისცემა და სიყვარული ქართველი ერისადმი, პირადად თქვენდამი, ვილოცო პირადად თქვენთვის.

დიმიტრიოს ცამისი

ძალიან ბევრმა და სამახსოვრო წუთმა მოიყარა თავი. ყველაფერი ეს რაღაც ფანტასტიურ, საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს ჩემს სულზე. წელთა ვერავითარი სრბოლა ვერ გაანელებს ამ შთაბეჭდილებებს; პირიქით, უფრო გააღრმავებს, უფრო ძვირფასს გახდის ჩემთვის. მე არ ვარ ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ასეთი დამოკიდებულება გაუჩნდა საქართველოსთან; ყველა ბერძენი, ვინც კი აქ ყოფილა, ვისაც საშუალება ჰქონია გასცნობოდა თქვენს ხალხსა და ქვეყანას, მუდამ დიდი სიყვარულით არის აღსავსე საქართველოსადმი.

ჩვენი ისტორიები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ძალიან ხშირად იყვნენ ერთად ქართველი და ბერძენი ბერები, ერთად მოღვაწეობდნენ, ერთად ქმნიდნენ მართლმადიდებელი ეკლესიის საგანძურს, რომელთა დიდი ნაწილი დღეს მსოფლიო ხელოვნების შედევრებს მიეკუთვნება. ერთი ასეთი ხელოვნების შედევრი ათონის მთის ივერიის მონასტერია, სადაც ქართველ ბერებთან ერთად ბერძნებიც ხშირად ლოცულობდნენ, ქვეყნის გასაჭირის დროს კი ეს ბერები ბერძნებთან ერთად იბრძოდნენ, მხარში ედგნენ ერთმანეთს. ათონის წმიდა მთაზე დღესაც მრავალი ძვირფასი ქართული ხელნაწერია შემონახული და ჩაკეტილი. სამწუხაროა, რომ ქართველი ერი ვერ ეწაფება მას. და არა მარტო ხელნაწერი, ყოველივე, რაც იქ შემორჩა, იქნება ეს კედლის ქართული წარწერა, ფრესკები, ხატები, თუ სხვა, რა თქმა უნდა, ძვირფასია და ქართული კულტურის განძს წარმოადგენს. იგი ელოდება გამოცდილ მკვლევარს. ვფიქრობთ, ამ ხელნაწერებისა და საერთოდ, მთელი საგანძურის შესწავლა-დამუშავება საქართველოს ისტორიის ბევრ საინტერესო ფურცელს მოჰფენს სინათლეს.

მინდა მოგახსენოთ, რომ ნატვრა, რომელიც ქართველ და ბერძენ ხალხებს ამ თვალსაზრისით აერთიანებს, მალე ასრულდება. მე ამას ვამბობ არა მარტო ჩემი სახელით, არამედ. ბერძენი ხალხისა და ბერძენი ბერების სახელით.

როგორიც არ უნდა იყოს სამადლობელი სიტყვები, იგი მთლიანად მაინც ვერ გამოხატავს გრძნობებს. აი, იმ გამოუთქმელი გრძნობებით მინდა, თქვენო უწმიდესობავ, გადმოგცეთ ჩემი მადლობა, დიდი მადლობა.

ვიმედოვნებ, ჩვენ ისევ შევხვდებით ერთმანეთს, შევხვდებით საბერძნეთში და მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ თქვენი ნატვრა ასრულდეს.

დაბოლოს, ერთი და მთავარი, რაც მინდა გისურვოთ, არის ის, რომ თქვენი სახელი და სახე თქვენი, მშვენიერი სახე, ისტორიას შემორჩეს, როგორც ფრესკა, როგორც ნათელი.

---

* სიტყვა, წარმოთქმული საზეიმო მიღებაზე.



ადამიანის ცხოვრებაში, იშვიათად, მაგრამ მაინც არსებობს წუთები, როდესაც არ შეიძლება გამოითქვას გრძნობები, რომელიც მას ეუფლება. ყველა სიტყვა, რომელიც შეიძლება მე ახლა ვთქვა, ღარიბი და უფერული იქნება ჩემს განცდებთან შედარებით. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ჩემს მეორე სამშობლოში ვიმყოფებოდე... მთელი ჩემი შესაძლებლობებით ვეცდები ვიყო თქვენი ჭეშმარიტი მეგობარი. ყოველივეს მოვიმოქმედებ, რათა განმტკიცდეს კავშირი ჩვენს ერებს შორის.

გფარავდეთ მოციქულთა სწორი, წმიდა ნინო.

დ ი მ ი ტ რ ი ო ს ც ა მ ი ს ი

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲗᲐᲛᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ჯერ გაზეთებმა და ტელევიზიის ეკრანმა აუწყა საქართველოს მისი დაბრუნება... კუბოზე ისევ ცოცხლად ეწყო თურმე, 72 წლის წინათ დაკრეფილი ყვავილები... სხეული მისი უცხო მიწაში ჩაიშალა... სული კი, ის ძლიერი, ნათელი სული, იმ წუთიდან თავის სათაყვანო სამშობლოს ზეცას დაუბრუნდა...

ჩვენ, რა თქმა უნდა, ადრეც ვიცოდით მისი სახელი... უმეტესწილად, იქნებ ზოგადად, მაგრამ ვიცნობდით მის წიგნებს, შრომებს მისას, სამშობლოს სიყვარულით ანთებული გული რომ წერდა იმ შორეულ ქვეყანაში. იგი არის ავტორი უნიკალური წიგნისა — „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“. თავის დროზე ამ წიგნს დიდმა ილია ჭავჭავაძემ მეორე „ქართლის ცხოვრება“ უწოდა...

ამაღელვებელია მისი ცხოვრების ისტორია, ამაღელვებელია მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეც... მან, ქართველმა კაცმა, იქ, იტალიაში სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად გასწირა თავი... შემოდგომის თუ ზამთრის ერთ ნაღვლიან დღეს, ქუჩაში მიმავალმა უეცრად დაინახა, რომ მდინარეში ვიღაც იღრჩობა, ცურვა არ იცოდა, მაგრამ ერთი წამითაც არ დაფიქრებულა და წყალში გადაეშვა. მომაკვდავი გადაარჩინა, მაგრამ თვითონ დაიღუპა... მომხიბვლელია ეს ტრაგიკული და მაინც ულამაზესად დასასრული მისი სიცოცხლისა, ქრისტიანული დასასრული... ადამიანის ცხოვრებაში გადადგმულ ასეთ ნაბიჯს ხშირად დიდი შემოქმედების მწვერვალებსაც უთანაბრებენ... და ეს ასეცაა... ძვირფას წიგნებს შორის, რომელიც მან თავის ერს დაუტოვა, ერთ-ერთი საუკეთესო იმ უცნობი იტალიელი მოქალაქის გადარჩენილი სიცოცხლეცაა...

სწორედ ამის გამო და მადლიერების ნიშნად ჩაუტანებიათ მისთვის ეს მშვენიერი, ვინ იცის, ვისი ხელით მოტანილი ყვავილები... რომელთაც 72 წლის მანძილზე არ ეწერათ დაშლა... თითქოს სიმბოლურად, ცოცხალივით შენახულიყვნენ ისინი, რათა საბოლოოდ, ქართველი კაცის თვალს ენახა და ამ ხილვის ამსახველი, ამაღელვებელი კინოკადრები სამშობლოში ჩამოეტანა... სამშობლში ჩამოეტანა თვით ნეშტი მისი...

ქართული ეკლესია, უწმიდესის ლოცვაკურთხევითა და მადლიერების გრძნობით იხსენიებს ვინმე კორნელადო კურციოს, იტალიელ მოქალაქეს, რომლის უანგარო ზრუნვის შედეგად საგანგებოდ შეინახეს მიხეილ თამარაშვილის სამარე იტალიის ქალაქ ჩივიტავეკიას მონასტერში.

მადლიერების გრძნობით იხსენიებს მწერალ რევაზ თაბუკაშვილს, რომელმაც თამარაშვილის ნეშთი საქართველოში ჩამოასვენა.

რა საოცარი იყო ის დღე... ხალხი რომ უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა ჯერ საქართველოს ხელოვნების მუზეუმის შენობისაკენ, შემდეგ, რუსთაველის პროსპექტის გავლით... მზეში აშრიალებული ჭადრების ხეივანსა და საზეიმო მდგომარეობაში მოჰქონდათ ამჯერად უკვე ქართულ მიწაზე მოსული ყვავილებით შემკული მისი საოცრად მშვენიერი, თეთრი სასახლე.

დიდუბის წმიდა მიწას მიაბარეს იგი.

უმშვენიერესი ქართული გალობის ხმები სწვდებოდა სმენას... ქართველი გოგონების გალობის ხმები... დაბოლოს, რაოდენ სიმბოლური იყო დიდი აკაკის ხმა რომ გაისმა ეთერში:

„დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმაბარეო...“

იყო ცრემლიც, იყო ღიმილიც და ყველაზე მეტი იყო სიხარული... ხალხმა, ქართველმა ხალხმა, ამ ნათელ დღეს ერთხელ კიდევ ღრმად იწამა თავისი უკვდავება... ერთხელ კიდევ ეზიარა იმ მაღალ სიწმიდეს,

რომელიც ასე აუცილებელი და საჭიროა მისთვის...

და სიტყვებშიც, რომელიც იმ დღეს გაისმოდა იქ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეს სიხარული და მადლიერება იგრძნობოდა.

„ჩვენი ერი და ეკლესია საუკუნეთა მანძილზე მუდამ იყო ერთად... დღეს ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა... ჩვენ დღეს ვართ ერთად და მომავალშიც მუდამ ერთად უნდა ვიყოთო“ — თქვა თამარაშვილის გაჭრილ საფლავთან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.

და მან, ვინც იმ დღეს ეს სიტყვები მოისმინა, ერთხელ კიდევ იწამა მისი ჭეშმარიტი სიბრძნე.

ჩვენმა დიდმა თანამემამულემ მიხეილ თამარაშვილმა თავისი კეთილშობილური მოღვაწეობა ხელუხლებელი საარქივო მასალების ძიებით დაიწყო. დრამატიზმით სავსე, მოკლე სიცოცხლეც ამ უვალ გზაზე დაასრულა. დიდია მისი ღვაწლი როგორც საერო, ისე სასულიერო მოღვაწეობის ასპარეზზე. ყველაფერი, რაც მან თავისი სიცოცხლის მოკლე დროში შექმნა, შეუდარებლად ძვირფასია და ერთი ადამიანის შესაძლებლობას აღემატება.

საქართველოს ისტორიისათვის უძვირფასესი საბუთების მიგნებამ, მათმა დამუშავება-გამოქვეყნებამ შარავანდედით შემოსა მისი სახელი. იმის გარდა, რომ მიხეილ თამარაშვილმა გამოსცა სამი წიგნი (მათ შორის, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“), მის პირად არქივში დამუშავებული და დაუსტამბავი დარჩა საინტერესო მასალა XVII საუკუნიდან მოკიდებული XVIII საუკუნის დასასრულამდე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის საარქივო ფონდში შემონახულია მ. თამარაშვილის პირადი არქივი, რომელშიც თავმოყრილია ამ შესანიშნავი მკვლევარ-ისტორიკოსის მიერ მოძიებული სრულიად უცნობი ავტორების ფრანგულ-იტალიური და ლათინურენოვანი დოკუმენტები. ამ უცნობ ავტორთა რიცხვი 50-ზე მეტია.

საქართველოს ისტორიის ყველა უბანზე მოღვაწე მიხეილ თამარაშვილი პირველ ყოვლისა, ცდილობდა შეესწავლა ქართული ეკლესიის წარმოშობისა და განვითარების ყველა ეტაპი. საამისოდ მას ხელთ ჰქონდა უნიკალური ქართული წყაროები და მატიანეები. მან მთელი სიცოცხლე შეალია ამ საქმეს ვატიკანის ხელუხლებელ ფონდებში. რომის არქივში ზღვა მასალა დახვდა ქართული ეკლესიის ისტორიის გასაშუქებლად. და ამ სრულიად ახალი დოკუმენტების საფუძველზე საქართველოს ისტორიის მთელი რიგი უცნობი ფაქტები აღმოაჩინა და დაადგინა.

მ. თამარაშვილის მიერ მოძიებული ისტორიული დოკუმენტები ფასდაუდებელი წყაროა ქართული ეკლესიის სრულყოფილი შესწავლისათვის. ვატიკანის არქივიდან ამოკრებილი ხუთენოვანი საბუთები 1500 წლის პერიოდის ამბებს აშუქებს. საქართველოს ცხოვრების ამსახველი ეპისტოლარული დოკუმენტები ფართოდ გვახედებს საუკუნეების სიღრმეში და აქტუალურ სახეს აძლევს ეროვნული ისტორიის შესწავლის პრობლემებს.

იტალიელი მისიონერების მიერ აღწერილი XVII—XVIII საუკუნეების საქართველოს ვითარება რომ ფართოდ ცნობილი გახდეს, ეს დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს ისტორიის შევსებასა და მის სრულყოფილად დამუშავებას. ვატიკანის არქივში მოპოვებული ისტორიული მასალა, — იმის გარდა, რომ დღემდე გამოუქვეყნებელია, — სრულიად უცნობია ქართული ისტორიოგრაფიისათვის. მ. თამარაშვილის მიერ მიკვლეული საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვანი წყაროები ძვირფას ცნობებს, ახალ დეტალებს შეიცავენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური ვითარების შესასწავლად.

იტალიელი მისიონერების მიერ შემჩნეული საინტერესო ფაქტები, რომლებიც საქართველოს სინამდვილეში ხდებოდა, ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან გარდასული საუკუნეების ცხოვრებაზე.

როგორც ცნობილია, ქართველმა საზოგადოებამ უკვე გაიცნო დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს „წერილები საქართველოზე“, დონ პიეტრო ავიტაბილეს „წერილები საქართველოზე“, დიონიჯო კარლი და პიაჩენცას „თბილისის აღწერა“, ბორომეოს წერილი და სხვა. ამ მეტად საინტერესო ნაშრომებზე რომ დღეს ხელი მიგვიწვდება, მათი შესწავლა და ფართო საზოგადოებისათვის მიწოდება რომ შევძელით, ესეც ჩვენი სულმნათი მიხეილ თამარაშვილის დამსახურებაა. ზემოხსენებულმა ავტორებმა შემოგვინახეს უტყუარი ისტორიული ცნობები საქართველოზე და ამით ფასდაუდებელი მასალა შესძინეს ქართულ ისტორიოგრაფიას, სრულად ჩაგვახედეს თავიანთი საუკუნის ცხოვრებისეულ მატიანეში და მრავალი ფაქტობრივი მასალით ნათელი მოჰფინეს ჩვენი საისტორიო წყაროების ზოგიერთ ბინდით მოცულ საკითხს.

მართალია, მისიონერების საანგარიშო მოხსენებებს მოცულობით დიდი ადგილი არ უჭირავთ საისტო-



დიდუბის პანთეონი. მ. თამარაშვილისადმი მიძღვნილ მიტინგზე სიტყვას წარმოთქვამს უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

რიო ლიტერატურაში (სულ 50 თაბახია), მაგრამ თავისი მნიშვნელობით დიდად ამეტებენ ბევრ სხვა ამგვარი ხასიათის თხზულებებს, რადგან ჩვენ გვაქვს თანამედროვეთა თვალით ნანახისა და გაგონილის უშუალო აღწერილობა, დაკვირვება, დოკუმენტურად ფიქსირება სინამდვილისა და არა რაიმე სუბიექტური მოსაზრების ინტუიციით გაანალიზება.

ისტორიული დოკუმენტების ენით დაწერილ მოკლე ინფორმაციებში, რომლებსაც მისიონერები სამოღვაწეო ქვეყნის ადგილსამყოფლიდან რომში გზავნიდნენ, დაწვრილებითი ცნობებია შეკრებილი საქართველოს მკვიდრ მოსახლეობაზე და დროდადრო სრული ანგარიშია წარდგენილი ვატიკანში.

მ. თამარაშვილს თავისი ნაშრომების მეოთხე ტომში განზრახული ჰქონდა ეჩვენებინა სრული სურათი საქართველოს მღელვარე ისტორიისა XVI საუკუნიდან მოკიდებული XVIII საუკუნის დასასრულამდე.

მ. თამარაშვილის გამოუქვეყნებელ არქივში ქართული ისტორიოგრაფიისათვის სრულიად უცნობ წყაროთა შორის გამოირჩევა მისიონერთა ეპისტოლარული დოკუმენტების კრებული და ვრცელი რელაციონები საქართველოზე, დელი ანჯოლის აღწერილობა ქეთევან წამებულის ტრაგედიისა. ამ საშინელი ამბის თვითმხილველი ავტორი შემზარავი სურათებით ხატავს, როგორ აწამეს ქეთევან დედოფალი შირაზში სპარსეთის მთავარსარდლისა და ბეგლარბეგის — იმამ-ყული-ხანის ბრძანებით. საინტერესო ცნობებს გვაწვდის XVIII საუკუნის საქართველოზე მისიონერ ლეონის რელაციონი. ეს გამოუქვეყნებელი წყარო შეიცავს ერეკლე II-სა და სოლომონ I-ის მეფობის პერიოდს. მასში განხილულია საქართველოს წყობილება, სათავადოები, მოხელე-ყმები; ნაჩვენებია ადმინისტრაციული ერთეულები, ტერიტორიული დაყოფა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში; ცალ-ცალკე დახასიათებულნი არიან ერეკლე II და სოლომონ I, სქემატურად გადმოცემულია სომხეთისა და ირანის პოლიტიკური მდგომარეობა და სხვა.

ვატიკანის არქივში მოპოვებული დოკუმენტების გარდა მ. თამარაშვილმა მიაკვლია სხვა უცხოელ ავტორთა ისეთ უცნობ ნაშრომებს, რომლებიც გვაწვდიან უძვირფასეს ცნობებსა და აღწერილობებს საქართველოზე. ასეთ ავტორთა რიცხვს ეკუთვნის დონ არქანჯელო ლამბერტის მეორე წიგნი, სახელწოდებით „წმინდა კოლხეთი, ანუ კოლხების წმინდა ისტორია“, რომელიც ქართულად ჯერაც არ არის გამოცემული. მასში განხილული და შესწავლილია კოლხეთის სოციალურ-პოლიტიკური კულტურა და რიგი სხვა საკითხებისა. მოყვანილია იმდენად საინტერესო ფაქტები, რომ თავისი შინაარსით ხარისხობრივად სჭარბობს პირველ წიგნს — „სამეგრელოს აღწერილობას“. მასში ჩამოთვლილია მთელი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს კულტურის ცენტრები. ისტორიული ექსკურსის შემდეგ ავტორი საგანგებოდ ჩერდება ზნე-ჩვეულებების ანალიზზე, შედარებებზე და სხვა.

მ. თამარაშვილის არქივში ყურადღებას იქცევს პიეტრო დელა ვალეს თხზულებებიდან ამოწერილი ის ადგილები, რომლებიც საქართველოს ამბებს მოგვითხრობენ; ცნობები მეტად საინტერესოა, რადგან ავტორი თანამედროვე იყო თეიმურაზ მეფისა, შირაზში პირადად გაეცნო ქეთევან წამებულს, ცოლად შეირთო ქეთევან დედოფალთან ახლო ურთიერთობაში მყოფი ქართველი ქალი თინათინ-ძიბა, რომელსაც თვითონ მარიუჩა დაარქვა.

ისევ და ისევ მ. თამარაშვილს უნდა ვუმადლოდეთ XVI საუკუნის პორტუგალიელი ავტორის დონ ანტონიო დე გოვეას რელაციონის გაცნობას საქართველოზე. იგი დღეს უმნიშვნელოვანესი ცნობების შემცველი წიგნია, ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა, რომელშიც თავმოყრილი ამბები უდიდესი ინტერესით იკითხება იმის გამო, რომ ავტორმა ძალზე დეტალურად აგვიწერა ქეთევან დედოფლის დროს სახელმწიფოებრივ მმართველობაში მომხდარი ფაქტები: დედოფლის შამახიაში გამგზავრება, მხედრულად გამოწყობილ ქართველ 300 ქალთან ერთად დიპლომატიური დემარშების მოწყობა და სხვა. მ. თამარაშვილმა გადმოიწერა იოსეფუს სილოსის ნაშრომის მეხუთე თავი, რომელშიც მოთხრობილია საქართველოში მოღვაწე მისიონერების ისტორია და გაშუქებულია ნახევარსაუკუნოვანი ამბები, როცა აღმოსავლეთ და, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობდა დამანგრეველი შინაფეოდალური ომები და ამასთან დაკავშირებული სპარსეთ-თურქეთის აგრესიული ექსპანსიები საქართველოს ტერიტორიაზე.

გულმხურვალე პატრიოტს, საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური ისტორიის დასაწერად დიდძალი მასალა შეუგროვებია, რომლის დამუშავება და გამოქვეყნება მან ვეღარ შეძლო.

მ. თამარაშვილის დაღუპვიდან 72 წლის შემდეგაც მზის სინათლეს ელიან მისი მთელი რიგი ნაშრომები.

გეფან გიორგაძე

ეკლესიანი ხორცთანი უმეტეს არიან ეკლესიათა ქვათასა.

რაჟამს შთახვედ საფლავად ცხოვრება ეგე უკვდავი, მაშინ ჯოჯოხეთი შეაძრწუნე ელვითა მით ღვთაებისა შენისათა, ხოლო რაჟამს მკვდარნი ქვესკნელით აღმოიყვანენ, მაშინ ყოველნი ძალნი ცათანი ღაღადებდენ: ცხოვრების მომცემელო ქრისტე ღმერთო. დიდება შენდა!

ქ ა დ ა გ ე ბ ა ნ ი

კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ისა

(ზეპირი საუბრები და ჩანაწერები)

სიყვარული ღვთისა და სიყვარული ადამიანისა

„სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა...“

კაცობრიობის წინაშე მუდამ იდგა და დგას მეტად მნიშვნელოვანი საკითხები: — რა არის ადამიანის ცხოვრება? ვინ არის ადამიანი? საიდან მოვიდა, ან საით მიდის იგი? — ეს კითხვები მუდამ აწუხებდა კაცობრიობას...

ინტერესი ამისადმი არც დღეს შენელებულა და არც მომავალში შენელდება...

ადამიანი არის არსება, რომელიც შექმნა ღმერთმა ხატად და მსგავსად თვისსა; ადამიანი არის არსება, რომელიც ცხოვრობს დედამიწაზე; ადამიანმა უნდა გამოიაროს განსაცდელი დედამიწისა და წარსდგეს წინაშე ღვთისა.

მაშასადამე, მიზანი ადამიანის ცხოვრებისა ყოფილა მიახლოება ღმერთთან... ღმერთთან და კიდევ... მის ირგვლივ მყოფ ადამიანებთან...

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ღ ვ თ ი ს ა და ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა — ესაა მთავარი, ამას გვასწავლის სახარება. მთელი საღმრთო წერილის შინაარსი არის სწორედ სიყვარული ღვთისა და სიყვარული ადამიანისა.

ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, უნდა სწამდეს და უყვარდეს ღმერთი. რწმენა არის საფუძველი ადამიანის ცხოვრებისა.

ადამიანი ვერ იქნება ბედნიერი, თუ მას არა აქვს რწმენა. ვერავითარი მატერიალური სიმდიდრე ვერ შეავსებს იმ სიცარიელეს, რაც არსებობს ადამიანში, როცა მასში არ არის ღმერთი. ადამიანს აქვს მრავალი მისწრაფება. იგი ცდილობს მიიღოს განათლება, ცოდნა... მაგრამ ეს არ კმარა... ამით იგი ბოლომდე ბედნიერი მაინც ვერ იქნება. თითონაც გრძნობს ამას... გრძნობს, რომ რაღაც სხვა სჭირდება და ეძიებს ამ სხვას... ცდილობს უზრუნველყოფილი იყოს მატერიალურად, ჰყავდეს ოჯახი, შვილები, ნათესავები, მეგობრები... ჰქონდეს კარგი, კეთილმოწყობილი სახლი... მაგრამ როდესაც აღწევს ყველაფერ ამას, ხედავს, რომ არც ეს ყოფილა მთავარი... ამაში არ ყოფილა ბედნიერება. ყველას თავისი გზა აქვს... ყველა სხვადასხვა გზით ეძიებს ბედნიერებას... ზოგი პოულობს, ზოგი კი ვერა... რა არის ამის მიზეზი? საქმე ის არის, რომ ადამიანს უსათუოდ სჭირდება ღვთის რწმენა. თუ მას არ უყვარს ღმერთი... უფრო ზუსტად, ღმერთი და ადამიანი, იგი ვერასოდეს ვერ იქნება ბედნიერი. უპირველესად ყოვლისა, საჭიროა რწმენა და სიყვარული.

ადამიანს ღმერთმა მიანიჭა თავისუფალი ნება... ეს ნება კი შეიძლება სიკეთისკენაც წარიმართოს და სიბოროტისკენაც... ეს უკვე თვით ადამიანზეა დამოკიდებული. ასეთი თავისუფლება ღმერთს არ მიუცია არცერთი სხვა არსებისათვის. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ თავისუფლებით ადამიანი ხშირად ისე ვერ სარგებლობს, როგორც საჭიროა. ხშირად ამას ბოროტად იყენებს და ნაკლებად ფიქრობს საკუთარი სულისა და სხვა ადამიანთა სასიკეთოდ. ჩვენი მიზანია, ისე წარვმართოთ ადამიანის ნება, რომ იგი არ ეწინააღმდეგებოდეს ღვთის განგებასა და მცნებას ღვთისას.

უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს როგორც ღვთაებრივი, ისე ადამიანური ენერგია... და როცა ეს ორი ენერგია არ ეწინააღმდეგება

ერთმანეთს, როცა ისინი ერთი მიმართულებით მიდიან, ადამიანი დგას კეთილ გზაზე, დგას ცხოვნების გზაზე და იგი მიდის ღმერთთან, უახლოვდება ღმერთს... ხოლო, როცა ადამიანი უახლოვდება ღმერთს, უახლოვდება ადამიანსაც.

არ შეიძლება ითქვას: — ჩვენ გვიყვარს ღმერთი, მაგრამ არ გვიყვარს ადამიანი... უსიყვარულოდ შეუძლებელია ცხოვრება. უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი; გვიყვარდეს, თუ გვინდა ვიპოვოთ ღმერთთან მისასვლელი გზა... თუ გვინდა ვიყოთ ბედნიერნი. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოიპოვებს ადამიანი მადლსა ღვთისასა, სულიერად გაძლიერდება და ამაღლდება.

როდესაც მყარდება კავშირი მიწასა და ზეცას შორის, როდესაც ადამიანი აღწევს ამას, ის ძლიერია, ძლიერია სულით და ძლიერია ხორცით.

ᲬᲛᲘᲓᲐᲝ ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, ᲬᲛᲘᲓᲐᲝ ᲫᲚᲘᲔᲠᲝ, ᲬᲛᲘᲓᲐᲝ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲝ

ს ა ხ ე ლ ი თ ა მ ა მ ი ს ა თ ა დ ა ძ ი ს ა თ ა დ ა ს უ ლ ი ს ა წ მ ი დ ი ს ა თ ა

ყოველი ადამიანი ეძებს ძლიერებას: ძლიერებას სულიერს, ძლიერებას ხორციელს. ყოველი ადამიანი, რომელსაც სწამს უზენაესი ძალა, ელოდება მისგან შეწევნას, მფარველობას. ადამიანი ცდილობს დააკავშიროს თავისი თავი ზეცასთან; ცდილობს, რომ ეს მისი სულიერი კავშირი ზეცასთან იყოს მუდმივი, უწყვეტი, ძლიერი. ამ

იხარებს სულნი შენი უფლისა მიმართ, რომელმან შთაგაცვა სამოსელი ცხოვრებისა და კვართი სიხარულისა შეგმოსა შენ.

კავშირისათვის კი — არსებობს ლოცვა. ლოცვა იგივე საუბარია ღმერთთან; ლოცვა — ეს არის ისეთი მდგომარეობა, როგორც ნათქვამია ერთ საგალობელში, როცა:

„ადამიანი დაუტევებს ყოველივე მიწიერს და საუბრობს ღმერთთან“.

რის შესახებ საუბრობს ღმერთთან ადამიანი? ლოცვა არის შედეგი რწმენისა. უნდა გწამდეს და მერმე უნდა ილოცო. თუ შენი რწმენა მტკიცე არ არის, ლოცვაც უძლური და სუსტი იქნება. ადამიანი, რომელშიც არის ეჭვი, — ღმერთი არსებობს თუ არაო, — ან ეჭვი — ღმერთი შეისმენს თუ არ შეისმენს ჩემს ვედრებასო, ტყუილად ლოცულობს — მისი ლოცვა აქვე დარჩება. გინახავთ, ალბათ, დანთებული ცეცხლი — სადმე მინდორში. გაზაფხულზე, როცა ხვეტენ ფოთლებს და წვავენ. არის ბოლი, რომელიც მაღლა მიდის და არის ბოლი, რომელიც მიწაზე იშლება. ასევეა ლოცვა. არის ადამიანი, რომელიც ლოცულობს... მისი ლოცვა ღმერთთან ადის და პირდაპირი კავშირი მყარდება ღმერთსა და ადამიანს შორის — როცა ეს ლოცვა აქედან ადის, იქიდან მადლი გადმოდის, აქედან ვედრება ადის, იქიდან ლოცვა-კურთხევა გადმოდის. ასეთი კავშირი ძლიერია. ე. ი. რა არის საჭირო? საჭიროა, რომ ჩვენი ლოცვა შეისმინოს ღმერთმა. უნდა ილოცოთ ნამდვილი რწმენით. აუცილებლად უნდა გწამდეს, რომ ღმერთი არსებობს, აუცილებლად უნდა ხედავდე ღმერთს შენს წინაშე. აი, როგორც ჩვენ დიდი ადამიანების წინაშე ვდგავართ გამართულად, მოკრძალებით, თავმდაბლად, ასე უნდა იდგეთ. თქვენ უნდა გრძნობდეთ, რომ ხართ ღვთის წინაშე და თვალი ღვთისა დაგყურებთ. მე მაგონდება ქადაგება ერთი ჩემი მასწავლებლისა, როდესაც ვიყავი სასულიერო სემინარიის სტუდენტი; მან მოიყვანა ასეთი მაგალითი: როდესაც თქვენ, სტუდენტები ეზოში გადიხართ, თუ გრძნობთ, რომ ფანჯრიდან რექტორი დაგყურებთ, ცუდს არაფერს გააკეთებთ. აი, ასე უნდა იქცეოდეთ ღვთის წინაშეო. როდესაც გრძნობს ადამიანი, რომ მას, თვით მისი გულის სურვილსაც დაჰყურებს ღმერთი და ხედავს ამას, სულ სხვა სულიერი სამყარო შეიქმნება მის გულში. ლოცვა არსებობს მრავალნაირი. ლოცვასაც აქვს თავისი ხარისხი. არის ლოცვა, რომელსაც ამბობს მხოლოდ ენა. არის ადამიანი, რომელიც ფიქრობს აი, ეს ლოცვა უნდა წავიკითხოო. იმას კი არ ფიქრობს, — ეს როგორ წაიკითხება, ან შესმენილი იქნება თუ არა; არა! ეს უნდა წავიკითხოო. ესე იგი, ენა ასრულებს, აზრი კი, დიდი აზრი, რომელსაც ადამიანის გულს უწოდებენ, გამოთიშულია. ეს ძალიან უხარისხო ლოცვაა და იგი აუცილებლად აქვე, მიწაზე რჩება. ამას ნაკლებად ისმენს ღმერთი. მეორე, ამაზე მეტი არის ის ლოცვა, როდესაც გონებაა ჩართული. ე. ი. შენ ამბობ ლოცვას და მასში ჩართულია შენი აზრი. მესამე, ყველაზე დიდი და ყველაზე ძლიერი არის ის, როდესაც შენი გული ლოცულობს და აზრი თითქმის გამოთიშულია.

ლოცვა არსებობს მრავალნაირი: ღვთის სადიდებელი, თხოვნითი, სინანულისა და სხვადასხვა. ყოველივე ეს ადამიანის სათანადო გრძნობების გამომხატველია.

მე დღეს მექნება საუბარი მხოლოდ ერთ ლოცვაზე, რომელსაც ძალიან ხშირად ვიმეორებთ ჩვენ. ძალიან მოკლეა, მაგრამ ძალიან ძლიერია ეს ლოცვა. უნდა ითქვას, რომ ლოცვები შექმნილია ადამიანის მიერ. პირველი ლოცვა, რომელსაც ჩვენ ძალიან ხშირად ვამბობთ, არის „მამაო ჩვენო“. თქვენ იცით, რომ ეს გადმოგვცა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ; ხოლო სხვა ლოცვები, რომელსაც თქვენ ისმენთ, სხვადასხვა პერიოდში სულიერმა ადამიანებმა — მღვდელთმთავრებმა, ღირსმა მამებმა შექმნეს და დაგვიტოვეს. მაგრამ არსებობს კიდევ ერთი ლოცვა, რომელიც ადამიანს არ შეუქმნია. ეს არის ძალიან მოკლე ლოცვა:

„წ მ ი დ ა ო ღ მ ე რ თ ო, წ მ ი დ ა ო ძ ლ ი ე რ ო,
წ მ ი დ ა ო უ კ ვ დ ა ვ ო, შ ე გ ვ ი წ ყ ა ლ ე ნ ჩ ვ ე ნ“.

რატომ ვახსენე ეს ლოცვა დღეს?

დღეს ეკლესია ზეიმობს წმიდა პროკლეს დღესასწაულს. წმიდა პროკლე იყო ბერძენი და ცხოვრობდა V საუკუნეში. იგი იყო მთავარეპისკოპოსი კონსტანტინეპოლისა. იგი იყო მოწაფე წმიდა იოანე ოქროპირისა და თავის ყმაწვილობაში მის ქადაგებებს ისმენდა. წმიდა იოანე ოქროპირი დიდი მღვდელთმთავარი იყო. იგი თავისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში გაასახლეს კონსტანტინეპოლიდან, გადმოასახლეს საქართველოში და აქ გარდაიცვალა, სოფელ კამანში, სოხუმის მახლობლად და აქვე დაკრძალეს. თითქმის 40 წლის განმავლობაში იმყოფებოდა აქ მისი საფლავი, მაგრამ როდესაც კონსტანტინეპოლის მამათმთავრის ტახტზე წმიდა პროკლე ავიდა, მან დააყენა საკითხი — იოანე ოქროპირის ნეშტი საქართველოდან გადაესვენებინათ კონსტანტინეპოლში. ეს გადასვენება იყო სასწაულებრივი. ამოთხარეს მისი საფლავი და ნახეს, რომ წმიდა იოანე ოქროპირი ჩასვენებული იყო ქვის სარკოფაგში. სარკოფაგი ძალიან მძიმე იყო და მისი კონსტანტინეპოლში გადატანა შეუძლებელი შეიქნა. გახსნეს და ნახეს, რომ გვამი სრულიად უხრწნელია. როგორც დაასაფლავეს, ისევ ისე დახვდათ, მაგრამ მათდა გასაოცრად, ვერავითარმა ძალამ ვერ შესძლო მიცვალებულის გვამის სარკოფაგიდან ამოღება. მიხვდნენ: წმ. იოანე ოქროპირი გამწყრალია კონსტანტინეპოლის მმართველობაზე და არ სურს დაბრუნდეს უკან. ხელცარიელნი წავიდნენ კონსტანტინეპოლში და ახალ იმპერატორს ყოველივე მოახსენეს. წმ. პროკლეს რჩევით იმპერატორმა იოანე ოქროპირს მისწერა წერილი და სთხოვა: აპატიე ჩემს მშობლებს, ასე უდანაშაულოდ რომ გაგასახლეს კონსტანტინეპოლიდან, დაბრუნდი და ისევ დაიკავე შენი ადგილიო. მისი ხელმოწერით და ბეჭდით წამოიღეს ეს წერილი საქართველოში და მისცეს ხელში მიცვალებულს. ამის შემდეგ სავსებით თავისუფლად ამოიღეს სარკოფაგიდან მისი ნეშტი და ირწმუნეს, რომ წმ. იოანე ოქროპირმა შეუნდო შეცოდებანი მათ. იგი გადაასვენეს კონსტანტინეპოლში. აი, ამ პროკლეს მამათმთავრობის დროს კონსტანტინეპოლში მოხდა საშინელი მიწისძვრა. ისეთი საშინელი, რომ ინგრეოდა მთელი შენობები, ხალხი გამოსული იყო გარეთ და ხელაპყრობილი, ცრემლით ლოცულობდა. წმ. პროკლემ შემოსა მთელი სამღვდელოება და ღია ცის ქვეშ დაიწყო პარაკლისი. ამოვარდა ქარიშხალი და ქარმა ბავშვი ზეცად აიტაცა. რამდენიმე ხნის შემდეგ დაინახა ხალხმა, რომ ეს ბავშვი ისევ ჩამოეშვა ზეციდან და როდესაც მიცვივდნენ მასთან, ნახეს, რომ ცოცხალია.

— რაღაც ძალამ ამიყვანა ზეცად და მომესმა ანგელოსთა გალობა „წ მ ი დ ა ო ღ მ ე რ თ ო, წ მ ი დ ა ო ძ ლ ი ე რ ო, წ მ ი დ ა ო უ კ ვ დ ა ვ ო“ და გავიგონე ხმა: გადაეცი ხალხს, რომ მათაც ილოცონ ასე და გადარჩებიანო, — სთქვა ბავშვმა. ხალხმა მაშინვე აიტაცა ეს ლოცვა და დაუმატა: „შ ე გ ვ ი წ ყ ა ლ ე ნ ჩ ვ ე ნ“.

ამ დღიდან მუდამ ისმის ეს ლოცვა. იგი წმ. სამების სადიდებელია. ეს არის უძლიერესი ლოცვა. როდესაც ადამიანი გასაჭირშია, ქვეყანა გასაჭირშია, ყველამ უნდა ილოცოს აი, ამ მოკლე, მაგრამ ძალიან ძლიერი ლოცვით.

მოგახსენებთ ერთ შემთხვევას, რომელიც მოხდა ერთი ღირსი მამის ცხოვრებაში. იყო ერთი ბერი განდეგილად უდაბნოში. ის სულით შეწირული იყო ღვთისა და ხალხისადმი. თავისი თავი სრულიად დავიწყებული ჰყავდა და ლოცულობდა მხოლოდ ხალხისათვის. ისეთი სიყვარულით იყო აღვსილი მისი სულიერი სამყარო, რომ საბოლოოდ, თვით ეშმაკიც კი შეენანა და შესთხოვა ღმერთს:

„შენ ხომ ხარ მოწყალე, შენ ხომ ხარ სიყვარული, აპატიე ეშ-

მაკს, რაც შეგცოდა, ეშმაკი ხომ ანგელოზი იყო და დაუბრუნე ისევ ანგელოზის სულიო“.

პასუხად მოესმა მას ხმა:

— კარგი, შენთან მოვა ეშმაკი და მე არაფერს არ ვთხოულობ; ოღონდ, აი, ეს მოკლე ლოცვა შეასრულეთ შენ და მან ერთად:

„წ მ ი დ ა ო ღ მ ე რ თ ო, წ მ ი დ ა ო ძ ლ ი ე რ ო,
წ მ ი დ ა ო უ კ ვ დ ა ვ ო, შ ე გ ვ ი წ ყ ა ლ ე ნ ჩ ვ ე ნ“.

მართლაც გამოეცხადა ბერს ეს არაწმიდა სული, შევიდა გამოქვაბულში და ღირსმა მამამ დაიწყო ლოცვა...

„წმიდაო ღმერთო...

არაწმიდა სულმაც გაიმეორა:

— წმიდაო ღმერთო...

მან იცის, რომ ღმერთი წმიდაა, რომ იგი უზენაესი სიწმიდეა. ეს მან ძალიან კარგად იცის. გაიმეორა დანარჩენი სიტყვებიც:

„წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო...“,

მაგრამ აი, ბერმა წარმოსთქვა:

„შეგვიწყალენ ჩვენ!..“

ვერა და ვერ ვაიმეორა ეშმაკმა. ეს სიტყვები უკვე არის სინანული; ხოლო იქ, სადაც სინანულია, აუცილებლად მოწყალებაცაა, აუცილებლად ღვთის შენდობაა. ვერ თქვა ეს სიტყვები არაწმიდა სულმა. ცეცხლის ალისფერი გავიდა იგი გამოქვაბულიდან და აღარ გამოჩენილა.

და აი, ბერს მოესმა ხმა:

— ხომ ხედავ, ის არის ამპარტავანი, ის უკვე ისე დაეცა, რომ სინანულის უნარიც კი დაკარგა. ნუ მთხოვ, რომ ის შევიწყნარო. მართალია, მე ვარ სიყვარული, მაგრამ სინანულის გარეშე შეწყალება შეუძლებელიაო.

და აი, დღეს, როდესაც ჩვენ ვახსენებთ ამ მოკლე, მაგრამ ძალიან ძლიერი ლოცვის შექმნის დღეს, ეს იყო 447 წელს, მე შევთხოვ უფალს, რომ წმიდა ღმერთი, წმიდა ძლიერი, წმიდა უკვდავი, იყოს მფარველი და შემწე ჩვენი ერისა, რომ ჩვენი ერი გაძლიერებულიყოს სულით და ხორცით. წყალობა ღვთისა იყოს თქვენს ზედა.

ა მ ი ნ!

ილუმენი ანტონი (გულიაშვილი)

რატომ არის საჭირო მარხვა

უსაზღვროა და მიუწვდომელი ადამიანის გონებისათვის ღმერთი. მან შექმნა ცა და დედამიწა და ყოველივე, რაც ამკობს ორივეს. შემდეგ შექმნა ადამიანი, — გვირგვინად ყოველთა ქმნილებათა. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველაფერი განსხვავდება ერთმანეთისაგან: ადამიანთა მდგომარეობა, ქონებრივი დონე, წლოვანება, ეროვნული წარმოშობა, პროფესია და სხვა. ადამიანი გახვეული არის ცხოვრების ბადეში და, თუ უნდა ამ ბადისაგან გათავისუფლება, მან უნდა მიმართოს ეკლესიას. ეკლესიაში შესვლისთანავე ადამიანი ხვდება სხვა სულიერ სამყაროში, მის წინაშე უკვე ირღვევა ყველა პრობლემა, რომელიც მიწიერ ცხოვრებაში აწუხებს და აღიმართება ერთი, უდიდესი პრობლემა — სულის ცხონება. ადამიანი ფიქრობს, თუ რა საშუალებით შეუძლია მას აცხონოს თავისი სული, ეძებს საშუალებას, რა გზით დაუახლოვდეს ღმერთს, — კითხულობს საეკლესიო წიგნებს, ისმენს ლოცვას და ამ გზით ეზიარება ეკლესიის შვილთა რიცხვს. ბოროტი, როგორც მშიერი ლომი დაეძებს უდაბნოში საკბილოს, ისე ეძებს ამ ადამიანს, რომელმაც გადაწყვიტა კეთილი გზით ცხოვრება და მის წინაშე უამრავ დაბრკოლებას აღმართავს; ეს დაბრკოლებები უმეტესად აგებულია ვნებებზე. ასეთ ვნებებს ჩვენ ვიცნობთ, ესენია 8 ვნება: უძღებობა, მრუშობა, ვერცხლის მოყვარეობა, მრისხანება, ნაადრევი მწუხარება, სასოწარკვეთილება, პატივმოყვარეობა, ამპარტავნობა. ღმერთმა დაუშვა ეს ვნებები არა იმიტომ, რომ არ უყვარს ადამიანი, არამედ იმიტომ, რომ ადამიანმა თვითონ გაარჩიოს კეთილი და ბოროტი და აირჩიოს თავისი გზა.

ღმერთს ადამიანისაგან არაფერი სჭირდება და თუ ჩვენ რაიმეს ვაკეთებთ, ვაკეთებთ მხოლოდ ჩვენი საკუთარი სულისათვის. ერთი ასეთი აუცილებელი რამ არის მარხვა.

მაგრამ მარხვაც სხვადასხვანაირია. ძველი აღთქმი-

დან ჩანს, რომ ადრეც მარხულობდნენ, მაგრამ ეს არ იყო ისეთი მარხვა, რომელიც ესაჭიროება ადამიანის სულს. მაგალითად: ხალხი იყრიდა თავზე ნაცარს, იმოსებოდა ძველმანებით, ნაკლებად აქცევდა ყურადღებას მარხვის დროს თავის თავს, მაგრამ გულით ისეთივენი რჩებოდნენ, როგორებიც ადრე იყვნენ. მაცხოვარმა თავისი მობრძანებით დედამიწაზე დაარღვია მათი წესები, მოუტანა ხალხს ახალი აღთქმა, რომლის სწავლებაც დაავალა თავის წმიდა მოციქულებს. მათ გაავრცელეს იგი მთელ ქვეყანაზე.

გარდა ამისა, დიდი წმ. მამა იოანე, მარხვის შესახებ გვასწავლის: იცოდე, შენ, თუ მაცხოვარს ვიწრო გზით სიარული აღუთქვი, შენი სხეულის მოთხოვნილების გზაც უნდა შეავიწროვო, უსასრულო და ფართოა გზა უძღები ადამიანისა, რომელსაც იგი დაღუპვისაკენ მიჰყავს. ამ გზით ძალიან ბევრნი დავდივართ. ცხოვრების ვიწრო, წმიდა გზაზე კი, ცოტანი. იგი გვასწავლის: როდესაც ადამიანი გაშლილ მაგიდას უზის, თავისი აზრით წარმოდგენილი უნდა ჰქონდეს სიკვდილი და საშინელი სამსჯავრო. ხოლო როდესაც ეკარება სასმელს, მან უნდა წარმოიდგინოს ძმარი და ნაღველი, რომელიც იგემა მაცხოვარმა თავისი ჯვარცმის დროს. აი, ამ მცირედითაც ყველა ჩვენგანს შეუძლია მიუახლოვდეს თავშეკავებას.

მარხვის დროს ჩვენ გარეგნულად კი არ უნდა ვიცვლიდეთ სახეს, რასაც მოჩვენებითი ხასიათი აქვს, მარხვა უნდა ეტყობოდეს ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს მოქმედებას. საჭიროა განსაკუთრებული თავშეკავება, დუმილი, ზომიერება კვებაში და ბევრი სხვა რამ, რითაც გამოიხატება ეს. უნდა აუცილებლად ვეცადოთ, მარხვის საშუალებით გამოვასწოროთ ყველაზე დიდი ცოდვა, რომელსაც ჩაგვადენინებს ჩვენი ენა. ენით შეგვიძლია ათასობით ადამიანი მოვკლათ და კაცმა რომ გვკითხოს, არაფერი ცოდვა არ ჩაგვიდენიაო, ვუპასუხებთ. ჩვენ უნდა ვითხოვდეთ პატიებას მოყვასისაგან და გაორკეცებული ყურადღებით ვისმენდეთ წირვა-ლოცვას.

არსებობს მრავალდღიანი მარხვა: დიდმარხვა, პეტრე-პავლეს, მიძინების და შობის მარხვა. ეს მარხვებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგალითად: დიდი და ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის მარხვა — შობისა და პეტრე-პავლეს მარხვისაგან განსხვავებით — განსაკუთრებული სიმკაცრით ტარდება. პირველი ორი მარხვით ჩვენ აღვნიშნავთ მაცხოვრის ვნებასა და განცდებს და ღვთისმშობლის მიძინებას, ხოლო მეორე ორი მარხვით ჩვენ ვემზადებით, განწმენდილნი შევხვდეთ დიდ დღესასწაულს, როგორიცაა შობა, ქრისტეს დაბადება, და ორი მოციქულის პეტრესა და პავლეს დღესასწაული. გარდა ამისა, ჩვენ ვიცით მთელი წლის განმავლობაში ყოველი ოთხშაბათის და პარასკევის მარხვაც, რომელიც დიდ მარხვას უსწორდება. ოთხშაბათს აღვნიშნავთ მაცხოვრის შეპყრობას ფარისევლებისაგან, პარასკევს — მის ჯვარცმას. არსებობს კიდევ ერთდღიანი მძიმე მარხვები, როგორიცაა, მაგალითად: იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის დღე, ნათლისღების წინა დღე, ჯვართამაღლების დღე.

მარხვაზე ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ძალიან ბევრი და ეს უსათუოდ საჭიროა. ამჯერად კი დავჯერდეთ მხოლოდ ამ ზოგად განმარტებას. გისურვებთ, როდესაც მარხულობთ, თქვენი მარხვა იყოს ძლიერი და მარხვის დროს მიღებული მცირე საზრდო თქვენი, იყოს შეზავებული სინანულის ცრემლით.

მარხვა

მარხვა მოვიდა უბიწო,
განმწმენდი სულის-გულისა,
მომსპობი ავხორც-ვნებათა,
მომგვრელი სინანულისა.

აჰა, განსწმინდე გონება,
უარ-ჰყავ ბოროტ-ზრახვანი.
გრწამდეს, რომ წმინდა მარხვისა
ეგ არს პირველი საგანი.

ზოგი ხორცს არ სჭამს, მაგრამ ძმის
ხორცი რომ სჭამოს, არა შურს!
ეს ცოდვა არის, თუ მადლი, —
ამის გარჩევაც არა სურს!

ძმაო! რად შფოთავ ამაოდ,
წარმავალია ყოველი!
უკვდავი მხოლოდ სულია —
ნათლით მოსილი, ცხოველი,

რაჟდენ საჯაოხელი

„მწყემსი", 1892, № 3—4.



უნათლისმცემელ ცხოვართა განბნეულთა, ვითარცა მწყემსმან კეთილმან, შეკრიბე და მიჰგვარე ქართველნი ღმერთსა მართალსა დედაო, წმიდაო ნინო, ევედრე შვილთა შენთათვის ქრისტესა ღმერთსა.

ᲘᲠᲩᲔᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ

წმიდა ხატი

მღვდელი თორნიკე (წამალაიძე)

ისტორია მოწმობს, რომ ქრისტიანულ ეკლესიაში უძველესი დროიდან თაყვანს სცემდნენ წმიდა გამოსახულებებს და მათ ქრისტიანულ ტაძრებში იყენებდნენ. ეკლესიის მემატიანე ევსევი (IV ს.) გადმოგვცემს ცნობას ქრისტე-მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის შესახებ. ამ ცნობას ვხვდებით ევაგრი სქოლასტიკოსთან და ნიკიფორ კალისტთანაც.

საეკლესიო თქმულება გადმოგვცემს, რომ მაცხოვრის პირველი ხატი გაჩნდა მისი მიწიერი ცხოვრების დროს, — ეს ის ხატია, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ მ ა ც ხ ო ვ რ ი ს ხ ე ლ თ უ ქ მ ნ ე ლ ი ხ ა ტ ი ს სახელწოდებით. თქმულების თანახმად ტილოზე (უბრუსზე), რომელიც მაცხოვარმა სახეზე მიიფარა, გამოისახა ხატი. იგი თვით მან გაუგზავნა ედესას მეფე ავგაროზს, რომელმაც მაცხოვრის ხატი დაამაგრა დაფაზე და მოათავსა ქალაქის ჭიშკრის წალოში. ავგაროზი ძლიერ უწყობდა ხელს ქრისტიანობის გავრცელებას, მაგრამ მეფის ერთერთმა შვილიშვილმა აღადგინა ძველი კერპთაყვანისმცემლობა და ხელთუქმნელი ხატის განადგურება გადაწყვიტა. შეიტყო რა ამ უღვთო განზრახვის ამბავი, ავგაროზმა ხატი კედელში ჩასვა და გარედან ამოქოლა; ხუთი საუკუნე ინახებოდა იგი ასე.

544 წელს, ედესას თავს დაესხა სპარსეთის მეფე ხოსრო. ქალაქის ეპისკოპოსმა ევლამპიმ ნახა სიზმარი... გახსნა ქალაქის კედელი და იპოვა ხელთუქმნელი ხატი: მის წინაშე ხუთი საუკუნის შემდეგ კვლავ ენთო კანდელი; ქალაქი გადარჩა და ეს ყოველივე სასწაულშოქმედ ხატს მიეწერა. ტილო როგორც წმიდათა წმიდა განძი, დიდხანს ინახებოდა ედესაში. 639 წელს ქალაქი არაბებმა დაიპყრეს.

VIII ს-ში, ედესას ეკლესიის მსგავსად, ამ ხატის დღესასწაულს უკვე ბევრი ქვეყნის ქრისტიანები ზეიმობდნენ. ამ ხატზე მიუთითებს წმიდა იოანე დამასკელი, არაერთხელ ახსენებს მას 787 წლის მსოფლიოს მეშვიდე საეკლესიო კრებაც.

X საუკუნეში ხელთუქმნელი ხატი გადაასვენეს კონსტანტინეპოლში და მოათავსეს ღვთისმშობლის ტაძარში. ამის შემდგომ დაწესდა მისი კონსტანტინეპოლში გადასვენების აღსანიშნავი დღესასწაული — 16 აგვისტოს. ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინეპოლის განადგურების შემდეგ, 1024 წლიდან ხელთუქმნელი ხატის კვალი იკარგება.

მაცხოვრის ხატის ორიგინალიდან მრავალჯერ იქნა გადახატული მისი გამოსახულება, მაგრამ მათგან თითქმის არაფერი შემონახულა, თუ არ ჩავთვლით ამასწინათ საქართველოში აღმოჩენილ ე. წ. „ანჩისხატის მაცხოვრის ხატს“. ეს ხატი შექმნილია VI, ან VII ს-ში (შ. ამირანაშვილი: ქართული ხელოვნების ისტორია, 1950, გვ. 126).

გარდა თვით მაცხოვრის მიერ დატოვებული ხატისა, რა თქმა უნდა, არსებობდა კიდევ იმ ადამიანთა მიერ შექმნილი გამოსახულებები ქრისტესი, რომელთაც იგი უნახავთ და იცნობდნენ. ეს გამოსახულებები დაედო საფუძვლად შემდგომ საუკუნეებში შექმნილ ხატებს. მათგანაც ძალზე მცირე ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე: ბევრი ხატთმოძღვრობის პერიოდში განადგურდა, ბევრი დრომ მოსპო; შემორჩა მხოლოდ უძველესი ფრესკები კატაკომბებში (ძირითადად რომში).

საეკლესიო თქმულებით ღვთისმშობლის პირველი ხატი შეუქმნია მახარობელ ლუკას. ამას მოწმობენ ეკლესიის მემატიანენი: ნიკიფორ კალისტი და მეტოფრასტე. უძველესი გადმოცემის მიხედვით, მახარებელი ლუკა მხატვარი იყო. აღასრულა რა მორწმუნეთა სურვილი — ენახათ ქვეყნის მხსნელის დედის სახე, შექმნა ღვთისმშობლის ხატი, და მიიტანა თვით ღვთისმშობელთან, რომელმაც წმ. ლუკას თავისი ლოცვა-კურთხევა გარდაავლინა. ამავე გადმოცემაში ნათქვამია, რომ მოციქულმა ლუკამ, სული წმიდის გადმოსვლის შემდეგ შექმნა ღვთისმშობლის სამი ხატი: ორი — ყრმით, ხოლო ერთი — ყრმის გარეშე.

ამჟამად არსებობს 30-მდე ხატი, რომელთაც მიაწერენ წმიდა მახარებელ ლუკას; რა თქმა უნდა, არა იმ აზრით, რომ ისინი თვით მისი ხელითაა შექმნილი — არც ერთს, მის მიერ შექმნილი ხატებიდან ჩვენამდე არ მოუღწევია. წმ. ლუკას ავტორობა აქ ისე უნდა გავიგოთ, რომ ესენი წმ. ლუკას ხატებიდანაა გადმოხატული. გადმოცემაში ნათქვამია, აგრეთვე, რომ ღვთისმშობლის ხატის შემდეგ, წმ. ლუკამ დახატა პეტრე და

წყაროსთავის სახარება. XII ს. ხელნაწერის ზედა ფრთა. ბეშქენ ოპიზარის ჰედურობა.

წყაროსთავის სახარება. XII ს. ხელნაწერის ქვედა ფრთა. ბეშქენ ოპიზარის ჭედურობით.

პავლე მოციქულების პირველი გამოსახულებანი. საერთოდ, წმიდა მოციქულების გამოსახულებები ქრისტიანულ ხელოვნებაში გაჩნდა მაცხოვრისა და ღვთისმშობლის გამოსახულებების შექმნის დროსვე.

კატაკომბების პერიოდში მოციქულები გამოხატულნი იყვნენ სიმბოლურად — ბატკნის სახით, მაგრამ უკვე ამავე პერიოდში ჩნდება მათი პირდაპირი გამოსახულებებიც. ისტორიკოსი ევსევი კესარიელი ახსენებს მის დროს არსებულ პეტრე და პავლე მოციქულების ხატებს, მაგრამ საბოლოო სრული სახე იკონოგრაფიამ მიიღო ბიზანტიურ პერიოდში.

ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად განვითარდა ხატწერაც, მაგრამ იმის გამო, რომ პირველი სამი საუკუნის განმავლობაში ქრისტიანული რელიგია აკრძალული იყო და დევნას განიცდიდა, ტაძრები არ არსებობდა; ქრისტიანებს უხდებოდათ მალვა, თავიანთი კრებებისა და ღვთისმსახურების კატაკომბებში ჩატარება.

კატაკომბები — ეს მიწისქვეშა აკლდამებია. რომაული კანონი ხელშეუხებელ ადგილად თვლიდა სამარხულებს, რომელი რელიგიისაც არ უნდა ყოფილიყო. კატაკომბები წარმოადგენდა დერეფნების ქსელს, ზოგჯერ 10—15 მეტრის სიღრმეზე. მათ კედლებში გაკეთებული იყო წალოები, სადაც გარდაცვალებულთა ნეშტს ასვენებდნენ. ეს წალოები შემდეგ ქვის ფილებით იხურებოდა, რომლებზედაც, ჩვეულებრივ, იწერებოდა გარდაცვალებულთა სახელი, ასაკი და დამარხვის თარიღი. ამ კატაკომბებში ქრისტიანები მარხავდნენ წმიდა წამებულებს, რომლებიც მრავლად იყვნენ იმ დროისათვის და მათ საფლავებზე ასრულებდნენ ღვთისმსახურებას. კატაკომბებში ჰქონდათ პატარა სამლოცველოები და უფრო დიდი ტაძრები, სადაც ტარდებოდა ღვთისმსახურება.

დევნის პერიოდში ქრისტიანები იყენებდნენ წმიდა გამოსახულებებს, მაგრამ მათ აკეთებდნენ დიდი სიფრთხილით. არ სურდათ მათი სალოცავი ხელთ ჩავარდნოდათ წარმართებს. ისინი თავიანთი რწმენის საფუძვლებს ალეგორიულ ფორმებში გამოსახავდნენ. პირველი ქრისტიანები მიწისქვეშა აკლდამებში გამოსახულებებს კვეთდნენ ქვის ფილებზე, სამლოცველოში აკეთებდნენ ფრესკებს. ამ რომაულ კატაკომბებში პირველქრისტიანული ძეგლების უდიდესი რაოდენობა გადაურჩა განადგურებას.

პალმების, თევზების, ჩიტების, ფიალების, ღუზე-



წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო,
შეგვიწყალენ ჩუენ!

გელათი XI ს.

ვეტრფი გელათსა, თვით მას ელადსა.

ღვთისმშობელი. გელათის მოზაიკა.

გელათი. დავით ალმაშენებლის ფრესკა.

ღირსმსახურებდი ქართულ მიწა-წყალს,
რაი გადარდებს?
გასწიე იგი „ნიკოფსიიდან
დარუბანდამდე“

ბის, წყალს დაწყურებული ირმებისა და სხვათა გამოსახულებებში წარმართებს არ შეეძლოთ რაიმე უცნაური ეპოვათ; ხოლო ქრისტიანებს ისინი მოაგონებდათ რწმენის ძირითად ჭეშმარიტებებს. მაგალითად, გამოხატავდნენ პალმას, რომელიც ნიშნავდა ცოდვაზე გამარჯვებას.

პირველი ქრისტიანების ყველაზე მეტად გავრცელებული სიმბოლო იყო თ ე ვ ზ ი. იგი ხშირად გვხვდება სახარებაში. ქრისტეს მოძღვრების მიხედვით, ცის სასუფეველი ემსგავსება ბადეს, რომელიც სავსეა ყველა ჯიშის თევზით. მეთევზისა და თევზის სახე, როგორც სიმბოლო მქადაგებლისა და მოციქულისა, ქრისტიანული გაგებით, სავსებით ნათელია; მაგრამ თევზის სიმბოლოს გავრცელებას ქრისტიანობაში ჰქონდა სხვა საფუძველიც: თევზის ბერძნული სახელწოდება „ი ხ თ ი ს“ მოიცავს იმ ხუთი სიტყვის პირველ ასოებს, (იესო ქრისტე ძე ღვთისა მაცხოვარი), რომელიც გამოხატავს იესო ქრისტეს ღვთაებრიობის რწმენას და მისი, როგორც მხსნელის მისიას. მაშასადამე, თევზის სახელწოდებაში ჩვენ გვაქვს ერთ სიტყვაში მოქცეული რწმენის სიმბოლოს ერთგვარი უძველესი ფორმულა. სწორედ ამ ხუთ ასოში მოქცეული ეს იდუმალი აზრი იქცა საბაბად თევზის სახის სიმბოლოდ მიღებისა. მეტალისაგან, ქვისგან, სადაფის, ან შუშისაგან დამზადებულ პატარა თევზებს ქრისტიანები ყელზე ატარებდნენ ისევე, როგორც ჩვენ ვატარებთ გულსაკიდ ჯვრებს. იმის ნიშნად, რომ ეკლესია ემყარება ქრისტეს მცნებას, გამოსახული იყო თევზის ზურგზე მოთავსებული ხომალდი. ქრისტე გამოხატული იყო პატარა თევზებით გარშემორტყმული დიდი თევზის სახით. ასევე გვხვდება დელფინის გამოსახულებები ზურგზე მოთავსებული პურის კალათით და ღვინით. აქ დელფინი ქრისტეს სიმბოლოა, რომელმაც საცხოვრებელ საზრდოდ საკუთარი სისხლი და ხორცი გაიღო.

ღ უ ზ ა აღნიშნავდა ქრისტიანულ იმედს. ი რ ე მ ი, რომელიც წყალს სვამს, აღნიშნავს სულიერი წყურვილის დაკმაყოფილებას. მაცხოვრის სხვა ძალზე გავრცელებულ სიმბოლურ გამოსახულებას წარმოადგენს მისი სიმბოლო ძველი აღთქმიდან — ბ ა ტ კ ა ნ ი. ბატკანი გამოიყენებოდა, აგრეთვე, საერთოდ ქრისტიანის და, პირველ რიგში, მოციქულების სიმბოლური გამოსახვისათვის; ხოლო მაცხოვრის სიმბოლო გამოსახული იყო როგორც მწყემსი კვერთხით ხელში და გვირგვინით თავზე. აკლდამებში არის, აგრეთვე, ბატკნის გამოსახულება, რომელიც დგას მთაზე, საიდანაც წყლის ოთხი ნაკადი მოედინება, სხვა ორი ბატკანი კი სვამს წყალს. ეს ნიშნავს, რომ მთა ეკლესიაა, ბატკანი მის წვერზე — ქრისტე, ოთხი ნაკადი — ოთხი სახარება, რომლებიც ოთხივე მხარეს თავიანთი წერილებით წყურვილს უკლავენ სამყაროს, ბატკნები, რომლებიც წყალს სვამენ, აღნიშნავენ ადამიანის სულიერი წყურვილის დაოკებას ქრისტიანული მოძღვრების ცხოველმყოფელი წყლით. ორი ბატკნის გამოსახულება ქვევით აღნიშნავდა იუდეველთაგან და წარმართთაგან მოქცეულებს.

გარდა ამ სიმბოლური ფერწერისა, არსებობს უფრო გასაგები, უფრო პირდაპირი ფერწერაც. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება მწყემსის გამოსახულება მხარზე შემოსმული ცხვრით, ან მწვანე კორდებზე ფარის მწყემსვის დროს. ეს გამოსახულება ემყარება საღვთო წერილის ტექსტებს. თვით ქრისტე ამბობს თავის თავზე „მე ვარ მწყემსი კეთილი“ ან, „არა ვიდრე მე მოვლინებულ ვარ, გარნა ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაელისათა“ (მათე, 15,24). კეთილი მწყემსის სახით მაცხოვარი ყოველთვის გამოხატულია ხან ცხვრებით გარშემორტყმულ, ხან მხარზე ცხვარშემოსმულ ახალგაზრდა ყრმად. ზოგჯერ მას ხელში უჭირავს გრაგნილი — საღვთო წერილის სიმბოლო, ხან მწყემსის კვერთხი. მაცხოვარი მხრებზე ისვამს მკვდარ ცხვარს, ე. ი., წმიდა მამების განმარტებით, დაცემულ ადამიანურ ბუნებას, ადამიანურ არსს და მას ღვთაებრივ სიცოცხლესთან თანაზიარს ხდის. მიწისქვეშა სამყაროს კედლებზე კეთილი მწყემსის გამოსახულებას ღრმა აზრი ჰქონდა: თითქმის ყოველთვის მწყემსს ქამარზე ჰკიდია სოინარი (შვიდნასვრეტიანი საკრავი), რომელიც მიგვანიშნებს შვიდ ქრისტიანულ საიდუმლოს, შვიდ ქრისტიანულ სათნოებას და ქრისტიანული მოძღვრების იმ ტკბილ ხმებს, რომელთაც ემორჩილება ადამიანთა ველური ვნებები. ეს უკანასკნელი აზრი გამოხატულია ცხოველთა სიმბოლური გამოსახულებებით, რომლებიც, ივიწყებენ რა თავიანთ სიბოროტესა და სისხლის წყურვილს, მწყემსის სალამურის ტკბილ ხმებზე გროვდებიან ერთად: ლომი, უძველესი თქმულების თანახმად, მშვიდად წევს ცხვრის გვერდით, ხოლო მორგვად შეკრული გველი არა ვნებს თავის მეზობლებს.

სიმბოლოები შთაგვაგონებენ იმ აზრს, რომ ქრისტიანული სულის სამყარო გარშემოხვეულია უბედურებებით და ხიფათით, მაგრამ იგი არ არის საშიში, რადგან ჩვენთან არის უფალი ღმერთი.

მამა-ღმერთი გამოისახება მოხუცის სახით, რადგან წინასწარმეტყველ დანიელის ჩვენებებში იგი წარმოდგენილია ხანდაზმულად. სულიწმიდა გამოისახებოდა მტრედისა და ცეცხლოვანი ენების სახით: მტრედის სახით იგი გადმოვიდა ძე ღვთისაზე იორდანეში, ცეცხლოვანი ენების სახით კი — მოციქულებზე სულიწმიდის გადმოსვლის დროს.

კეთილი მწყემსის გამოსახულების გარდა გვხვდება სხვა გამოსახულებებიც; როგორიცაა: ყრმა დანიელი ორ ლომს შორის, რომელიც ქრისტიანებს ამცნობს, რომ ისინი არ დაიღუპებიან. ვეშაპისაგან იონას განთავისუფლების გამოსახულებაში იგულისხმებოდა ქრისტეს აღდგომის პირველსახე; ნოეს გადარჩენაში, რომელიც მტრედს უშვებს კიდობნიდან — ნათლობის პირველსახე. დანიელი გადაურჩა ლომებს, ნოე წარღვნას, — ეს კი იყო ჩვენი გადარჩენის მაუწყებელი. ისააკის მსხვერპლად შეწირვა გვიჩვენებს ქრისტეს ჯვარცმის, წამებისა და სიკვდილის სურათს.

ღვთისმშობლის გამოსახულება კატაკომბებში თითქმის ისევე ბევრია, როგორც მაცხოვრისა; მაგრამ, თუ მაცხოვარი ხშირად გამოიხატებოდა სიმბოლურად, ღვთისმშობლის გამოსახულება უფრო რეალურია. ღვთისმშობელს გამოსახავდნენ ბავშვით ხელში. მის

გვერდით დგას წინასწარმეტყველი, რომელიც უთითებს ვარსკვლავებზე. ხშირად ღვთისმშობელი გამოისახებოდა მარტოც, ლოცვად აპყრობილი ხელებით.

კატაკომბებში ხშირად გვხვდება ვაზის გამოსახულება ყურძნის მტევნებით. ასეთი გამოსახულებები ჩვეულებრივ, წარმოადგენდნენ ან ყურძნის კრეფის სურათს, ან ჩიტებს, რომლებიც მტევნებს კენკავენ.

კლიმენტი ალექსანდრიელის გამოთქმით ყურძენი იძლევა ღვინოს, ისევე როგორც სიტყვა (ე. ი. უფალი) თავის სისხლს". მტევნების მკენკავი ჩიტები — ეს არის მორწმუნე სულები (ჩიტი სულის სიმბოლოა), რომლებიც იკვებებიან ქრისტეს სისხლით და ხორცით. ძველ აღთქმაში ვაზი, რომელიც მოსეს წარგზავნილებმა მოიტანეს, იყო აღთქმული ქვეყნის სიმბოლო. ახალ აღთქმაშიც იგი აღთქმული ქვეყნის სიმბოლოა მათთვის, ვინც ეზიარება ქრისტეს სისხლსა და ხორცს. ვაზი, იმავე სიმბოლური მნიშვნელობით, დეკორატიული სიუჟეტის სახით, დღესაც აგრძელებს არსებობას.

სიმბოლოებმა დიდი როლი შეასრულეს პირველი ქრისტიანების აღზრდის საქმეში. მაგრამ, აი, დამთავრდა ქრისტიანთა დევნა და დაიწყო ქრისტიანობის გაფურჩქვნის პერიოდი. წმ. კონსტანტინეს დროს, ეკლესია უკვე ლეგალურად არსებობს და მისი მხატვრობაც იცვლება. ამასთან დაკავშირებით, IV—V სს-ებიდან ეკლესიაში ჩნდება სახარებისეული და ძველი აღთქმის სიუჟეტების უფრო მონუმენტური მოხატულობები. ამ პერიოდიდან ქრისტიანულ ეკლესიას აღარ სჭირდება კატაკომბების სიღრმეში მალვა და ქრისტიანული ტაძრები შენდება დაუფარავად. კატაკომბების უბრალო ფერწერული მოხატულობები უკვე მიუღებელი გახდა წმიდა ტაძრისათვის. ძველი სიმბოლური გამოსახულებების პოეტური უბრალოება აღარ შეესაბამებოდა ეკლესიის მდგომარეობას. იგი აღარ საჭიროებდა სიმბოლურ ფორმებს.

კონსტანტინე დიდის ეპოქაში დგინდება ძირითადი საეკლესიო დღესასწაულები და იქმნება შესაბამისი ხატები. ამავე დროისათვის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გამოსახულების გარეგნულ ფორმას, მაცხოვრის, ღვთისმშობლისა და მოციქულების სახის ნაკვთებსა და ტანსაცმელს. ახლა ქრისტეს უკვე აღარ გამოხატავდნენ მორჩილი, კეთილი მწყემსის სახით, არამედ — როგორც მეფეთა მეფეს — ტახტზე ასულს, თავისუფლად გაწვდილი მარჯვენით და მფრინავი ანგელოზებით გარშემორტყმულს. ამ დროისათვის წმიდა გამოსახულებები გვხვდება ფრესკული და მოზაიკური სახით, იქმნება ქანდაკებებიც.

ხატი ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. იგი ღმერთის შეცნობის ერთ-ერთი საშუალებაა, ერთ-ერთი გზაა მასთან ურთიერთობისა. ამიტომ იგი არ შემოიფარგლება ამა თუ იმ ეპოქით, ან ამა თუ იმ ხალხით. იგი ისევე საყოველთაოა, როგორც მართლმადიდებლობის მხსნელი მოძღვრება, რომელიც ეკლესიას მოაქვს სამყაროსათვის.

სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 340 წლისათვის

„მთელ საქართველოს მამად მიაჩნია“ — წერს ერთი უცხოელი სულხან-საბა ორბელიანზე.

„სულხან-საბა ორბელისძე
სიბრძნით აღხდა ორბებისზე“ — ამბობს ხალხური მელექსე.

თანამემამულენი კი „სიბრძნე ფრიადს“ და „მსწავლულს“, „მრავალთა გამომკვლეველს“, ბრძენსა და ფილოსოფოსს“, „სიბრძნის წყაროს მდინარეს“ უწოდებენ. ასეთი შარავანდედით დგას ქართული მწერლობისა და ეკლესიის პანთეონში დიდი მწერალი, ბერი, ლექსიკოგრაფი, დიდი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი — სულხან-საბა ორბელიანი.

მრავალი დიდებული მამულიშვილი მოუცია ორბელიანთა გვარს საქართველოსთვის... მრავალი მწერალი, პოეტი, კალიგრაფი, სარდალი... ყველა მათ უბრწყინვალეს გვირგვინად ადგას სულხან-საბას სახელი. იგია უმაღლესი საზომი მამულიშვილობისაც, რწმენისაც, მწერლობისაც.

და ჩვენს თვალწინ კვლავ ცოცხლდება დღეს თავისი მრავალტანჯული სამშობლოს ბედზე ფიქრით დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის ბჭეებთან ბერის სენაკში დაღამებული და ღმრთის წინაშე მამულის ბედზე მუხლმოყრით მლოცველი, ტრაგიზმით აღსავსე მისი მაღალი, მწუხარე სული. და ვხედავთ... ხავსმოჭიდებულ ნაბიჯებს მისას ევროპის ცივ და შორეულ გზებზე. იგი მიჰყვება ამ გზებს უკვე მოხუცი, თეთრი თმებით და ბერის სამოსით... მიჰყვება კვერთხით ხელში; მიიკვლევს გზას იტალიისა და საფრანგეთისკენ.

„მიხარიან, რომ რომში დიდი ხმა დაგივარდაო...“ — უთქვამს მისთვის ამ მგზავრობის დროს პაპს კლემენტი XI-ს... მის სიბრძნესა და დიდებულებას მოუხიბლავს საფრანგეთის იმპერატორიც... მაგრამ იმჟამად არც ევროპას და არც ლუი XIV-ს არ ეცალა საქართველოსთვის. საქართველო ამჯერადაც ერთხელ კიდევ უნდა დარწმუნებულიყო თავის მარტოობაში. ჩამქრალი იმედებით ბრუნდებოდა საბა იმ შორეული გზიდან...

წვიმა არ არი!
საბას კაბა დაუსველა რამ?!
თოვლი არ არი!
საბას თავი გაუთეთრა რამ?!
ყინვა არ არი!
სულხან-საბას აკანკალებს რა?!
რამ დაასველა?!
რამ დათეთრა?!
რა აკანკალებს?!
საქართველოა
მისთვის წვიმაც,
თოვლიც და ყინვაც!..“

(მ. მაჭავარიანი)

ასეთი სიმძაფრით მოდის დღეს ჩვენამდე თითქმის სამი საუკუნის წინათ განცდილი, მისი ჩამქრალი იმედების სიმწარე... მან თავისი ქვეყნის სახსნელად შორეული ქვეყნებიც მოიარა, კათოლიკობაც მიიღო, მაგრამ ამაოდ... ბოლოს თითონაც თავისი გაზრდილის — ვახტანგ VI-ის გზას დაადგა და ვსესვიატსკოეს ქართველთა სავანეში ჰპოვა უკანასკნელი თავშესაფარი. იქვე, ქართველთა სალოცავში შესთხოვდა მაღალ ღმერთს თავისი ქვეყნის ხსნასა და გადარჩენას.

წარსულთა დღეთა ავბედობამ მისი საფლავიც დაუკარგა საქართველოს. მაგრამ განუშორებლად, მუდამ ჩვენთანაა მისი მაღალი და კეთილშობილი სული... იგი

ისევ ლოცულობს ჩვენთვის... წიგნები კი, მისი დიდი წიგნები, ჩვენი მუდმივი თანამგზავრებია... „სიბრძნე-სიცრუისა“, „სიტყვის კონა“, „ქილილა და დამანა“, „მოგზაურობა ევროპაში“... მიმზიდველია მათი სიბრძნე; — მიუწვდომელია სილამაზე მათი ენისა. ყოველივე ეს ქართული მწერლობის დიდი საგანძურია და ჩვენმა ერმა დიდი ხანია თავისი ღირსეული კუთვნილი ადგილი მიუჩინა მათ.

მაგრამ არსებობს კიდევ მისი სხვა წიგნები, არანაკლები სიბრძნისა და ხატოვანებისა. და მათ დღემდე ნაკლებად იცნობს ჩვენი მკითხველი. ესაა მისი „სწავლანი“, „საქრისტიანო მოძღვრება (ანუ „სამოთხის კარი“)“; „აღთქმა ქრისტიანეთა, რომელთა ენების სწავლებად კეთილისა გზისა ჟამსა სიკვდილისასა“ და სხვ., რომელთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ხელნაწერების სახით ინახება სიძველეთა საცავებში და მზის სინათლეს ელიან.

სულხან-საბა ორბელიანი

სწავლა სიმშვიდისათვის

„ნეტარ იყუნენ მშჯდნი, რამეთუ მათ დაიმკჯდრონ ქუეყანაჲ“ — იტყვის მათე სახარების **ე, ე**.

ხედავთა, მშვიდნო, რასა გიქადაგებსთ უფალი: რომელი იყოს მშვიდ, მან დაიმკვიდროს ქვეყანა, და მერმე კიდევ ნეტარეულ გყოფსთ? რომელსა ქვეყანასა გიქადაგებსთ სიმშვიდით დამკვიდრებასა? — პირველად ამას საწუთოსა და გიბრძანებსთ: ნუ მრისხანებით განძვინდები, ნუ გინებით აღივსები, ნუ სიგლისპით განცოფნები, ნუ შფოთით აჭირვებ თავსა შენსა, სანატრელი სიმშვიდე მოიგე და მე დაგიმკვიდრო ქვეყანა, ნუ აღიჭურვი ჯაჭვითა, ნუ განეწყობი მჯედრებითა, ნუ აღიღებ მახვილსა, (რომლისათვის იტყვის) მათეს სახარების **კვ, ნბ**: „რამეთუ რომელმან აღიღოს მახვილი, მახვლითა წარწყმდესო“, მშვიდ იყავ, სანატრელო, და მე დაგიმკვიდრო ქვეყანაო.



ს. ს. ორბელიანის ლექსიკონი. ხელნაწერი.

არა ნეტარეულ-ჰყოფს ქრისტე მძლავრთა, არცა გმირთა, არცა ქვეყნისა მაოხართა, რომლისათვის იტყვის წინასწარმეტყველი დავით **რმვ** ფსალმუნსა შინა: „მსხვილ ბარკალი მამაკაცისა არა სთნდეს უფალსა, არამედ სთნდეს მოშიშნი მისნი“.

ვინა არს მოშიში უფლისა? — მშვიდი, რომლისათვის იტყვის წინასწარმეტყველი: „მშჯდსა ზედა განისუენა სულმან ჩემმან“.

საყვარელნო, სიმშვიდე ვითარ სანატრელ არს, იცია, რამეთუ მსგავსება არს ღმრთისა, რამეთუ იტყვის წმიდა მათე **ია, კთ**: „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ შვიდ ვარ და მდაბალ გულითა“?

ხედავა, ვითარ ნეტარეულ იქმნები, ვინაჲთგან ღმერთს მიემსგავსები?

უკეთუ სიმშვიდით ღმერთსა მიემსგავსები, რაჲსათვის არა მოიგებთ ყოველნი სიმშვიდესა?

ქრისტე რაჲსათვის შეამსგავსეს წინასწარმეტყველთა ცხოვარსა და ტარიგსა?

— სიმშვიდისათვის!

ვითარცა ცხოვარი უხმობლად დგას წინაშე მრისველისა, რომელი სძრცვის სამოსელსა მისსა და აღკვეცს მატყლთა და სიმშვიდით არა განევლტის, ეგრეთვე ქრისტე დგა წინაშე მტანჯველთა მისთასა სიმშვიდით, ოდეს ჯნისათვის ჩვენისა იტანჯებოდა და არარასა მიუგებდა.

ხედავა ცხოვართა უგულისხმოთა და უცნობოთა, რომელ სიმშვიდითა მათითა ვითარ დაიმკვიდრეს ქვეყანა და ვითარ განამრავლა უფალმან ყოველსა სოფელსა?

ცხოვარნი წელიწადთა შინა ერთსა შობენ კრავთა და ძაღლნი, და მგელნი და სხვანი მჯეცნი რომელიმე ორგზის, რომელიმე ერთგზის ათორმეტთა ათთა, რვათა და, გინა ექვსთა შობენ და არასადა არს სიმრავლე მათი. ცხოვართა ჩვენ კაცნი ვსჭამთ და უფროჲსად მგელნი და სხვანი მხეცნიცა, და ცხოვარნი არავის მავნებელ არიან, არამედ მშვიდ და უწყინარ. ხოლო მრავლის მშობელნი იგი, რომელსა არცა ჩვენა ვსჭამთ და არცა მჯეცნი,

ღმერთმან არა განამრავლა, და არცა დაუმკვიდრა ქვეყანა მტაცებლობისა და სხვათას მგლეჯველობისათვის და ქმნნა იგინი იშვით ქვეყანასა ზედა, ხოლო ერთისა მშობელი და ყოველთა საჭმელი და სატაცებელი ცხოვარი ესრეთ განამრავლა ქვეყანასა ზედა, რომელ ვერა რომელმან აღრიცხვნეს არვე-არვეობა მათი სიმშვიდისათვის მათისა.

ეგრეთვე ტრედნი და გვრიტნი ვითარ უნდო ფრინველნი არიან და მცირისა ფასისანი, რომელ თვითო ტრედი სამ ფოლად, გინა ოთხ ფოლად განისყიდებიან, ეგრეთვე გვრიტნი. ხოლო ქორნი და შავარდენნი და მისთანანი — შვენიერ და მრავალ-ფას, და დიდებულთა საყვარელ და მეფეთა სანდომ, რომელთა შინა მისცემენ დრაჰკანთა მრავალთა; არამედ უნდონი ტრედნი და გვრიტნი შეიწირვიან ღმრთისათვის მსხვერპლად სიმშვიდისათვის მათისა, ხოლო რჩეულნი და მრავალ-ფასისა ქორნი და შავარდენნი არა შეიწირვიან ღმრთისა უმშვიდობობისათვის მათისა და სხვათას ჯორცის ჭამისათვის. უმეტესი ესე: რამეთუ სული წმიდა მოვიდა სახედ ტრედისა და ნათლის-მცემელი წმიდა იოანე ამსგავსეს გვრიტსა, ხოლო ქორთა და შევარდენთა არა რომელი წმიდა ემსგავსა მძვინვარებისათვის მათისა და მტაცებლობისათვის.

ვინაჲთგან სიმშვიდე ესრეთ საყვარელ არს, რომელ ყოველნი წმიდანი მას ზედა ქადაგებენ და ყოველნი წმიდანი მას ზედა გამოისახვიან, გვიღირს ყოველთა გლისპთა, რათა დაუტეოთ მრისხანება და მოვიგოთ სიმშვიდე პატიოსანი.

გესმისთ და ხედავთ: მშვიდსა ტრედსა ემსგავსა სული-წმიდა, მშვიდსა ზედავე განისვენებს სული ღმრთისა, მშვიდსა ცხოვარსა ემსგავსა ქრისტე, მშვიდსა გვრიტსა შეამსგავსეს ნათლის-მცემელი, მშვიდსა ნეტარებასა მისცემს ქრისტე და უბრძანებს სოფლისა დამკვიდრებასა!

თქვენცა მოიგვეთ სიმშვიდე პატიოსანი!

ბრძანებს: „ნეტარ იყუნენ მშჳდნი, რამეთუ მათ დაიმკჳდრონ ქუეყანაჲ“.

სადა დაიმკვიდრების საწუთო ესე, რომელ კაცნი ოთხმეოცსა წელსა ვერა იცოცხლებენ? სადა იქმნა დამკვიდრება? ვიდრე ცოცხალ იყოს მშვიდი, სოფელიცა ესე დაიმკვიდროს, ხოლო ქრისტეს მიერ ქადაგებული სასუფეველი დაიმკვიდროს უკუნისამდე, რომელ არს სოფელი წარუვალი და სამკვიდრებელი მშვიდთა, მოუშლელი სამარადისოდ.

რა გნებავსთ, ჰოი მშვიდნო, უდიდესი ამისი? ვითარსა პატივსა გყოფსთ უფალი, ვითარ განიჭებსთ, ვითარ მიგიზიდავსთ, ვითარ აღგამაღლებსთ!

„ნეტარ იყუნენ მშჳდნი, რამეთუ მათ დაიმკჳდრონ ქუეყანაჲ“, ქვეყანა იგი, სადა ღმერთი მთავრობს!

დაიმკვიდრონ მშვიდთა სუფევა მამისა, დიდება ძისა, მადლი სულისა წმიდისა!

დაიმკვიდრონ მშვიდთა ქვეყანა ზეცისა, ნათელი სამებისა, პირისპირ მზერა ყოვლად წმიდისა, სამყოფელი სერობინთა, ადგილი ქერობინთა, საშვებელი ანგელოზთა, მეგობრობა მთავარ-ანგელოზთა!

დაიმკვიდრონ მშვიდთა ქვეყანა წარუვალი, ქვეყანა მართალთა, თემი წმიდათა, სავანე მოციქულთა, სახლი წინასწარმეტყველთა, სადგური მოწამეთა, განსასვენებელი მღვდელთ-მოძღვართა, ყოფნა მამათ-მთავართა!

დაიმკვიდრონ მშვიდთა და არა გლისპთა და მტაცებელთა ქვეყანა აღთქმისა, ზეცისა იერუსალიმი, უკვდავება, უზრუნველყოფა, მზისაგან უნათლესყოფა, ელვათაგან უბრწყინვალესობა, ყოველთა ზეციერთა წესთა მინიჭება!

მშვიდნო, ღმრთისაგან ნეტარეულნო, მშვიდნო, წინასწარმეტყველთაგან სანატრელნო და მღვდელთ-მოძღვართა მიერ საქებელნო, თავს-იდევით სიმშვიდე და ნუ მოაკლებთ კეთილსა საქმესა მაგას, ნუ მოუძლურდებით, რათა არა გამოსცვივნეთ სასუფევლისა და ნიჭისაგან ღმრთისა და დიდებისა მისგან წარუვალისა, ვითარცა გლისპნი და მრისხანენი, ვითარცა მტაცებელნი და მძლავრნი, განშორებულნი ღმრთისაგან, არამედ თქვენ უფროჲსად თავს-იდევით და მოიგეთ სიმშვიდე ქრისტეს მიმსგავსებული და მოიგეთ ქვეყანა იგი, რომელი გიქადათ ქრისტემან, და დაიმკვიდრეთ ყოფნა მისთანა, რათა სამარადისოდ იხარებდეთ მისთანა და იდიდებოდეთ უკუნისამდე, ამინ.

სვეტო ნათლისაო, ბრწყინვალედ განათლებულო, განანათლენ გალობით მვედრებელნი შენნი.



თადეოზი, ფილანელი ეპისკოპოსი

შენი სიცოცხლე ერს უხარია

მაცხოვრის კვერთხის მპყრობელი ხელთა,
შეჭიდებული უხილავ მტერთან,
სიმხნით და ღვაწლით აღურიცხველთა,
უძღვი ცად მიმართ, ცხოვართა შენთა.
აყვავებული სანთლები ხატთან
სიკეთის დღეთა იყვნენ მაცნენი, —
სიწმიდის მადლად და სასწაულად
მშობელთა ლოცვით აღმონაცენნი.
იმედმოსხმულან შენი დღეები,
სიხარულს ყოველს რომ უწილადებ,
შენი ფიქრია, — შენი მამული
სამარადისო ნათლით ბრწყინავდეს
თუ საქართველო წმიდა ჯვარია,
ნატრობ, სამოთხის კართან იყოსო...
შენი სიცოცხლე ერს უხარია,
მრავალჟამიერ, კათალიკოსო!..

ღვთივ კურთხეულო ვენახო

უშენოდ ყოფნა მეშინის
ვკოცნი შენს წმიდა ჭრილობას,
მეამაყება მე შენი
ლამაზი დედა-შვილობა.
შენი ცისკრების ჭირიმე,
ღვთის წინ მავალო მართლადა,
როს დამიდგება ჯერი მე,
დაგადნე წმიდა სანთლადა.
სიცოცხლე შენით იწყება,
თვით უკვდავებაც შენა ხარ, —
სიკვდილის გადავიწყებავ,
ღვთივ კურთხეულო ვენახო.
იკურთხოს შენი ცა-მიწა,
ყველა ყვავილი, ყველა ხე,
ცრემლი გაშოროს უფალმა,
სულ სიხარულში გვენახე.

მცხეთის ჯვარი

დრო თუ ახალი სიცოცხლით ავსებს,
სულში წარსულის ნაღველიც წვეთავს,
წლები მიემსხვრა გრანიტის ფრთაზე...
რა აღარ ახსოვთ მასა და მცხეთას.

გადუტანია ბევრი ვაება,
გადაიარა ტკივილმა გულზე...
დგას სანატრელი, ვით უკვდავება
და საქართველოს მომავალს უმზერს.

* * *

სანთლებრ ვერ იწვი კეთილად ქმნილი,
რად მარადიულს — წარმავალს არჩევ?
შენი სიცოცხლის ელვა-ყვავილი
ხვალ უნდა ნიშნად საწუთროს დარჩეს,
დაუდგრომელნი ჰქრიან ჰუნენი,
მზით, სიყვარულით და გაწამებით,
საუკუნენი, საუკუნენი,
წლები, თვეები, დღენი, წამები...
მწამს უკვდავება, როგორც იმედი, —
სიკეთისადმი ლტოლვა კვლავ თუა...
სულს ელვად ქცეულს ჰგავს ნათლის სვეტი,
სიკვდილისა და სიცოცხლის შუა.

* * *

ყოვლად კეთილო და სახიერო,
დიდება შენდა, ღმერთო ძლიერო!
შენი სიკეთის, შენი სიკეთის,
ვინ გადიხადოს სამაგიერო!
დიდება შენდა, ღმერთო ძლიერო,
დიდება შენდა, ღმერთო ძლიერო...
თვალშეუდგამი ნათლით ბრწყინავ შენ,
ვძრწი უღირსების ჩემისა გამო...
ვით წარმოვსდგები მე შენს წინაშე
ჩემი მზის დასვლის როს დგეს საღამო?

. . . . . .

ნეტარ არს, ვინაც განსწმიდა სული
ცრემლით, ვედრებით ღამისმთეველი,
ვინც წინ აღუდგა საკუთარ სურვილს,
ამაოების არ მიმთნეველი
და აღავლინა ლოცვა უმანკო,
ტკბილსასურველი, ვით საკმეველი.
გამოუთქმელი საკვირველების,
მიუწვდომლობის, ყოველივესი...:
სიბრძნის, სიკეთის, სახიერების —
შენ ხარ მაზეზი,
შენ ხარ მიზეზი...
შენ გვეედრები ყოვლად ცოდვილი,
ქედდადრეკილი, მუხლმოყრით ესე:
ნუ თანაწარმწყმედ ცოდვათა ჩემთა,
გულდამძიმებულს საწუთროს შხამით
და დაუშრეტელ ცეცხლის დამშრეტად
მომმადლე ცრემლი დღითა და ღამით,
ვინც მვედრებელთა ვედრებას ისმენ —
მარადიული ტანჯვისგან მიხსენ.

ატენი. მთავარანგელოზი გაბრიელი.

კურთხევა უფლისა თქვენზედა...

ურთიერთობა აღდგენილია

(რომის შთაბეჭდილებები)

გადაწყდა: უნდა გავფრინდე რომში. დელეგაცია მოსკოვიდან მიემგზავრება. ორი ოქტომბერია. რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელი, საგარეო საქმეთა თავმჯდომარე, მიტროპოლიტი იუბენალი წინა დღეს წასულიყო. მე ლიტვისა და ლატვიის კათოლიკური ეკლესიების წარმომადგენლებთან ერთად მომიხდა მგზავრობა. ყველანი ჩვეულებრივი, სამოქალაქო კოსტუმებით იყვნენ. ჩემი ჩაცმულობა კი ძალაუნებურად იზიდავდა თვალს... მით უმეტეს, რომ თვითმფრინავში ჩვენთან ერთად იტალიელი ჟურნალისტებიც მსხდარან... ისინი დაინტერესდნენ ჩემი ვინაობით; გაიგეს, რომ მე საქართველოს უძველესი ეკლესიის წარმომადგენელი ვარ და რომში პაპის, იოანე-პავლე პირველის დაკრძალვაზე მივემგზავრები. ირგვლივ შემომისხდნენ და პრეს-კონფერენცია მომიწყვეს. შვიდი, თუ რვა ჟურნალისტი იყო... ყველანი საქართველოში ნამყოფნი იყვნენ და ძველი ქართული არქიტექტურის ძეგლებიც ენახათ... მაგრამ ქართული ეკლესიის შესახებ არაფერი სმენოდათ. და ყოველივე, რასაც მე ჩვენი მართლმადიდებლობის შესახებ ვუამბობდი, მათთვის უაღრესად საინტერესო აღმოჩენად იქცა.— ძველი ტაძრები კი მართლაც შესანიშნავი გაქვთ, მაგრამ არ გვეგონა, თუ დღეს ისინი მოქმედი იყოო.

კითხვებს კითხვებზე მაძლევდნენ:

— რა განწყობით მიბრძანდებით დაკრძალვაზე? — ასეთი იყო პირველი კითხვა.

მე ვუპასუხე, რომ დაკრძალვაზე ადამიანი ერთი განწყობით მიდის: ეს არის სამგლოვიარო შემთხვევა, რომელიც მხოლოდ მწუხარებას იწვევს.

აინტერესებდათ — როდინდელია, რამდენსაუკუნოვანია ქართული ეკლესია, არის თუ არა დამოუკიდებელი, ვინ არის პატრიარქი, ვყოფილვარ თუ არა რომში, მაქვს თუ არა ოჯახი და სხვა...

მათთვის საინტერესო იყო ისიც, რომ დიდი სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობის შემდეგ საქართველოს ეკლესიის ოფიციალური წარმომადგენელი პირველად მიემგზავრებოდა ვატიკანში. ამ ფაქტმა სათანადო გამოხმაურება ჰპოვა რომის პრესაშიაც. თითქმის ყველა გაზეთი აღნიშნავდა ქართველი ეპისკოპოსის ჩასვლას რომში. ვფიქრობ, ამაში ერთგვარი და განსაკუთრებული წვლილი ჩემმა ნაცნობმა ჟურნალისტებმაც შეიტანეს.

ახალი ამაში, რა თქმა უნდა, არაფერი იქნება, თუ ვიტყვი: რომმა ჩემზე დიდი და წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. მისი მარადიული სილამაზე და დიდებულება ერთნაირად აოცებდა და აოცებს ყველას, ვისაც კი იგი უნახავს. ეს შთაბეჭდილება დაიწყო იმ პირველი წუთიდანვე, როცა თვითმფრინავიდან გამოვედი და წავიკითხე წარწერა: „ლეონარდო და ვინჩის სახელობის აეროდრომი“, — ამან ძალიან მომხიბლა.

ოთხ ოქტომბერს დანიშნული იყო პაპის დაკრძალვა... მღელვარებით მოველოდი ამ ცერემონიალს. იგი ჩატარდა ღია ცის ქვეშ, წმიდა პეტრეს ტაძრის წინ, მოედანზე... ორასი ათასზე მეტმა კაცმა ჩაიარა ამ დღეს განსვენებულის ცხედართან,.. საიდან არ იყვნენ ჩამოსულები... ჩემთვის განსაკუთრებით თვალში საცემი და საინტერესო იყო ის სიჩუნწე და ლაკონიურობა, რომელიც თან ახლდა სამგლოვიარო წირვა-მესას.

კუბო დახურული იყო. ზედ გამოკვეთილი იყო ყვითელი ფერის; საროს ხის ჯვარი, ესვენა ბიბლია. ეს იყო და ეს. გამოსამშვიდობებელი სიტყვა წარმოსთქვა ვატიკანის კარდინალთა დეკანმა ფოლკოლონიერმა. ბოლოს პაპის ცხედარი შეასვენეს წმ. პეტრეს ტაძრის პაპთა განსასვენებელ აკლდამაში.

5 ოქტომბერს შეხვედრა მქონდა ვატიკანის ქრისტიანული ერთობის დეპარტამენტში. ვესაუბრე ეპისკოპოს ტორელის. მან კმაყოფილება და სიხარული გამოთქვა რომში საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლის ხილვის გამო. ძალზე სასურველია, გაღრმავდეს ურთიერთობა საქართველოსა და ვატიკანს შორისო, — აღნიშნა მან.

6 ოქტომბერს საშუალება მომეცა დამეთვალიერებია რომი. ვნახე წმ. პეტრეს, წმ. პავლეს, სანტა-მარია-მაჯორე (ღვთისმშობელისა), აღდგომისა, წმ. კლემენტის ტაძრები და სხვ. თვალი შევავლე რომის კოლიზეუმს, იმპერატორთა ფორუმებსა და კატაკომბებს... დიდი შთაბეჭდილებები დამეუფლა.

შიშის გრძნობა გიპყრობს, როცა ხედავ ადამიანის ხელით შექმნილ ამ საოცრებებს... უყურებ, მაგალითად, მიქელანჯელოს პიეტას და ფიქრობ, რომ ცოცხალი, მწუხარე ღვთისმშობელი ზის, შვილი კი თითქოს მძინარეა... საოცარ შთაბეჭდილებას ქმნის სარკმლიდან შემოსული მზის სხივი, რომელიც ქანდაკებას ეცემა. ეს უნდა ნახო, ამის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია... და აქეთ კიდევ: რაფაელი, ტიციანი... ერთი წუთითაც არ გტოვებს მათზე ფიქრი და თაყვანისცემა, ვინც ასეთი საოცრება შექმნა.

ბევრად საინტერესო მაინც, რომში მეორედ მგზავრობა იყო. თავისთავად, შინაარსიც ბევრად სასიამოვნო ჰქონდა იმ მისიას, რომელიც ამჯერად დამეკისრა... მივდიოდი პაპის აღსაყდრების დღესასწაულზე. აღსაყდრება შესდგა 21 ოქტომბერს. აქაც ყველაფერი ლაკონიურად და ჩუნწად.

წმიდა პეტრეს მოედანი ამ დღესაც ხალხით იყო სავსე. ღია ცის ქვეშ ჩატარდა სადღესასწაულო წირვა: არავითარი გვირგვინის დადგმა პაპის თავზე (ეს გაუუქმებია უკვე პავლე VI-ს), არც მისი ბრწყინვალე შესამოსელით შემოსვა — ყველაფერი გაადვილებული და გა-

მარტივებულია; პავლეს უთქვამს: გვირგვინოსანი ერთადერთი მხოლოდ ღმერთი არისო...

პაპს თეთრი შესამოსელი ეცვა, იმავე დღეს მიმიღო. დიდი კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მის აღსაყდრებას ქართველი ეპისკოპოსი დაესწრო.

— ვიცი, რომ ქართული ეკლესია უძველესი ეკლესიაა და ჩვენი სურვილია, კონტაქტები, რომელიც უკვე აღსდგა, უფრო გავაღრმაოთ და გავაძლიეროთო.

ახალ პაპს საქართველოს ეკლესიის პატრიარქის სახელით საჩუქრად მივართვი ხისგან ნაკვეთი ბარძიმი (მხატვარი წერეთელი). მან ინტერესითა და სიამოვნებით მიიღო იგი და აღნიშნა — „ეს ფრიად ორიგინალური საჩუქარიაო“ (ძირითადად სულ ხატები მიართვეს). გადაგვიღეს სურათები და როგორც პირველი მგზავრობის დროს, პრესამ ამჯერადაც სათანადოდ აღნიშნა ქართველი ეპისკოპოსის ვატიკანში ჩასვლა.

შთაბეჭდილება ძალზე ბევრი დამიგროვდა და ყველაფერზე ლაპარაკი და, მით უმეტეს, წერა, ძნელია. მაგრამ ზოგ, განსაკუთრებით დასამახსოვრებელ შთაბეჭდილებას მაინც გაგიზიარებთ.

ძალიან მომეწონა თვით ვატიკანი. ესაა ქალაქი ქალაქში, უფრო სწორად, — როგორც მას უწოდებენ: — სახელმწიფო სახელმწიფოში. იგი გარშემორტყმულია ვეებერთელა, აგურისაგან ნაშენი მაღალი გალავნით. ეზო დაყოფილია უბნებად. უბნიდან უბანში თაღოვანი გასასვლელებია და ყველა გასასვლელთან შუასაუკუნოებრივი სამხედრო წესით, სათანადო სამოსელითა და შუბებით ვატიკანის გვარდიის შეიარაღებული ჯარისკაცები დგანან. ვატიკანი გარედან არავითარ განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას არ ტოვებს, შიგნით კი მომხიბვლელია მისი მდუმარე დიდებულება, მომხიბვლელია არქიტექტურა... დიდი ინტერესით დავათვალიერე ვატიკანის მუზეუმი, შეუდარებელი სიქსტეს კაპელა, — ლეონარდო, მიქელანჯელო, რაფაელი, ბოტიჩელი. ვიმოგზაურე სამხრეთ იტალიაში, გახლდით ქალაქ ბარში, სადაც ასვენია წმიდა ნიკოლოზის ნაწილები. ამისრულდა ოცნება:—მუხლი მომეყარა ამ საფლავის წინაშე. თაყვანი ვეც წმინდა ადგილს და ჩემი მფარველი ანგელოზის საფლავთან ქართულად ვილოცე, შევასრულე სამადლობელი პარაკლისი. მთელი დღე დავყავი იქ.

მეორე დღეს ისევ უკან დავბრუნდი და ვნახე მოსე — ადამიანის ხელით შექმნილი ერთ-ერთი ყველაზე დიდი, ამქვეყნიური საოცრება. ეს არის ამეტყველებული ქვა, რაღაც წარმოუდგენელი გრძნობა დამეუფლა; შევყურებდი ამ ქანდაკებას და მინდოდა მასთან ლაპარაკი... მე ნამდვილი, ცოცხალი მოსეს წინაშე ვიდექი და ვხედავდი მის თვალებს... გულში კი ხმიანობდა უკვდავი მიქელანჯელოს სიტყვები:

„რა ძლიერი ხარ, ო, ჩემში, ღმერთო“! — ასე ნიჭიერად თარგმნილი ჩვენი დიდი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას მიერ.

მე, ალბათ, მსგავს საოცრებას ვერასოდეს ვეღარ ვნახავ. — ეს თითქოს ადამიანის ქმნილება არაა. რამდენი რამ დაწერილა და თქმულა ამ ქანდაკებაზე. ვიდრე ვნახავდი, წინასწარ ზეპირად ვიცოდი ყოველივე მის შესახებ, და მაინც, გამაოგნებელია მასთან შეხვედრა... რა აძლევს მოკვდავ კაცს ასეთ ზეადამიანურ, ტიტანურ ძალას და შთაგონებას, თუ არა ღმერთი... ამას კარგად გრძნობდა თვით მიქელანჯელოც.

ბედნიერი ვარ, რომ ვნახე ადამიანის ხელით შექმნილი ეს ღვთაებრივი სასწაული, — ვნახე იტალია, — ვატიკანი, — ვნახე ბევრი რამ და დასასრულს ვიტყვი მხოლოდ ერთს: შეუძლებელია ამ ხალხის მიმართ, რომელმაც ასე უხვად და ნიჭიერად გადაუხადა ხარკი ცისა და ქვეყნის გამჩენს, არ განეწყო უდიდესი მადლიერებისა და პატივისცემის გრძნობით.

ეპისკოპოსი ნიკოლოზი, კურთხევის დღე.

ᲧᲠᲘᲪᲮᲘᲡ ᲬᲘᲠᲘᲗᲐᲜ

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲘᲚᲘᲐ II-ᲘᲡ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ამ დღეებში ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ გარეშე ძალების შთაგონებით ლიბანის შემარჯვენე ქრისტიანებმა მათ ქვეყანაში მცხოვრები სომეხი მოსახლეობის მიმართ გააჩაღეს ტერორისტული მოქმედებანი, რამაც მრავალი უდანაშაულო ადამიანი იმსხვერპლა; მათ შორის ბავშვები და უმწეო მოხუცები.

ჩვენ აღგვაშფოთა ამ ცნობამ, რის გამოც კატეგორიული მოთხოვნით მივმართეთ მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს, მიიღოს გადამჭრელი ზომები ამ მასობრივი ბოროტმოქმედების აღსაკვეთად.

ჩვენ, ქართველები, ისტორიის დასაბამიდან ვცხოვრობთ უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე მოძმე სომეხი ხალხის მეზობლად. ამ ხნის მანძილზე ერთად გადაგვიტანია მრავალი განსაცდელი, მტერთა შემოსევა და სხვა ბედუკუღმართობანი და არ შეგვიძლია გულგრილნი დავრჩეთ ლიბანში მცხოვრებ მათ თანამემამულეთა ტრაგედიის მიმართ. მსგავსი ტერორისტული აქტები ეწინააღმდეგება ქრისტიანული რწმენის პრინციპებს. ეჭვს არ იწვევს, რომ ეს გარეშე ფარული ძალების მიერ არის გამოწვეული.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ქრისტიანსა და სხვა, მშვიდობისმოყვარე ადამიანებს, ხმა აღიმაღლონ ამ აღმაშფოთებელი ფაქტის წინააღმდეგ.

ᲘᲚᲘᲐ II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი.

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲘᲚᲘᲐ II

ქრისტეს მიერ საყვარელო ძმაო!

გულის სიღრმემდე აგვაღელვა თქვენმა განცხადებამ ლიბანში მცხოვრები სომეხი მოქალაქეების ტრაგიკული ბედის გამო.

თქვენი ლოცვები, თქვენი თანაგრძნობა ნათელი გამოხატულებაა გულწრფელი, ნამდვილი თანაგრძნობისა საერთოდ, მთელი სომეხი ხალხის მიმართ.

მიიღეთ, თქვენო უწმიდესობავ, ჩვენი მადლობა და კეთილი სურვილები...

ახალ-ახალ აღმავლობას ვუსურვებთ ქართულ ეკლესიას.

ჩვენ მუდამ ვიქნებით ერთად.

ძმური სიყვარულით

ᲕᲐᲖᲒᲔᲜ I
ყოველთა სომეხთა
უმაღლესი პატრიარქი.

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲘᲚᲘᲐ II

დიდი მადლიერებითა და მღელვარებით წავიკითხე თქვენი განცხადება ბეირუთში მშვიდობიანი სომეხი მოსახლეობის წინააღმდეგ გამართული სისხლიანი ტერორის გამო.

ჩვენ, საქართველოს მიწაზე მცხოვრებმა სომხებმა, უფრო მეტად, ვიდრე ვინმემ სხვამ, ვიცით იმ ნამდვილი, ძმური სიყვარულისა და მეგობრობის ფასი, რომელსაც მუდამ ვგრძნობთ ქართველებისაგან. ქართველ ხალხს, ქართულ ეკლესიას, ქართველ დიდ მოღვაწეებს საუკუნეთა მანძილზე არაერთხელ გამოუწვდიათ დახმარების ხელი სომეხთათვის მათი განსაცდელისა და გასაჭირის ჟამს.

და დღეს, მე, საქართველოში მცხოვრები ერთ-ერთი სომეხი მოქალაქე, რომელიც იცნობს ჩვენი ხალხების როგორც ისტორიას, ისე დღევანდელობას, გულის სიღრმემდე შემძრა და ამაღელვა თქვენი უწმიდესობის უაღრესად მაღალჰუმანურმა განცხადებამ.

ვბედავ და მოგახსენებთ უდიდეს მადლობას თქვენ, საქართველოს დიდებულ კათოლიკოს-პატრიარქს. სომეხი ხალხი არასდროს არ დაივიწყებს თქვენს მაღალადამიანურ და მოქალაქეობრივი სიყვარულით სავსე თანაგრძნობას, რომელიც ასეთი დიდი კრიზისის ჟამს გამოხატეთ ჩვენი თანამემამულეების მიმართ.

უღრმესი მადლობითა და მოკრძალებით

Ხ. Პ. ᲝᲕᲡᲔᲡᲘᲐᲜᲘ.
30 ნოემბერი, 1978 წ.
ახალქალაქი,

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ი ლ ი ა II და ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქი ვ ა ზ გ ე ნ I

სტუმრები ამერიკიდან

1978 წლის 30 სექტემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უწმიდესსა და უნეტარეს **ილია II-ს** აშშ-დან ესტუმრნენ ამერიკის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები— სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტის, ნიუ-იორკის მთავარეპისკოპოსის, უნეტარესი თეოდოსის ხელმძღვანელობით. სტუმართა დელეგაციაში შედიოდნენ: არქიმანდრიტი ბორის გიზა, რომელიც უნეტარესი თეოდოსის ქორეპისკოპოსად უნდა აკურთხონ მოკლე ხანში; დეკანოზი დანიელ გუბიაკი; დეკანოზი, პროფ. იოანე მეინზდორფი, დეკანოზი არტურ ლაილინი — აშშ-ის ალბანური მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი, დიაკონი სტეფან მიხოლიკი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიისა და თეოლოგიის დოქტორი — კონსტანტინე კალაური. სტუმრებს ახლდნენ რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები: ეპისკოპოსი ირინეი — მოსკოვის საპატრიარქოს მმართველი კანადასა და აშშ-ში (დროებით) და დიაკონი ნიკოლოზ დიმიტრიევი.

სრულიად ამერიკის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია 1970 წლიდან ითვლის თავისი არსებობის წლებს. ავტოკეფალიამდე იგი რუსეთის საპატრიარქოს გამგებლობის ქვეშ იმყოფებოდა. 1970 წელს „ტომოსი“ მოსკოვიდან ავტოკეფალიის შესახებ თვით ჩვენმა სტუმარმა, უნეტარესმა თეოდოსმა ჩაიტანა ამერიკაში.

უნეტარესი თეოდოსი დაიბადა 1933 წლის 27 ოქტომბერს კონანსბერგში (პენსილვანიის შტატი), 1961 წლის 10 ოქტომბერს აღიკვეცა ბერად. 1967 წლის 31 მარტს აკურთხეს ეპისკოპოსად. 1977 წლის 25 ოქტომბერს სრულიად ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის V კრებაზე მონრეალში (კანადა) ეპისკოპოსი თეოდოსი არჩეულ იქნა მთელი ამერიკის მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის მამათმთავრად.

იმავე დღეს 30 სექტემბერს ერთმორწმუნე ეკლესიის წარმომადგენლები აშშ-დან მიიღო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა **ილია II-მ.**

მან აღნიშნა, რომ ერთმორწმუნე ამერიკული — ავტოკეფალური ეკლესიის მამათმთავრისა და მისი თანმხლები პირების ვიზიტი საქართველოში მისასალმებელია და სასიხარულო, რომ ეს პირველი ვიზიტია ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებისა საქართველოს ერთმორწმუნე ეკლესიაში. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა გამოთქვა რწმენა, რომ ეს ვიზიტი იქნება დასაწყისი იმ დიდი ურთიერთობისა, რომელიც საქართველოსა და ამერიკის ერთმორწმუნე ეკლესიებს შორის უნდა დამყარდეს. მან აღნიშნა, რომ ორ ავტოკეფალურ ეკლესიას შორის, მიუხედავად დიდი მანძილისა და სიშორისა, უკვე გაიდო ხიდი, — გაიდო მშვიდობისათვის, ხალხთა ბედნიერებისათვის, ერთა კავშირისათვის და ამ ხიდზე გამვლელნი მუდამ ურთიერთსიყვარულით იქნებიან აღვსილნი; და, რაც მთავარია, ღმრთისადმი სიყვარულითა და მისი მადლით გასხივოსნებულნი, ერთი რწმენით, ერთი იმედით შეხედავენ ერთმანეთს.

სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტმა, ნიუ-იორკის მთავარეპისკოპოსმა, უნეტარესმა თეოდოსმა საპასუხო სიტყვაში აღნიშნა: „უპირველესი მიზანი მისი და ამერიკის ეკლესიის წარმომადგენლების ჩამოსვლისა საქართველოში არის ის, რომ გაეცნონ უძველეს ქრისტიანულ კერას, გაეცნონ ქვეყანას, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა დაარწია ქრისტიანობის აკვანი მსოფლიოში.

„ქრისტიანულ სამყაროში ძნელად მოიძებნება ერი, უფრო დიდად და უფრო ღრმად რომ იყოს შესისხლხორცებული ქრისტიანულ რელიგიას. და ჩვენც, — ბრძანა უნეტარესმა თეოდოსმა, — მოვედით, რათა ვიხილოთ ეს ერი და გავიცნოთ იგი. ჩვენ სულ ახალგაზრდები ვართ, ჩვენი ავტოკეფალია სულ რამდენიმე წელია, რაც დაკანონდა. ჩვენ მოვედით უფროს ძმასთან გამოცდილების, ცოდნის, სიბრძნის მისაღებად და გვჯერა, რომ ეს პირველი ვიზიტი იქნება უფრო დიდი და საფუძვლიანი მომავალი ურთიერთობების მომასწავებელი.

1 ოქტომბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა **ილია II-მ** და უნეტარესმა თეოდოსმა ერთად ჩაატარეს საღვთო წირვა.

საღამოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უნეტარესი თეოდოსი და მისი თანმხლები პირები მიიწვია კინოსტუდიის თეატრ-სტუდიაში, სადაც ნახეს სპექტაკლი „შუშანიკის წამება“.

2 ოქტომბერს სტუმრები გაემგზავრნენ მცხეთაში, დაათვალიერეს სვეტიცხოველი, ჯვრის მონასტერი და მცხეთის სასულიერო სემინარია. იყვნენ ხელოვნების მუზეუმში.

საღამოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და უნეტარეს თეოდოსს შორის გაიმართა მოლაპარაკება, რომელიც ეხებოდა ორი ერთმორწმუნე ავტოკეფალური ეკლესიის შემდგომ ურთიერთობასა და ქრისტიანულ ეკლესიათა საერთო მდგომარეობას. კერძოდ, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის როლს საერთაშორისო ასპარეზზე და ამერიკის ავტოკეფალური ეკლესიის თვითგამორკვევის საკითხებს.

დაისახა გეგმა ორი მართლმადიდებელი — ამერიკული და ქართული — ეკლესიის მომავალი ურთიერთობის შესახებ.

დაბოლოს, სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტმა, უნეტარესმა თეოდოსმა, ოფიციალურად მიიწვია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი **ილია II** აშშ-ში.

იმავე საღამოს მთაწმინდაზე მოეწყო საზეიმო შეხვედრა, რომელსაც კათოლიკოს-პატრიარქის მიწვევით ესწრებოდნენ: უნეტარესი თეოდოსი და მისი თანმხლები პირები, სრულიად საქართველოს მღვდელთმთავრები, სამღვდელოება, საერონი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებული საქართველოში თენგიზ ონოფრიშვილი.

3 ოქტომბერს დილის 6 საათზე სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტი, უნეტარესი თეოდოსი და მისი დელეგაციის წევრები ოდესას გაემგზავრნენ.

ამა წლის 13 ოქტომბრიდან 17 ოქტომბრამდე საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სტუმრად ეწვია ვატიკანის რადიოს რუსული განყოფილების დირექტორი თეოდორ ბოსაიტი.

ძირითადი მიზანი მისი ვიზიტისა იყო დაეთვალიერებინა საქართველოს ტაძრები და ნანახისა და შთაბეჭდილებების შესახებ „რესიკუმის კოლეჯისათვის“ დაეწერა მოხსენება.

16 ოქტომბერს სტუმარი მიიღო უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა **ილია II-მ.** პატრიარქთან საუბრის დროს თეოდორ ბოსაიტმა იკითხა, შეიძლებოდა თუ არა, რომ ის დარჩენილიყო საქართველოში, როგორც მისიონერი და ექადაგნა რომელიმე ქართულ ეკლესიაში.

„მე მომეწონა და შემიყვარდა ეს ლამაზი ქვეყანა“, — დასძინა მან, — სიამოვნებით ვიცხოვრებდი საქართველოში“.

ვატიკანის რადიოს შესახებ თეოდორ ბოსაიტმა თქვა:

„რადიო «ვატიკანი» დიდი ორგანიზაციაა. იქ მსოფლიოს უმრავლეს ენაზე მიმდინარეობს გადაცემა ეთერში. გადაცემები მრავალფეროვანია: უმთავრესი დრო ეთმობა თეოლოგიის საკითხებს, ხშირად ისმის საგალობლები. რადიომსმენელებს ასწავლიან თეოლოგიურ, სასულიერო დოქტრინებს. კითხულობენ ბიბლიას, სახარებას, ზოგჯერ მთელი გადაცემა ეთმობა ამა თუ იმ ქვეყნის რელიგიური მიმდინარეობების განხილვას.

პორტუგალიელი სტუმარი საქართველოში

18 დეკემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა **ილია II-მ** მიიღო პორტუგალიელი ჟურნალისტი **სეზარ პრინსიპე,** რომლის ჩამოსვლის მიზანი იყო გასცნობოდა ჩვენს ქვეყანაში არსებულ რელიგიურ მიმდინარეობებსა და საქმიანობას. სტუმარი დაინტერესდა ქართული ეკლესიის წარსულით, მისი დღევანდელობით.

ილია II-სთან საუბარში პორტუგალიელმა ჟურნალისტმა პირველად შეიტყო, რომ საქართველო არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, რომ აქ ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში იქადაგეს ქრისტიანობა იესო ქრისტეს მოწაფეებმა: ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა და რომ საქართველოში მოტანილ იქნა მაცხოვრის კვართი. შემდეგ საუბარი შეეხო ქართული ეკლესიის დღევანდელ საქმიანობას, მის აქტიურ მონაწილეობას მსოფლიო ეკუმენურ მოძრაობასა და მშვიდობისათვის ბრძოლაში.

სეზარ პრინსიპემ განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა ქართული ეკლესიის შინაური ცხოვრებისა და საზოგადოებაში მისი როლისადმი. თავის საუბარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართული ეკლესია სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რომლითაც სარგებლობს საერთოდ ეკლესია ჩვენს ქვეყანაში. ეს დადასტურებულია როგორც სსრკ კონსტიტუციით, ისე საბჭოთა მთავრობის სხვა შესაბამისი დადგენილებებით. ქართულ ეკლესიას აქვს თავისი სასულიერო სემინარია, რომლის დამთავრების შემდეგ ღირსეულ სტუდენტებს აგზავნიან მოსკოვის სასულიერო აკადემიაში. ახლო მომავალში განზრახულია სტუდენტთა გაგზავნა საბერძნეთში, ათენის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველების ფაკულტეტზე.

გარდა ხსენებული ღონისძიებებისა, ქართული ეკლესია მონაწილეობას იღებს მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო ფორუმებსა და სიმპოზიუმებზე, ხდება დელეგაციების გაცვლა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკლესიებთან.

როგორც მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირში ეკლესია სახელმწიფოდან გამოყოფილია, მაგრამ ამის გამო იგი არ განიცდის დისკრიმინაციას. ჩვენ ჩვენი საკუთარი ცხოვრებით ვცხოვრობთ და ვეხმარებით სახელმწიფოს მშვიდობისა და ხალხთა კეთილდღეობის განმტკიცების საქმეში, რაც ქრისტიანული მოძღვრების ძირითად არსს შეადგენს, — აღნიშნა მისმა უწმიდესობამ.

საუბრის დასასრულს პორტუგალიელმა სტუმარმა გულითადი მადლობა გადაუხადა საქართველოს ეკლესიის მეთაურს ასეთი გულისხმიერი და შინაარსიანი საუბრისათვის.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა **ილია II-მ** პორტუგალიელ ჟურნალისტს სეზარ პრინსიპეს საჩუქრად გადასცა წმ. გიორგის ხატი და მოოქროვილი ქართული ფიალა.

საუბარს ესწრებოდნენ: მისი ყოვლადუსაძღვდელოესობა, წილკნელი ეპისკოპოსი თადეოზი, სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზი ანდრია ჩახვაშვილი, ანდრია პირველწოდებულის სახელობის, მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი დეკანოზი გურამ შალამბერიძე, მოსკოველი ჟურნალისტი პოლიაკოვი და სხვ.

პორტუგალიელი სტუმარი მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებულმა საქართველოში თენგიზ ონოფრიშვილმა.

სიტყვიერება

„რომელნი ქერუბინთა“

მღვდელ-მონოზონი ექვთიმე (კოჭლამაზაშვილი)

„რომელნი ქერუბინთა“... ესაა იოანე ოქროპირის წირვის ცენტრალური საგალობელი. ამ საგალობლის დროს მწირველი მღვდელი, ან მღვდელთმთავარი საკურთხეველში ტრაპეზის წინ დგას და კითხულობს საიდუმლო ლოცვას, რომელშიც გამოხატულია უდიდესი მოკრძალება და შიში საღვთო მსახურების მიმართ. „არავინ არს ღირს, თანა-შეკრული ხორციელთა გულის თქმათა და გემოთა, წარდგომად, ანუ მიახლებად, გინა მსახურებად მისდა, მეუფისა დიდებისა, რამეთუ მსახურება მისი დიდ არს და საშინელ თვით მათ ზეცისა ძალთადცა“. მაგრამ რადგანაც ღმერთმა თავისი განუზომელი და აურაცხელი კაცთმოყვარეობით, თავისი მადლისა და წყალობის გამრავლებისათვის დააწესა უსისხლო მსხვერპლის შეწირვა, სამღვდელო წოდებას, რომელსაც ეს საღმრთო მოქმედება დაეკისრა, ევალება დიდი სიწმიდისა და სისპეტაკის დაცვა.

„რომელნი ქერუბინთას“ გალობის შემდეგ, ტიბიკონის მიხედვით, მღვდელმა და დიაკონმა უსისხლო მსხვერპლი (ნაკვეთი სეფისკვერი და შავი ღვინო, რომელიც ბარძიმ-ფეშხუმშია მოთავსებული) სამკვეთლოდან ტრაპეზზე უნდა გადაასვენონ. იქ მოხდება ამ სხვერპლის (ანუ ძღვნის) კურთხევა, — სულიწმიდის მადლის უხილავი გარდამოსვლა და ძღვნის მაცხოვრის სისხლად და ხორცად გადაქცევა, რომელსაც შემდეგ ყოველი მორწმუნე ეზიარება.

ბერთუბანი.
აქებდით უფალსა ცათაგან...
აქებდით მას ყოველნი ანგელოსნი მისნი.

საგალობელი „რომელნი ქერუბინთა“ წირვის განსაკუთრებული საგალობელია. ამ დროს უნდა დასვენდეს ძღვენი ტრაპეზზე, რაც დიდი კრძალულებით უნდა შეასრულოს მღვდელმა. საიდუმლო ლოცვაში მწირველი მღვდელი სთხოვს ღმერთს: განაძლიეროს იგი სულიერად, განწმინდოს მისი გული და გრძნობა, რათა ღვთის მოწყალებამ ღირს-ქმნას ღვდელმოქმედების საღმრთო პატივისა.

გალობის ტექსტი ასეთია: „რომელნი ქერუბინთა საიდუმლოდ ვემსგავსენით და ცხოველსმყოფელისა სამებისა სამ-წმიდა არსობისა გალობასა შევსწირავთ, ყოველივე მსოფლიო დაუტეოთ ზრუნვა“.

გალობა მოუწოდებს მორწმუნეებს, მთელი ყურადღება მიმართონ ღვთისმსახურებისაკენ, მთელის არსებით შეუერთდნენ მას და ამარ ამქვეყნიური ზრუნვა დაივიწყონ.

საგალობელი „რომელნი ქერუბინთა“ ხალხურია.

p
mf
rit.





ჯვარო მფარველო ყოვლისა სოფლისაო,
ჯვარო, შვენიერებაო ეკლესიათაო,
ჯვარო, სიმტკიცეო ქრისტიანეთაო,
ჯვარო, შემწეო მორწმუნეთაო,
ჯვარო, დიდებაო ანგელოსთაო
და შემმუსვრელო ეშმაკთაო,
ჯვარო მფარველო ყოვლისა სოფლისაო,
დაგვიცევ და დაგვიფარე ჩვენ!

1978 წელს საქართველოს ეკლესიაში რამდენიმე ეპისკოპოსი ეკურთხა. ესენია: ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი ნიკოლოზი, ჭყონდიდელი ეპისკოპოსი იოანე, მაწყვერელი ეპისკოპოსი შიო, ბოდბელი ეპისკოპოსი თადეოზი*, ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსი დავითი, ურბნელი ეპისკოპოსი კონსტანტინე და ბოდბელი ეპისკოპოსი ათანასე.

მათი ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანეს წუთებში თითოეულმა მათგანმა შთაგონებული და შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა. ჩვენ ყველა ამ სიტყვას თანდათან გამოვაქვეყნებთ. ამჯერად ვბეჭდავთ სამს.

არქიმანდრიტ იოანეს სიტყვა. 25 თებერვალი

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო!

ყოვლად სამღვდელონო, მღვდელთმთავარნო და პატიოსანნო მამანო!

განგებითა ღვთისათა და ლოცვა-კურთხევითა თქვენი უწმიდესობისა და უნეტარესობისა, საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით გამორჩეული ვიქმენი ეპისკოპოსად ღვთივ-დაცვულისა ჭყონდიდის სამწყსოისა.

დიდი მღელვარებით ვარ მოცული — ვმადლობ ყოვლად-მოწყალე ღმერთსა, რომელი არა ჰრიდებს ცოდვათა ჩემთა და მიწოდებს ეგზომ დიდი მსახურებისათვის; ძრწოლვა მიპყრობს, როდესაც გონების თვალით განვსჭვრეტ, როგორი აღსასრულებია ეს სამსახური.

თქვენი უწმიდესობისაგან ხშირად მსმენია და წმიდა მამათა დარიგებათაგან ამომიკითხავს, რომ მღვდელთმთავრის მსახურება მოციქულებრივი მსახურებაა, და შეგნება იმისა, თუ ვისი სახელის წოდებასა ვინებებ და მოვალეობას ვიტვირთავ, შიშსა მგვრის.

დიდია ეს მსახურება, დიდია ვალდებულება ჩემი წინაშე ღვთისა.

მოციქული პავლე მიუწერს ებრაელთა: „არავინ თვით თვისით მიიღოს პატივი, არამედ, რომელ წოდებულ არს ღმრთისა მიერ, ვითარცა იგი აჰრონ“ (ებრ. 5.4).

მივიღებ ამ დიდ ხარისხს, როგორც ღვთის ნებას, ისევ ღვთისადმი სასოებითა; ვიტვირთავ უძველესი ჭყონდიდის სამწყსოს სულიერ მესაჭეობას თქვენი უწმიდესობისა და უნეტარესობის მამათმთავრული შემწეობის იმედით.

მამა, მღვდელმონოზონი ალექსი (შუშანია), დამაარსებელი და აღმაშენებელი იმ სავანისა, სადაც ფეხი ავიდგი ღვთის მსახურებაში და ვიდრე ბოლო დრომდე, ძალისაებრ ჩემისა ვემსახურებოდი ეკლესიას, ლექსად ბრძანებს —

„რავდენიც რა შეგესწავლოს
მაღალ სიბრძნის მიწვდომანი,
მაინც კიდევ მოსწავლე ხარ,
უსაზღვროა ღვთის ცნობანი“.

(სასულიერო წერილნი და მსჯელობანი — „თავო გირჩევ“, 1902 წ.).

მოწაფე ვარ ღვთისა და თქვენი, უწმიდესო მეუფეო, თქვენ ბრძანდებოდით ჩემი საყვარელი მოძღვარი სემინარიაში, თქვენ ბრძანდებით ჩემი მანუგეშებელი განსაცდელსა ჟამსა და თქვენ ბრძანდებით ჩემი კეთილად დამმოძღვრებელი დღიდან ჩემს მიერ სასულიერო ხარისხის მიღებისა — ვიდრე აქამომდე.

თქვენი უწმიდესობა მთელს ქართულ ეკლესიას, ყველა კეთილი ნების ადამიანს უყვარს, რადგან თვითონ სიყვარული ბრძანდებით, ყველა გებრალვით, ყველას მფარველობთ და ყოველსა კეთილსა უყოფთ.

ამ სიყვარულს უკლებლივ ყველანი უხვად ვიმკით თქვენგან, მეცა, რომელიც მუდამ ვთვლიდი და ვთვლი ჩემს თავს თქვენს მოწაფედ.

ვეცდები, ვემსახურო მაცხოვრის ნაქადაგებ სიყვარულსა.

გმადლობთ, თქვენო უწმიდესობავ, ეგზომ დიდი ყურადღებისა გამო.

გმადლობთ ყოვლადსამღვდელონო, მღვდელთმთავარნო იმ ნდობისათვის, რომელიც გამომიცხადეთ მე და გამომარჩიეთ ეპისკოპოსად საქართველოს წმიდა ეკლესიის ერთერთი უძველესი ეპარქიისა.

ლოცვა-ჰყავთ ჩემთვის, თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო და პატიოსანნო მამანო, რათა შევძლო კეთილად აღსრულება ჩემი ახალი სამსახურისა, სადიდებელად ღვთისა, სასიკეთოდ ჩვენი დედა ეკლესიისა. ამინ.

---

* მისი უწმიდესობის გადაწყვეტილებით ბოდბელი ეპისკოპოსი თადეოზი 1978 წლის სექტემბრიდან დანიშნულ იქნა წილკნის ეპარქიის მმართველად.

არქიმანდრიტ შიოს სიტყვა 27 ივლისი



უწმიდესო და უნეტარესო!

მამავ და მოძღვართმოძღვარო ჩვენო!

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ღვთივკურთხეულო შვილნო!

მაღალი ღმერთის განგებით, მისი მადლითა და ულევი მოწყალებით მე ვდგავარ ქართველი ერის საყვარელ საპატრიარქო ტაძარ სიონში, სასულიერო ხარისხში ახალი ამაღლების წინ. როგორც არ უნდა მაღელვებდეს ეს სასწაულებრივად გასაოცარი მოწყალება დიდი ღმერთისა, რომელიც მან მარგუნა ჩემი სიცოცხლის მიწურულში, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, პირდაპირი გაგებით ვხედავ ყოველივეს, სამოცდაცხრა წლის ადამიანი როგორ აღმოვჩნდი ამ წმიდათაწმიდა თაღებს ქვეშ, უხილავად აქ მყოფი მაცხოვრის, თქვენი უწმიდესობისა და საქართველოს ეკლესიის შვილთა წინაშე.

ჩემთვის ამ მნიშვნელოვან დღეს, ვბედავ ღვთისა და თქვენს წინაშე მოვიგონო ჩემი შორეული წარსული, როდესაც ათი-თორმეტი წლის ბიჭუნა ვიდექი ხოლმე ჩვენი სოფლის პატარა ეკლესიის საკურთხეველში და ვეხმარებოდი იმ ეკლესიის აწ განსვენებულ მღვდელს, ნეტარხსენებულ სვიმონს. ნათლად მახსოვს, როგორი გულუბრყვილობით მიყვარდა მაშინ მე მაცხოვარი, რომლის შესახებაც ძალიან ცოტა ვიცოდი და ისიც ბუნდოვნად, მაგრამ მაინც მიყვარდა. ძალიან მოკლე იყო ეს პერიოდი.

წამოვიზარდე.

ველარ ვნახულობდი ჩემს სოფელსა და იმ ეკლესიას. მოუსვენრობამ ბევრ ქარტეხილში გამომატარა. გადატანილ ცხოვრებისეულ სიძნელეებს არ შეუნელებია ჩემში ბავშვობისდროინდელი სიყვარული ქრისტესა და ქრისტიანობისადმი.

მრავალმა უძილო ღამემ და ძიებამ მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საოცრებითა და სილამაზით გარემოსილი სამყარო და, რაც მთავარია, სიცოცხლე და, რაც კიდევ უმთავრესია, გვირგვინი ამ სიცოცხლისა, ადამიანი შემთხვევით არ გაჩენილა და ყოველივე ამას ჰყავს ჭეშმარიტი ღმერთი „შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არახილულთა“. თავად ცხოვრება, სამყარო იყო ის დიდი წიგნი, რომელშიაც ვკითხულობდი ჩემი ძიების პასუხებს. ამ ძიებამ შემაყვარა ეკლესია და მორწმუნე ხალხი, შრომის მადლი და კეთილი საქმე... მაგრამ ყოველივე ამით მაინც არ იყო გზა გაკვალული; ალბათ, იყო ეჭვები სადღაც, რაღაც აკლდა მაძიებელ სულს, უკმარობას თითქოს გრძნობდა გული; მაინც მიიწევდა სადღაც დაუოკებელი მისწრაფება ჩემი ადამიანური ბუნებისა...

წმიდა მოციქული პავლე ებრაელთა მიმართ მიწერილ ეპისტოლეს მეხუთე თავის მეოთხე მუხლში ბრძანებს: „და არავინ თავით თვისით მიიღოს პატივი, არამედ, რომელი წოდებულ არს ღვთისა მიერ, ვითარცა იგი აჰრონ“. მაგრამ ორი წლის წინათ, მე კიდევ ძალიან შორს ვიყავი ღვთისაგან, რომ ღირსი გავმხდარიყავი მის მიერ წოდებულ ყოფისა, მაგრამ სწორედ თქვენთან შემახვედრა განგებამ ამ ორი წლის წინათ, თქვენ დამაყენეთ მე ღმერთისაკენ მიმავალ გზაზე, თქვენ დამანახეთ ყოველივეზე მაღლა მდგომი ნათელი უკვდავებისა, და თქვენმა ლოცვა-კურთხევამ მე წარმადგინა ჩვენს გამჩენ ღმერთთან.

ვიცი, რომ განუზომლად დიდია ჩემს ცოდვილ თავზე ეს პატივი. იმასაც ვხვდები, თუ რა მოვალეობა მეკისრება მომავალში მაცხოვრისა და თქვენს წინაშე.

წმიდა მოციქული პავლე ტიტეს მიმართ ეპისტოლეს პირველი თავის მეშვიდე მუხლში ბრძანებს: „რამეთუ ჯერ არს ეპისკოპოსისათვის უბიწო ყოფაჲ, ვითარცა ღმრთისა მონისაჲ, ნუ თავხედ, ნუ გულმწყრალ, ნუ მოღვინე, ნუ მოლალე, ნუ საძაგელის შემძენელ“. ღვთისაგან მომადლებული სასოებით, მისი ულევი მოწყალებითა და თქვენი ლოცვა-კურთხევით, თქვენო უწმიდესობავ, მე სიხარულითა და სიყვარულით შევასრულებ ყოველივე იმას, რაც ბრძანა წმიდა დიდებულმა და ყოვლად ქებულმა მოციქულმა პავლემ.

იმავე მოციქულმა ბრძანა, თუ რა თვისებები უნდა ჰქონდეს ეპისკოპოსის ხარისხში ამაღლებულ ადამიანს. მე ვღაღადებ მაღალი ღმერთის წინაშე, რომელსაც თქვენთან ერთად ესმის ჩემი ხმა, რომ ვიქნები: „კაცთ მოყუარე, წმიდა, მართალი, ღირს, მოთმინე, თავს მდებელ — მსგავსად მოძღვრებისა მის“.

ღვთისაგან ბოძებული მადლით, მე მოძულე ვარ ყოველგვარი განდიდებისა, მაგრამ ეპისკოპოსის პატივი დიახაც მახარებს, — არა როგორც განდიდება, არამედ, როგორც ღვთისაგან ბოძებული გზა, რომლითაც უნდა ვემსახურო მის ძლიერებასა და ჭეშმარიტების მარად მოყვარულ ქართველ ერს.

დასასრულ, ესოდენ სახსოვარ და საზეიმო დღეს, მთელი ჩემი ადამიანური აღტაცებით აღვავლენ მადლობას მოწყალე ღმერთის წინაშე იმ პატივისათვის, რომელიც მომმადლა მე — მის ცოდვილ მონას. მადლობას აღვავლენ თქვენი უწმიდესობისა და უნეტარესობის წინაშე იმ სიკეთისათვის, რომლითაც გზა გამინათეთ და წარმადგინეთ ჩვენს გამჩენ ღმერთთან.

მე ვიჩოქებ ჩვენი საყვარელი სიონის წმიდა და მადლმოსილ თაღებს ქვეშ და საზეიმო ვედრებით მოგახსენებთ: თქვენი მამათმთავრობითა და მოძღვრებით მზადა ვარ ვემსახურო მაღალ ღმერთსა და ჩვენს საყვარელ ქართველ ერს.

არქიმანდრიტ თადეოზის სიტყვა 2 აგვისტო

თქვენო უწმიდესობავ, უწმიდესო და უნეტარესო, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქო, დიდო მეუფეო და დიდო მამაო ილია; წმიდანო მღვდელთმთავარნო ჩვენი მრავალჭირნახული ივერიის ეკლესიისანო, უმორჩილესად ვმადლობ ღმერთსა და უფალსა, შემოქმედსა ცისა და ქვეყანისასა, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა მომავალსა სოფლად, რომელმან თქვენი უწმიდესი ლოცვის მადლით მიწოდა განსაკრთომელ მღვდელთმთავრულ გზაზე. დიდ არს და საშინელ ჩემთვის ნდობა ესე მსახურნო დიდებისანო.

მთავარანგელოსნი და ანგელოსნი ძლიერნი ძალითა, ნათელნი მეორენი, ძრწიან დიდებისაგან ღვთისა და მე უღირსმან ვითარ ვიკადრო აღებად პირისა ჩემისა მისსა მიმართ, და ვითარ მივიღო პატივი ესე? ჩემი შინაგანი არსება ძრწის და გონებას ჩემსას ვერ მოუნახავს სიტყვა გამართლებისა... ამიტომ ვარჩევ დუმილს და განგებასა ღვთისა და თქვენს წმიდა ლოცვას უმორჩილესად მინდობილი გამოუთქმელ მადლობას მოგახსენებთ...

რთულია ჟამი ესე და ვის შეუძლია უღელვოდ გავლა ამ წუთისოფლის მღელვარე ზღვისა, ხსნა უკვდავისა სულისა თვისისა და ხსნა მოყვასთა, უკეთუ არა ითხოვა მადლი ღვთისაგან, და ადამიანთა სიყვარულით არ გაიშუქა გული?..

ვმადლობდეთ ღმერთსა, რამეთუ კვალად მოგვხედა. დღეს ამას გრძნობს ყოველი გონიერი ადამიანი და გულით ლოცავს მთელი საქართველოსთვის მლოცველს.

დღეს დიდი დღეა. დღე — დიდი წინასწარმეტყველისა და ღვთისმხილველისა ილიასი, დღე ანგელოზისა უწმიდესისა და უნეტარესისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა, დიდისა მეუფისა და დიდისა მამისა ჩვენისა ილია მეორისა, დღე კეთილი მწყემსის მიერ დადგენილი დიდი მწყემსისა. მინდა თქვენი სახელით, ყველა ქართველისა და ყველა ქრისტიანის სახელით მივულოცო მას ეს ბედნიერი დღე და აღვუთქვა ივერიის დედა-ეკლესიას პატიოსნად მსახურება ძალისაებრ ჩემისა შეწევნითა უწმიდესის წმიდა ლოცვითა, შეწევნითა წმიდა სინოდის წმიდა მღვდელთმთავრების, ყოველთა სამღვდელო და სამონოზვნო დასისა და ყველა თქვენთაგანის წმიდა და გულწრფელი ლოცვითა. ა მ ი ნ.



ზ ა რ ზ მ ა,
ღმერთი ეკლესიათა შინა განცხადებულ არს.

1978 წლის 10 სექტემბერს ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ დიდი ზეიმით აღნიშნა წმიდა დიდებული მოწამის, დედოფალ შუშანიკის მარტვილობის 1500 წლისთავი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა **ილია II-მ** სიონის საკათედრო ტაძარში აღასრულა საღმრთო-სადღესასწაულო წირვა და პარაკლისი. აკურთხა ახლადშექმნილი ხატი წმ. მოწამის შუშანიკ დედოფლისა, რომლის ავტორია მხატვარი ალექსანდრე ბანძელაძე. დრამატურგმა მიხეილ თარხნიშვილმა წაიკითხა შუშანიკისადმი მიძღვნილი ოდა, ხოლო სიონის მგალობელთა გუნდმა შეასრულა ახალგაზრდა კომპოზიტორის მერაბ გაგნიძის მიერ სპეციალურად ამ დღისათვის დაწერილი ტროპარი და კონდაკი. ირგვლივ სადღესასწაულო განწყობა და სიხარული სუფევდა.

საღმრთო-სადღესასწაულო წირვის შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მისი თანმხლები პირნი ეწვივნენ მეტეხის ტაძარს, სადაც დაკრძალულია წმიდა დიდებული მოწამე, დედოფალი შუშანიკი. დიდმა მეუფემ, უწმინდესმა და უნეტარესმა **ილია II-მ** აკურთხა წმიდანის საფლავი.

⊙

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ILIA II-ის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა სრულიად საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ახალი საგალობელი, რომელიც მიმდინარე წლის 14 ოქტომბერს პირველად შესრულდა მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, საუფლო ჯვარისა და ღვთაებრივ ბრწყინვალე მირონ-მდინარე სვეტის დღესასწაულზე.

ტექსტის ავტორია მიხეილ თარხნიშვილი. მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა იოსებ კეჭაყმაძემ.

⊙

20 ოქტომბერს თბილისის საპატრიარქო რეზიდენციაში მოწვეულ იქნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა.

კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის წარდგენით წმიდა სინოდის სხდომამ განაჩინა:

1. მარტყოფის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი გიორგი ჭკადუა დადგენილ იქნას ბათუმ-შემოქმედელ ეპისკოპოსად და ეწოდოს მას სახელი დავითი,

2. ხაშურის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის წინამძღვარი არქიმანდრიტი დიმიტრი მელიქიძე დადგენილ იქნას ურბნელ ეპისკოპოსად და ეწოდოს მას სახელად კონსტანტინე.

⊙

7 დეკემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ეწვია ანდრია პირველწოდებულის სახელობის მცხეთის სასულიერო სემინარიას. სემინარიის ტერიტორიაზე სამთავროს დედათა მონასტერში პედაგოგებმა, მსმენელებმა და პატრიარქის თანმხლებმა პირებმა იგალობეს „ღირს არს ჭეშმარიტად", რის შემდეგ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარმა დაათვალიერა სემინარიის სასწავლო აუდიტორიები და საერთო საცხოვრებელი. გზადაგზა იძლეოდა საგულისხმო რჩევა-დარიგებებს სემინარიის ცხოვრებაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლულოვანებათა აღმოსაფხვრელად. საქართველოს ეკლესიის დიდმა მეუფემ ილია II-მ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქართული ეკლესიის დღევანდელი მოძღვარი უნდა იყოს ყოველმხრივ სრულყოფილი მსახური ღვთისა. ღმერთის რწმენასთან ერთად იგი სრულყოფილად უნდა ფლობდეს ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების უახლეს მიღწევებს. მოძღვარი ფეხდაფეხ უნდა მიჰყვებოდეს ცხოვრებას, უამისოდ იგი მაგალითის მიმცემი ვერ იქნება ერისათვის, ვინაიდან ერისა და ეკლესიის მჭიდრო კავშირი იყო და დარჩება ჩვენი არსებობის შეუვალ ქვაკუთხედად.

იმავე დღეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ეწვია სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარს, სადაც აღავლინა ლოცვა უფლისადმი ქართველი ერის საკეთილდღეოდ. სანთლები დაუნთო ქართველ წმიდანებს, კელაპტრებით გააჩირაღდნა ვახტანგ გორგასალის, ერეკლე მეფისა და გიორგი XII-ის საფლავები.

⊙

18 დეკემბერს ქ. თბილისში, საპატრიარქო რეზიდენციაში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, ყოვლადუსამღვდელოესნი: მანგლელი მიტროპოლიტი გრიგოლი (ცერცვაძე), ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი ნიკოლოზი (მახარაძე), ჭყონდიდელი და აგარაკ-წალკელი ეპისკოპოსი იოანე (ანანიაშვილი), ქუთაისგაენათელი და ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი შიო (ავალიშვილი), წილკნელი ეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი), ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსი დავითი (ჭკადუა), ურბნელი და მაწყვერელი ეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე).

წმიდა სინოდის სხდომამ განაჩინა: აწყურის ეპარქიას ამიერიდან ეწოდოს — „ახალციხისა და მესხეთ-ჯავახეთისა", ხოლო ცაგერის ეპარქიას „ცაგერისა და ლეჩხუმ-სვანეთისა".

ერთხმად მიღებულ იქნა ილია II-ის წინადადება: აღდგენილ იქნას საქართველოს ეკლესიაში ოდითგანვე არსებული მთავარეპისკოპოსის ხარისხი (ისტორიული მასალების საფუძველზე).

ილია II-მ ბოდბის ეპარქიის მეთაურის კანდიდატად წამოაყენა სიონის საპატრიარქო ტაძრის დეკანოზი ანდრია ჩახვაშვილი.

⊙

24 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ და ქართველმა მორწმუნე საზოგადოებამ ზეიმით აღნიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრების წლისთავი. ამ დღის აღსანიშნავად საქართველოს ეკლესიის დიდმა მეუფემ და წინამძღვარმა მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში აღასრულა საღმრთო-სადღესასწაულო წირვა, რომელსაც დაესწრნენ: მიტროპოლიტი ზინობი (მაჟუგა) თეთრწყაროელად წოდებული, მანგლელი მიტროპოლიტი გიორგი (ღონღაძე), ალავერდელი და ცაგერ-ლეჩხუმ-სვანეთის მიტროპოლიტი გრიგოლი (ცერცვაძე), ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი ნიკოლოზი (მახარაძე), ჭყონდიდელი ეპისკოპოსი იოანე (ანანიაშვილი), ქუთაისგაენათელი და ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი შიო (ავალიშვილი), წილკნელი ეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი), ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსი დავითი (ჭკადუა), ურბნელი და მესხეთ-ჯავახეთის ეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე), სიონისა და სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრების მღვდელმსახურნი; აგრეთვე — ანდრია პირველწოდებულის სახელობის მცხეთის სასულიერო სემინარიის მსმენელები და ბერმონოზონნი.

სვეტიცხოვლის დიდებული ტაძარი და მისი სანახები, საქართველოს ყოველი კუთხით მოსული ხალხით აივსო. ეს გახლდათ ჭეშმარიტი დღესასწაული ქართული ეკლესიისა და მისი ღირსეული წინამძღვრისა, საღმრთო-სადღესასწაულო წირვის აღსრულების დასასრულს გამოქვეყნებულ იქნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 1978 წლის 14 დეკემბრის ბრძანებულება, რომლის თანახმადაც მიტროპოლიტი ზინობი მაყუგა თეთრწყაროელად წოდებული დაჯილდოვდა სახელობითი პანაღიით. მეორე პანაღიის ტარების უფლებით დაჯილდოვდნენ: მანგლელი მიტროპოლიტი გიორგი (ღონღაძე), ალავერდელი და ცაგერ-ლეჩხუმ-სვანეთის მიტროპოლიტი გრიგოლი (ცერცვაძე).

აღყვანილ იქნენ მთავარეპისკოპოსის ხარისხში: ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მეთაური ნიკოლოზი (მახარაძე), ჭყონდიდის ეპარქიის მეთაური იოანე (ანანიაშვილი), ქუთაისგაენათისა და ნიკორწმინდის ეპარქიათა მეთაური შიო (ავალიშვილი).

ამავე ბრძანებულებით ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის წმ. გიორგის II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდნენ: წილკნელი ეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი), ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსი დავითი (ჭკადუა), ურბნელი ეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე), ანდრია პირველწოდებულის სახელობის მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი, დეკანოზი გურამ შალამბერიძე; ამავე სემინარიის პედაგოგი ილია ჭეიშვილი.

წმ. ნინოს II ხარისხის ორდენი გადაეცა კათოლიკოს-პატრიარქის მდივანს გრიგოლ მშვიდობაძეს.

ქ. თბილისის წმ. ნინოს სახელობის ტაძრის მოძღვარი იღუმენი გაბრიელი (ჩოჩოშვილი) აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის დეკანოზი არსენ ბერუაშვილი დაჯილდოვდა მიტრის ტარების უფლებით.

ნიკორწმინდის საკათედრო ტაძრის მღვდელი ალექსანდრე ქათამაძე დაჯილდოვდა გამშვენიერებული ჯვრის ტარების უფლებით.

წმ. სინოდის 1978 წლის 14 დეკემბრის განჩინების თანახმად მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მოხდა ხელდასხმა და ბოდბელ ეპისკოპოსად კურთხევა თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძრის არქიმანდრიტის ათანასესი (ანდრია ჩახვაშვილისა).

იმავე საღამოს მოეწყო უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საპატრიარქო ტახტზე აღსვლის პირველი წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი „ილია II-ის აღსაყდრება“, რომელმაც მაყურებელთა ცხოველი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. საზეიმო შეხვედრას ხელმძღვანელობდა ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი (მახარაძე). სიტყვა წარმოთქვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ.

საზეიმო შეხვედრა დასასრულს მიუახლოვდა... საეკლესიო გუნდი ხმიერად გუგუნებს: „წუთისოფელი ასეა, დღეს ღამე უთენებია, რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია...“

მიტროპოლიტნი: — ალავერდელი გრიგოლი, თეთრწყაროელი ზინობი და მანგლელი გიორგი.

მას, ალავერდის დიდებულ ტაძარს!

მას, ალავერდის დიდებულ ტაძარს... ყოველი წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებში, საქართველოს ყველა კუთხიდან ეწვევიან მლოცველები.,.

თაყვანს სცემენ საქართველოს მნათობის, ქეთევან დედოფლის წმიდა ნაწილებს... 27 სექტემბერს, მსოფლიო ჯვართამაღლების უდიდეს დღეს საქართველო აღნიშნავს ქეთევანობას... უწმიდესის წმიდა ლოცვით შეავედრებს ღმერთს ერსა ჩვენსა და მისგანვე კურთხეულ ქვეყანას.

ჯვართამაღლებას — ამ სასწაულებრივ დღეს ალავერდის დიდებულ ტაძარს მრავალთა წელთა შემდეგ პირველად ეწვია წელს საქართველოს კათოლიკოსი, ჩვენი დიდი სულიერი მამა და ლოცავდა იგი ამ ტაძრის აღმშენებელი ხალხის სულიერ ძლიერებას, ზეციური ჩვენი მფარველის, დიდი დედოფლის, დიდი წამებულის, დედა ქეთევანის ნათლით სხივმოსილ მამულს ჩვენსას.

მას, ალავერდის დიდებულ ტაძარს,
ალაზნის პირად თეთრად ანთებულს,
კვლავ მოიხილავს, კვლავ მოიხილავს
მის, ქეთევანის წმიდა ხატება...
მრავალმოწამე გურჯთა დედოფალს
კალთა სავსე აქვს თეთრი ვარდებით
და დიდებული თვისი ნაბიჯით
ცით მიწისაკენ მოეშურება...
შენ... ნათელი ხარ, დიდი ნათელი
მარადიული მწუხრის წინაშე...
გზა გეფინება წითელ ვარდებით:
ეს, დედოფალო, ნანობს შირაზი...
მას, ალავერდის დიდებულ ტაძარს,
ალაზნის პირად თეთრად ანთებულს,
კვლავ მოიხილავს, კვლავ მოიხილავს,
მის, ქეთევანის წმიდა ხატება...

ანა კალანდაძე

ალავერდის ტაძარი. XI ს.



საღვთისმეტყველო ლექსიკონი და განმარტებანი

ცალ-ცალკე განვიხილოთ **დიაკონის, მღვდლისა და მღვდელთმთავრის** შესამოსელი.

დიაკონი იმოსება გრძელი უსარტყელო, ფართო სახელოებიანი კაბით, რომელსაც **სტიქარი** ეწოდება. მარცხენა მხარეს გადაკიდებული აქვს **ორარი**, ანუ **გინგილა**. ორარის წინა ბოლო დიაკონს უპყრია მარჯვენა ხელში და ასე წარმოსთქვამს კვერექსებს. **გინგილა** სიმბოლურად ნიშნავს ანგელოზის ფრთებს. მარჯვენა და მარცხენა ხელზე დიაკონი იკეთებს სამაჯურებს, რომლებიც სიმბოლურად ღვთის ძალას გამოხატავენ.

მღვდლის შესამოსელი შემდეგია:

1) **სტიქარი**, ანუ კაბა.

2) **ოლარი** — ყელზე ჩამოსაცმელი გრძელი და ვიწრო ნაქარგი ქსოვილი, რომელიც აუცილებელია საეკლესიო წესების შესრულების დროს. იგი სიმბოლურად ნიშნავს ღვთის მადლს.

3) **სამაჯურები**, ანუ საბუხრეები.

4) **სარტყელი** — სიმბოლურად ნიშნავს ღვთის ძალას.

5) **ფილონი** — ზედა შესამოსელი, უსახელოები.

ჯილდოებს მიეკუთვნება:

1) **საგვერდული** და **ენქერი**, — გვერდზე ჩამოსაკიდებელი, მართკუთხედისა და რომბის ფორმის ქსოვილის სამკაული. სიმბოლურად გამოხატავენ სულიერ ძალას.

2) **მიტრა** — სიმბოლურად გამოხატავს ქრისტეს ეკლის გვირგვინს.

მღვდელთმთავრის შესამოსელია:

1) **სტიქარი,**

2) **ოლარი,**

3) **სამაჯურები,**

4) **სარტყელი,**

5) **ენქერი,**

6) **ბისონი,** — ზედა სამოსელი, სტიქარზე უფრო მოკლე.

7) **მცირე და დიდი ომოფორი,** — ყელზე შემოსახვევი სამკაული. სიმბოლურად გამოხატავენ დაკარგულ ცხვარს.

8) **კვერთხი,** — ლითონის, ან ხის შემკული ხელჯოხი, სიმბოლო ძალაუფლებისა.

მღვდელთმთავარი დგება წრიული ფორმის ხალზე, რომელზედაც არწივია გამოსახული.

ხმა—ასე ეწოდება გალობის კილოს, რომელიც განკუთვნილია ამა თუ იმ დღისათვის. თითოეულ საგალობელს (ტროპარს, კანონს, კონდაკს, წარდგომას და სხვა) აქვს თავისი ხმა. ერთნაირხმიანი საგალობლები ერგალობება ერთდაიმავე ჰანგზე.

ეკლესიაში მიღებულია 8 ხმა, ანუ 8 ჰანგი. როგორც ცნობილია, სულიწმიდის გარდმოსვლის შემდეგ იწყება შვიდეულების ნუმერაცია და ასე გრძელდება მთელი წლის განმავლობაში. მეორე კვირას, მაგალითად, გალობა ხდება პირველ ხმაზე, შემდეგ კვირას მეორეზე, მესამეზე, მეოთხეზე და ასე შემდეგ. მერვე ხმის შემდეგ კვლავ ვუბრუნდებით პირველ ხმას.

კანონი არის ფართოდ გავრცელებული ფორმა გალობისა, რომელიც გამოიყენება ცისკრის ლოცვაზე, პარაკლისზე და სხვადასხვა საეკლესიო წესების შესრულების დროს. კანონი შესდგება 9 გალობისაგან. თითოეულ გალობაში არის 5 მუხლი. პირველ მუხლს ეწოდება სძლისპირი, მეორესა და მესამეს — ტროპარი, მეოთხეს — სამებისა, მეხუთეს — ღვთისმშობლისა.

ტროპარების წინ ითქმის სათანადო ჩასართავი, იმისდა მიხედვით, თუ რომელ წმიდანს, ან რომელ დღესასწაულს ეძღვნება კანონი. სამების მუხლის წინ ითქმის: „დიდება მამასა, და ძესა, და წმიდასა სულსა“. ღვთისმშობლის მუხლის წინ — „აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“.

სძლისპირები, როგორც წესი, იგალობება, დანარჩენი მუხლები იკითხება.

აიაზმა — სიწმიდე, ნაკურთხი წყალი.

დიდი აიაზმა — წყლის კურთხევის წესი, რომელიც სრულდება წელიწადში ორჯერ — ნათლისღების დღეს და მის წინა დღით.

მცირე აიაზმა — წყლის კურთხევა, რომელიც სრულდება ტაძრის დღესასწაულზე და, აგრეთვე, სხვა დღეებში.

ათორმეტი სახარება — ასე ეწოდება სახარების თორმეტ მონაკვეთს, რომლებშიც აღწერილია იესოს ვნება (წამება) და რომლებიც იკითხება ვნების კვირის დიდ ხუთშაბათს — საღამოთი და პარასკევს — ცისკარზე.

ვნების შვიდეული (ვნების კვირა) — აღდგომის წინა კვირა, რომლის დღეებსაც ეწოდება: დიდი ორშაბათი, დიდი სამშაბათი, დიდი ოთხშაბათი, დიდი ხუთშაბათი, დიდი პარასკევი და დიდი შაბათი. ამ დღეებში ეკლესია მოიხსენიებს იესოს ვნებასა და ჯვარცმას:

ათერთმეტი სახარება — სახარების 11 მონაკვეთი, რომლებშიც აღწერილია იესო ქრისტეს აღდგომა მკვდრეთით. ამ თერთმეტთაგან ერთ-ერთი იკითხება კვირის ცისკარზე. მაგალითად, სულიწმიდის მოფენიდან პირველ კვირას იკითხება პირველი სახარება, მეორე კვირას — მეორე და ასე შემდეგ. მეთერთმეტე სახარების შემდეგ წაიკითხება ისევ პირველი და ასე შემდეგ.

პასექი — უდიდესი საეკლესიო დღესასწაული, აღდგომა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი.

ათორმეტი საუფლო დღესასწაული — ასე ეწოდება 12 უდიდეს საეკლესიო დღესასწაულს, რომლებზედაც მოიხსენება მაცხოვრის (იესო ქრისტეს) ხორციელი შობა და ღვთაებრივი სასწაულები. ეს თორმეტი დღესასწაული შემდეგია:

1. ნათლისღება (განცხადება) უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი — 19 იანვარს (ახ. სტ.).
2. მირქმა (მიგებება) უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი — 15 თებერვალს.
3. ხარება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა — 7 აპრილს.
4. ბზობა (ბაიაობა) — დიდებით შესვლა იერუსალიმში უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი — აღდგომის წინა კვირა დღეს.
5. ამაღლება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი — აღდგომა მე-40 დღეს.
6. სულთმოფენობა — სულიწმიდის გადმოსვლა წმიდა მოციქულებზე — აღდგომიდან მე-50 დღეს.
7. ფერისცვალება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი — 19 აგვისტოს.
8. მიძინება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა — 28 აგვისტოს.
9. შობა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა — 21 სექტემბერს.
10. მსოფლიო ამაღლება პატიოსანისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა — 27 სექტემბერს.
11. ტაძრად მიყვანება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა — 4 დეკემბერს.
12. შობა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი — 7 იანვარს.

ამ დღესასწაულთა განმარტება იხილეთ საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

ЖУРНАЛ ГРУЗИНСКОЙ ПАТРИАРХИИ

1. «Народ радуется жизни твоей» — под этим заглавием, от имени Священного Синода, напечатана приветственная речь епископа Шио и стихотворение епископа Фаддея, посвященные годовщине интронизации Святейшего и Блаженнейшего Католикоса-Патриарха всея Грузии **Илии II.**

⊙

2. В текущем году широко отмечалось 1500-летие дошедшего до нас первого грузинского литературного памятника— «Мученичество святой царицы Шушаник». В связи с этой знаменательной датой в журнале печатаются два материала: в первой статье «Заступись за нас» ведется беседа о художественных достоинствах литературного памятника и о значении той веры, благодаря которой св. Шушаник стала на путь мученичества; автором второй статьи, в которой рассказано о всех дошедших до нас грузинских списках «Мученичества Шушаник», является Ц. Курцикидзе.

В номере помещена фоторепродукция новой иконы св. Шушаник, выполненная художником А. Бандзеладзе.

⊙

3. «Иверский монастырь на Афоне и его значение» — под этим заглавием печатается в журнале небольшой отрывок из научной работы Католикоса-Патриарха всея Грузии **Илии II.** В труде излагается история Иверского монастыря и говорится о том значении, которое имеет монастырь не только для Грузинской Церкви, но и для всей грузинской культуры.

В текущем году, по приглашению Католикоса-Патриарха **Илии II,** в Тбилиси гостил губернатор Афона, профессор Салоникского университета, господин **Димитриос Цамис.** Гость тепло был встречен церковными деятелями, учеными и представителями грузинской общественности. На приеме его приветствовали дружественными речами. В номере публикуются некоторые из них.

⊙

4. Значительным событием в жизни верующих явилось то, что в текущем году из Италии в Грузию был перевезен прах видного грузинского ученого и общественного деятеля священника Михаила Тамарашвили (Тамарати). Об этом говорится вступительной статье.

В номере напечатана также статья Б. Гиоргадзе: «Возвращение Михаила Тамарашвили».

⊙

5. Проповеди Католикоса-Патриарха **Илии II.**

В номере публикуются две проповеди:

1. Зачем человеку вера?
2. Молитва.

⊙

6. В статье «О постах» игумен Антоний беседует с читателями о значении и необходимости поста. В номере из журнала прошлого столетия «Мцкемси» перепечатано стихотворение «Пост».

⊙

7. Под рубрикой — Богослужение, в статье «Святая икона» — обозревается история создания святой иконы и говорится об его значении для христианского мира. Автор статьи священник Торнике (Цамалаидзе).

⊙

8. В связи с 340-летием со дня рождения великого грузинского писателя и церковного деятеля XVIII века, монаха Сулхана-Саба Орбелиани, в журнале печатается статья, посвященная его творчеству и деятельности, а также проповедь С. Орбелиани: «Учение о смирении».

⊙

9. Епископ Фаддей — Стихи.

⊙

10. «Грузинский епископ в Риме» — в связи с похоронами Римского Папы Иоанна-Павла I и выборами нового Папы Иоанна-Павла II, грузинскую церковь представлял епископ **Николай.** На страницах журнала он знакомит читателей со своими впечатлениями.

⊙

11. «Мир всем» — под этим заголовком в журнале публикуется протест Католикоса-Патриарха **Илии II** на террористические действия, совершенные против армянского населения Ливана. В связи с этим в журнале напечатаны письма Святейшего Патриарха всех армян Вазгена I и проживающего в Грузии армянского гражданина Х. П. Осесяна, адресованные Католикосу-Патриарху всея Грузии **Илие II.**

⊙

12. «На путях дружбы» — под этой рубрикой в номере опубликованы информации о пребывании в Грузии церковных представителей США, Ватикана и Португалии.

⊙

13. Песнопения. В журнале печатается гимн Грузинской Церкви и ноты песнопения «Иже херувимы». Коментирует иеромонах Евфимий.

⊙

14. Под рубрикой — «Церковная жизнь» — рассказано о важнейших событиях, происшедших в церковной жизни Грузии за последние месяцы. В номере печатаются речи новых епископов.

⊙

15. Богословский словарь и толкования.

«JVARY VAZISA — THE CROSS OF VINE»

1. On the occasion of the enthronization of ILIYA II, Catholicos-Patriarch of All Georgia, the greeting speech delivered by Bishop Shio and the verse by Bishop Tadeoz are published in the journal.

⊙

2. The 1500-ieth anniversary of the earliest known example of Georgian literature «The Life and Martyrdom of St. Shushanik» by Jacob Tsurtaveli (fifth century A.D.) will be celebrated this year. This literary monument has played an important role not only in the life of the Georgian people but in the church life as well. Interesting articles in connection with this occasion are published in the journal. One of the articles informs the reader of the importance and the literary significance of Jacob Khutsesi's work, the religious faith that inspired Queen Shushanik and endowed her with divine power that elvated her to sainthood.

The author of another article is the scientist J. Kurtsikidze, who makes appropriate commentary on Jacob Khutsesi's book.

A new reproduction of the St. Shushanik icon, executed by the artist A. Bandzeladze, is also given.

⊙

3. The Ibery Monastery of Mount Athony and Its Importance is the title of one of the chapters of the fundamental work done by His Holiness and Beatitude Catholicos — Patriarch of All Georgia, ILIYA 11. In this work the author acquaints us with the history of the Ibery Monastery of Mount Athony and its importance to the Georgian nation and the Georgian church.

At the invitation of the Catholicos-Patriarch ILIYA II, the governor of Mount Athony, Dimitrios Tsamisi, professor of Saloniki university, visited Tbilisi this year. At the meeting with the representatives of the Georgian church, of the people, of the Georgian sciences, many impressive and warm-hearted words were expressed-some of which are printed in the journal.

⊙

4. In the life of the Georgian nation the transportation of the remains of Michael Tamarashvili, an outstanding scientist and public man, from Italy to Georgia was an important fact. B. Georgadze gives a vivid account of the occasion in his article «The Return of Michael Tamarashvili».

⊙

5. Sermons of Catholicos-Patriarch ILIYA II

Two sermons are published:

1. Why Man Needs Faith.
2. A Prayer

⊙

6. In the article «The Holy Fast,» Father-Superior Antony explains the importance and need of the Fast.

A poem «The Holy Fast» is reprinted from the Georgian religious journal «The Shepherd»

⊙

7. Worship

In the article „The Holy Icon" is given the history of the Holy Icon and its significance for the Christian world. The author of the article is father Tornike (Tsamalaidze).

⊙

8. The 340-ieth anniversary of the outstanding writer of the XVIII c. Sulkhan-Saba Orbeliani will be celebrated. The journal gives his biography, his activities, and one of his sermons «The Art of Acquiring Tranquility".

⊙

9. Poems by Bishop Tadeoz.

⊙

10. Bishop Nicoloz who attended the funeral of the Pope of Rome and the election of the new Head of the Roman-Catholic church shares his impressions with the reader.

⊙

11. Peace for All

This is the title of the statement made by Catholicos-Patriarch ILIYA II concerning the terrorized Armenian people living in Lebanon. Concerning this fact letters written by the Catholicos of All Armenians, Vazgen I, the Armenian Kh. Ovsepian to the Catholicos-Patriarch of All Georgia are also printed in the journal.

⊙

12. The Roads of Friendship

By this title a detailed account of the visits of the representatives of the U.S.A., the Vatican, and Portugal are also printed.

⊙

13. The Psalms. Notes and Comments.

⊙

14. The Life of the Church

Here we learn of the recent events of interest and importance in the life of the Georgian church as well as the speeches by the newly-elected Bishops.

⊙

15. A dictionary of religious words, and notes are appended to the journal.

შინაარსი

1. შენი სიცოცხლე ერს უხარია . . , ... 4
2. მეოხ გვეყავ 6
— ც. ქურციკიძე — იაკობ ხუცესის თხზულების ხელნაწერები . . 8
3. ათონის მაღალ მთაზედა
— ა. წერეთელი — ნაწყვეტი „თორნიკე ერისთავიდან“ . . . 9
— ი ლ ი ა II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი — ათონის ივერთა მონასტერი და მისი მნიშვნელობა 9
— ათონის მთის გუბერნატორი, ბატონი დიმიტრიოს ცამისი თბილისში 11
4. დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო — მიხეილ თამარაშვილი 14
5. ქადაგებანი კათოლიკოს-პატრიარქ ი ლ ი ა II-სა 19
6. იღუმენი ანტონი — რატომ არის საჭირო მარხვა 23
— რაჟდენ საჯაოხელი — მარხვა (ლექსი) 24
7. ღვთისმეტყველება —
— მღვდელი თორნიკე (წამალაიძე) წმიდა ხატი 26
8. სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 340 წლისთავისათვის . . 31
— ს. ს. ორბელიანი — „სწავლა სიმშვიდისათვის“ . . . 32
9. ეპისკოპოსი თადეოზი — პოეზია 35
10. ეპისკოპოსი ნიკოლოზი — ურთიერთობა აღდგენილია (რომის შეხვედრილებები) 37
11. მშვიდობა ყოველთა
— სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ი ლ ი ა II განცხადება 39
— ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქის ვაზგენ I დეპეშა . . 39
— ს. ოვსესიანის წერილი კათოლიკოს-პატრიარქ ი ლ ი ა II . . 39
12. სამეგობრო გზები
— სტუმრები ამერიკიდან 40
— თ. ბოსაიტი (ვატიკანიდან) თბილისში 41
— პორტუგალიელი სტუმარი საქართველოში 42
13. საგალობელნი
— მღვდელ-მონოზონი ექვთიმე (კოჭლამაზაშვილი)—რიმელნი ქერუბინთა 43
14. საეკლესიო ცხოვრება 47
15. საღვთისმეტყველო ლექსიკონი და განმარტებანი 53

გარეკანის მეორე და მესამე გვერდებზე დაბეჭდილია ნაწყვეტები „შუშანიკის წამებიდან“.

რედაქტორი **თინათინ კობალაძე**

საქართველოს საპატრიარქო. თბილისი. 1979 წ.

სიონის ქ. № 4. ტ. 99-69-30.

ტირაჟი 1000 შეკ. № 1560

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა. თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. № 19.

Грузинская Патриархия «Джвари вазиса» (Лозовый крест) № 2

Типография АН Груз. ССР Тбилиси, 380060 ул. Кутузова 19

Ნარ ფაქ ბე ნიბეშნარფ �e ბეფ
ნნ ბეგბრნ ნნფრნბაფაბ ფაფნ ბნბნ
ბნრ ვერბნრ ნიფნბნარრ ნნბნარ
ფოფნრეს ნნ ფკნფოფნრეს ნინვეფეფრ
ნნ ვარ ბნბეფნ ვერეფნ ნნრაბეფ ფნრ
ფარფაფრეფრ ნნ ნაფაფნნ ფნარნნრეფ
ფრ კეფოფნრეს ბეფნრ

არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა დავამხუ. ხოლო მამამან შენმან აღჰმართნა სამარტვილენი და ეკლესიანი აღაშენინნა, და შენ მამისა შენისა საქმენი განჰრყუნენ და სხუად გარდააქციენ კეთილნი მისნი.